№ 96 / 3 -9 ნოემბერი / 2011 ფასი 2 ლარი

# ლიბერალი

მთავარი თემა:

## სუსტი ჩბოლები უმაღლესი განათლების ჩეფორმაში

**კომენტარი**

ტომას დე ვაალი

### საქართველოს პოლიტიკური გამოფხიზლება

გვ. 10

**რეპორტაჟი**

ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციიდან

### "ნუ ძალადობთ, ბოგონა"

გვ. 16

**ინტერვიუ**

### "ლაბორატორიის" მიზანი სტუდენტებში მასობრივი ჯონფორმიზმის დაძლევაა"

გვ. 40

ISSN 1987-7528

© Khatia Psuturi

ლიბერალი

№ 96 / 3 -9 ნოემბერი / 2011

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

რედაქტორები
სოფო ბუკია
მაგდა მემანიშვილი
თამარ ბაბუაძე

ჟურნალისტური გამოძიება
ნინო ზურიაშვილი

ვებგვერდის რედაქტორი
ნანა საჯაია

ჟურნალისტები:
მაია წიკლაური, ეკა ჭითანავა, თამარ ფარადაშვილი, ცირა გვასალია, მალხაზ ჭკადუა, ზურა ვარდიაშვილი, ანიტა თვაური

კონტრიბუცია:
გიორგი ცხადაია, მარკ მალენი, ოლესია ვართანიანი, ლიკა ზაკაშვილი, ზურა ვარდიაშვილი, ზურაბ ქარუმიძე, ტომას დე ვაალი, ნინო ნატროშვილი

რედაქცია:
ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია
კორექტორი თამარ ღონღაძე

გამომცემლობა:
დირექტორი
ქეთევან ბაბუნაშვილი

გაყიდვებისა და ბიზნესის განვითარების მენეჯერი
რუსუდან ბარათაშვილი

კლიენტთა მომსახურების და დისტრიბუციის მენეჯერი
ნათია რუსაძე

გაყიდვების მენეჯერები:
ლევან ჯაბუა, სოფო პაპუნაშვილი, ქეთევან ქავთარაძე, ქეთევან მეგრელიძე, ელენე ხარაზაშვილი, მარიამ მიქელაშვილი, ზურაბ ზანდარაშვილი, თინა ოსეფაშვილი

დისტრიბუტორი:
მიხეილ გედენიძე

ჟურნალის გამოწერის მსურველებმა დარეკეთ: 2962311, 2910151 პრეს-ექსპრესი

www.liberali.ge



## მთავარი თემა

ფოტო აგნ ჭანკოზაძე

საქართველოში უმაღლესი განათლების რეფორმის დაწყებიდან ხუთი წელი გავიდა, უნივერსიტეტები გარეგნულად ემსგავსებიან დასავლურ უნივერსტეტებს, თუმცა სტუდენტების და ლექტორების უკმაყოფილება სისტემის ნაკლოვანებებს ცხადყოფს და ნათელია, რომ უმაღლესი განათლების სისტემაში, სწავლებისა და კვლევის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მნიშვნელოვანი ცვლილებებია გასატარებელი.

2011 წლის მეორე ნახევარში ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე ფაკულტეტზე პროფესორების არჩევნები ჩატარდა. რამდენად სამართლიანი იყო ეს არჩევნები? ჰქონდა თუ არა საკონკურსო კომისიების გადაწყვეტილებებს პოლიტიკური ელფერი?

სუსტი ჩბოლები უმაღლესი განათლების ჩეფოჩმაში

*ლიკა ზაკაშვილი*
**გვ.32**

ეკონომიკაზე დაფუძნებული სნავლება ეკონომიკას უმაღლესი განათლების გამოწვევად ჩრება

*ლიკა ზაკაშვილი*
**გვ.38**

"ღაბოჩატოჩიის მიზანი სტუდენტებში მასობრივი ეონფოჩმიზმის დაძლევაა"

*ინტერვიუ ალექსანდრა არაშვილთან*
**გვ.40**

Gaudeamus Igitur...

*ზურაბ ქარუმიძის კომენტარი*
**გვ.44**

## ბამჭვირვალობა - მართლმსაჯულებისადმი ნდობის გაზრდის გზა

სასამართლო დამოუკიდებლობის ხარისხი შედარებით მაღალია სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავებისას. ხოლო სისხლის სამართლის დავებისას მდგომარეობა განსხვავებულია.

„სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელი არ არის სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას (პროკურატურის ზეგავლენის გამო). ასევე სხვა ტიპის საქმეების განხილვისას, სადაც სასწორზე მთავრობის პოლიტიკური ინტერესები დევს (მაგალითად, საარჩევნო დავებისას)", 2010 წელს „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის" მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში რესპონდენტების მხოლოდ 21-მა პროცენტმა განაცხადა, რომ საქართველოს სასამართლო ხელისუფლება მიუკერძოებელი იყო.

*ზურაბ ვარდიაშვილი*
**ბ3.29**

## მოლაპარაკებები ბუნდოვანი შედეგით

საერთაშორისო შუამავლები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან დაკავშირებით ქართულ-რუსული მოლაპარაკებების გადარჩენას ცდილობენ. ქართული მხარის თანხმობის შემდეგ ყველა რუსეთის რეაქციას ელოდება.

წესდების თანახმად, დოკუმენტის მიღებაზე საქართველოს უარის შემთხვევაში, რუსეთის გაწევრიანების საკითხი დეკემბრის შუა რიცხვებში დაგეგმილ მინისტრთა კონფერენციის დღის წესრიგშიც კი ვერ მოხვდება. სწორედ დეკემბერში გეგმავდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია ახალი წევრების ოფიციალურად მიღებას.

*ოლესია ვართანიანი*
**ბ3.23**

## საქართველოს პოლიტიკური გამოფხიზლება - ოლიგარქის გამოჩენა

საქართველოს პოლიტიკა ბოლო ხანებში მოსაწყენი და პროგნოზირებადი იყო. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა წარმატებით მოახერხა 2008 წლის ომის შემდეგ ქარიშხლის გადატანა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პარტიული ძალაუფლების გამყარება და ოპოზიციის

ბიზნესმენ ლევან ხარბედია

მარგინალიზაცია. ეს იმას ნიშნავდა, რომ 2012-13 წლების საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებზე ორი პასუხგაუცემელი კითხვა იქნებოდა: პირველი – რამდენპროცენტიანი უმრავლესობით მოვიდოდა „ნაციონალური მოძრაობა" და მეორე – შეეცდებოდა თუ არა სააკაშვილი სახელდახელოდ შეცვლილი კონსტიტუციის წყალობით საპრეზიდენტო ვადის დასრულების შემდეგ პრემიერ-მინისტრად დარჩენას.

ბიძინას (იგივე ბორისს) სულ რაღაც ორი კვირა დასჭირდა ქართული პოლიტიკური სცენის შესარყევად.

*ტომას დე ვაალის კომენტარი*
**ბ3.10**

# ვენეციის კომისიის შენიშვნები

საარჩევნო კოდექსზე მუშაობის თითქმის ერთწლიანი პროცესი დასასრულს უახლოვდება. თუმცა ახალი საარჩევნო კოდექსის პროექტი ვენეციის კომისიის რეკომენდაციების დიდ ნაწილს ისევ არ ითვალისწინებს.

როგორც წესი, საბოლოო საექსპერტო დასკვნის გამოქვეყნებამდე, ვენეციის კომისია იშვიათად აკეთებს პრესისთვის ღია განცხადებებს. 27 ოქტომბერს გამართული ბრიფინგი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ კოდექსი, რომელმაც საქართველოში საარჩევნო გარემო უნდა გააუმჯობესოს და ქვეყანა შემდგომი უმნიშვნელოვანესი არჩევნებისთვის მოამზადოს, საერთაშორისო თანამეგობრობის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

*მაია წიკლაური*
**გვ.25**

ფოტორეპორტაჟი

# დებედას ხეობა - გაუთავებელი დავა ეკლესიებზე

ფოტო: მალხაზ ჭკადუა

*მალხაზ ჭკადუას ფოტორეპორტაჟი*
**გვ.50–57**

**ასევე ნომერში:**

ფოტო: ბარბარა ლევანაძე ლერბულიან

04 მოკლედ
06 რიცხვები, ციტატები
08 **ორი აზრი**
უნდა დაწესდეს თუ არა 45-დან 60 წლამდე ასაკის მოქალაქეების დასაქმების სანაცვლოდ საგადასახადო შეღავათები?
*პავლე კუბლაშვილი VS ნოდარ ხადური*
**კომენტარი**
12 რუსეთთან ურთიერთობების გადატვირთვა
*გიორგი ცხადაია*
14 ახალგაზრდა ინგლისურენოვანი მათხოვრები
*მარკ მალენი*
**რეპორტაჟი**
16 „ნუ ძალადობთ, გოგონა“
**პოლიტიკა**
23 დიდი ფსონი
**კონფლიქტები**
27 თავსატეხის ამოხსნა გვიანდება
**ტექნოლოგიები**
46 1 დღე ინტერნეტის გარეშე
**ლიბერალის ვებგვერდიდან**
58 წერილი ნინიას და მის თანამოაზრეებს

**გამომცემელი:**
შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ჟღენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge

**სხვა გამოცემები:**
„ცხელი შოკოლადი“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნანილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

**ბეჭდვა:**
სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02. გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ხუთშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

*ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად,, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.*

*The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.*

## ტუნისში არჩევნების შედეგებს აპოტესტებენ

ტუნისში „ჟასმინის რევოლუციით“ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ პირველი თავისუფალი არჩევნები ჩატარდა. თუმცა არჩევნების შედეგების გამოცხადებამ არეულობა გამოიწვია. ქალაქ სიდი-ბუზიდში 27 ოქტომბერს, საღამოს აქციის მონაწილეებმა 6 საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების გაუქმება გააპროტესტეს. აქციის მონაწილე პარტია „ალ არიდას“ მომხრეებმა ქალაქის მერის შენობას ცეცხლი წაუკიდეს. პარტია „ალ არიდამ“ არჩევნებში ბოლო ადგილი დაიკავა.
ტუნისის არჩევნებში ზომიერმა ისლამისტურმა პარტია „ინაჰდამ“ 40 პროცენტით გაიმარჯვა, მან საკანონმდებლო ორგანოში ყველაზე მეტი მანდატი – 217-დან 90 მოიპოვა. „ინაჰდა“-სთან ერთად ტუნისის საკანონმდებლო კრებაში კიდევ 4 პარტია მოხვდა. მეორე ადგილზე „რესპუბლიკის კონგრესი“ გავიდა. ამ პარტიამ 30 მანდატი მიიღო. 23 მანდატი მოიპოვა მესამე ადგილზე გასულმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ – „ეტაკოლი“. 19 მანდატი მოიპოვა დანარჩენმა ორმა პარტიამ, მათ შორის პარტია „ალ არიდა“-მ. ახალი საკანონმდებლო ორგანო მიზნად ისახავს კონსტიტუციის შეცვლას. ტუნისის საკანონმდებლო კრებამ უნდა დაასახელოს პრეზიდენტი და გარდამავალი მთავრობაც. ტუნისის „ჟასმინის რევოლუცია“ იყო პირველი და ამით დაიწყო არაბულ ქვეყნებში ამბოხებები.

## აშშ-ის "ვირტუალური საელჩო" ირანში

ამერიკის შეერთებული შტატები ირანში „ვირტუალური საელჩოს“ გახსნას გეგმავს. ამის შესახებ სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა. მისი თქმით, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ ოფიციალური დიპლომატიური კავშირის არქონის მიუხედავად, „ვირტუალური საელჩოს“ გახსნა მაინც გადაწყვიტა.
კლინტონის განმარტებით, საელჩო ირანის მოქალაქეებს მოემსახურება და მათ ვიზების მისაღებად და სხვა პროგრამების შესახებ მიაწვდის ინფორმაციას.

## ევროკავშირის ლიდერები ყიზისის დაძლევაზე შეთანხმდნენ

ბრიუსელის სამიტზე ევროკავშირის ლიდერებმა საბერძნეთისთვის ფინანსური დახმარების გადაწყვეტილება მიიღეს. მათ ევროს სტაბილურობის შესანარჩუნებლად აუცილებელ პროცედურებზეც ისაუბრეს. როგორც საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ განაცხადა, შეთანხმების მიღწევა კერძო ინვესტორების პოზიციამ განაპირობა. მათ საბერძნეთისთვის ვალების 50%-ის ჩამოწერაზე თანხმობა განაცხადეს. გარდა ამისა, საბერძნეთს ევროკავშირისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან დამატებით კრედიტების სახით 100 მილიარდი ევრო უნდა გადაურიცხონ.
ამასთანავე, სარკოზიმ განაცხადა, რომ 2001 წელს საბერძნეთისთვის ევროზონაში გაწევრიანების უფლების მიცემა შეცდომა იყო.
„ევროზონაში საბერძნეთი მცდარი მონაცემებით შევიდა და ის მზად არ იყო ამ პროცესისთვის. საბერძნეთის გადარჩენა შეიძლება, ვალებით გამოწვეული კრიზისის გარშემო ევროკავშირში მიღწეული შეთანხმებით“, – განაცხადა სარკოზიმ.
ევროკავშირის ლიდერები სამიტზე ევროპის ფინანსური სტაბილურობის ფონდის 400 მილიარდიდან ტრილიონ დოლარამდე გაზრდაზეც შეთანხმდნენ. ამ ფონდში გათვალისწინებული იქნება თანხები ესპანეთისა და იტალიის დასახმარებლადაც, რომლებიც შესაძლოა საბერძნეთის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.
ბევრი ევროპული ბანკი გაივლის რეკაპიტალიზაციას და მათ აეკრძალებათ თანამშრომლებისა და აქციონერებისთვის ბონუსებისა და დივიდენდების გაცემა.
ევროკავშირის ლიდერების გადაწყვეტილებამ დადებითი შედეგიც გამოიღო – ევროს კურსი დოლართან მიმართებაში გაიზარდა.
პარალელურად, ევროზონის ფინანსური დახმარების ფონდი ფინანსებს ეძებს. ფონდის ხელმძღვანელი კლაუს რეგლინგი აზიაში გაემგზავრა. იაპონიის წარმომადგენლობის განცხადებით, ისინი ფონდის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებს კვლავ შეიძენენ. ჩინეთი კი ჯერჯერობით თავს იკავებს.

## სილვიო ბერლუსკონი ადამიანებით მოვაჭრეთა სიაში

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი ადამიანებით მოვაჭრეთა სიაში შეიყვანა. საერთაშორისო მედიის ცნობით, სახელმწიფო დეპარ-



ტამენტის ანგარიშში ბერლუსკონის კომერციული მიზნებით მარკოელი გოგონების ექსპლუატაცია, ასევე არასრულწლოვანი მარკოელის სექსუალური მომსახურების იძულებაც ბრალდება.
დეპარტამენტის დასკვნას თან ახლავს მოწმეთა ჩვენებები, სადაც აღნიშნულია, რომ 17 წლის კარიმ ელ-მარუგი ადამიანებით მოვაჭრეთა მსხვერპლი გახდა.
სილვიო ბერლუსკონის გარშემო სკანდალი ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში დაიწყო. მაშინ პრესაში გაჩნდა ცნობა ბერლუსკონის ვილაში გამართულ არაფორმალურ საღამოებზე. პრემიერ-მინისტრმა მაშინ ბრალდებები უარყო და განაცხადა, რომ ეს არის შავი პიარკამპანია მის წინააღმდეგ, რომელსაც მისი კონკურენტები აწარმოებენ და მის დისკრედიტირებას ცდილობენ.

## ყირგიზეთის საპრეზიდენტო არჩევნები

ყირგიზეთის საპრეზიდენტო არჩევნებში წინასწარი შედეგებით ალმაზბეკ ატამბაევმა გაიმარჯვა. თუმცა მისი კონკურენტები დამარცხებას არ აღიარებენ. კენჭისყრაში 16 საპრეზიდენტო კანდიდატი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ ატამბაევის მთავარი კონკურენტები – ადახან მადუმაროვი და კამჩიბეკ ტაშიევი. პოლიციის ცნობით, არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ ტაშიევის ორასამდე მომხრემ მთავარი მაგისტრალი გადაკეტა, ზოგიერთებმა ქალაქ ჯალალაბადში გამოსვლებიც მოაწყვეს. ატამბაევის მეტოქეები ირწმუნებიან, რომ საპრეზიდენტო არჩევნებმა დარღვევებით ჩაიარა. დარღვევებზე ისაუბრა „ეუთოს“ სადამკვირვებლო მისიამაც, მათ ხმის დათვლისას არსებული პრობლემები აღნიშნეს. თუმცა განმარტეს, რომ არჩევნები მშვიდ გარემოში ჩატარდა.
ყირგიზეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით ატამბაევს ხმების დაახლოებით 63 პროცენტი ერგო. ატამბაევი ყირგიზეთის პრემიერ-მინისტრობიდან გადადგა, რათა საპრეზიდენტო არჩევნებში მიეღო მონაწილეობა. მან პირობა დადო, რომ შეეცდება, არსებული გაუგებრობები და უთანხმოებები დიალოგით მოაგვაროს: „ვისურვებდი, რომ ყირგიზეთში ამიერიდან მივეჩვიოთ მოლაპარაკებას, როგორც ეს ევროპაში ხდება. ამიერიდან, ყველა საკითხი მშვიდობიანად უნდა მოვაგვაროთ, უნდა მოვილაპარაკოთ, რათა აღარ განმეორდეს რევოლუციები, რომ გვყავდეს მშვიდობიანი, მშვიდი ქვეყანა“, – განაცხადა ატამბაევმა.
ყირგიზეთის საპრეზიდენტო არჩევნებს მიესალმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა. მან ეს არჩევნები შეაფასა, როგორც „დემოკრატიული და მშვიდობიანი“.
ეს პირველი არჩევნებია ყირგიზეთში მას შემდეგ, რაც გასულ წელს საპროტესტო ტალღის შედეგად, ყურმანბეკ ბაკიევი ჩამოაგდეს. მაშინდელი დაპირისპირებები მწვავე ეთნიკურ შეტაკებებში გადაიზარდა, რამაც ასობით ადამიანი იმსხვერპლა.

# რიცხვები, ციტატები

**5** პროცენტით დაეცა იაპონური იენის ფასი.

**600**-ს მიაღწია თურქეთის მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ.

**400**-მდე გაიზარდა ტაილანდში წყალდიდობის დროს დაღუპულთა რიცხვი.

**6,9** მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა პერუში.

**5** მილიარდი მოსახლე მსოფლიოს 7 მილიარდი მოქალაქიდან, გაეროს მონაცემებით, სოციალურად დაცული არ არის.

**1000** ადგილს გამოყოფს თბილისის მერია სავაჭრო ჯიხურებისთვის.

**10** პუნქტიანი სამოქმედო გეგმა გამოაქვეყნა საქართველოს მთავრობამ, რაც ეკონომიკის გაძლიერებას და დასაქმების პრობლემის მოგვარებას ისახავს მიზნად.

**1,5**-ჯერ იგეგმება 2015 წელს დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა საქართველოს მთავრობის 10-პუნქტიანი გეგმის მიხედვით.

**5,6** პროცენტია ისრაელში უმუშევრობის დონე.

**200** ჟურნალისტი დაესწრო ბიძინა ივანიშვილის პირველ პრესკონფერენციას მისსავე ბიზნეს ცენტრში.

**„საქართველოში ერთ-ერთი სერიოზული ოპოზიცია ცდილობს, წარსულში დაგვაბრუნოს. ვფიქრობ, წარსულში დაბრუნება აქ არავის უნდა, თუმცა, შესაძლოა, მოქალაქეების 10-15%-ს უნდოდეს, მაგრამ ეს მომაკვდავი მენტალიტეტია და უკან დაბრუნების შანსი არ არსებობს“.**

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

**„აფხაზეთი თავის მხარეს არავითარ დამკვირვებლებს არ მოითმენს. ეს ჩვენი სუვერენიტეტის დარღვევა იქნება“.**

აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ ჩირიკბა

**„რუსული ბაზარი ჯერ კიდევ რუსეთ-საქართველოს ომამდელ პერიოდში დაიკარგა. სააკაშვილმა თავისი არადიპლომატიური და გაუაზრებელი განცხადებებით წყობიდან გამოიყვანა საქართველოს მთავრობა და მიაღწია იმას, რომ რუსული ბაზარი მარტო საქართველოსთვის დაიკეტა. ეს მოხდა ომამდე. მისი გაუაზრებელი განცხადებების შედეგად საქართველოს მოსახლეობამ დაკარგა უდიდესი ბაზარი. დღეს მთელი მსოფლიო ახერხებს რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას და ჩვენც უნდა შევძლოთ რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობა“.**

ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი

**„კმაყოფილებას გამოვთქვამთ იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთი და საქართველო ახლოს არიან შეთანხმების მიღწევასთან, რაც ჩვენი აზრით, ძალზე სასარგებლო იქნება ორივე მხარისათვის. ვუცხადებთ სრულ მხარდაჭერას შვეიცარიის შუამდგომლობით მიმდინარე ძალისხმევას, რომლის წყალობით საკითხის დადებითად გადაჭრის შესაძლებლობა გაჩნდა. ევროკავშირი მოელის, რომ რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ გადაწყვეტილება წელს, მინისტერიალზე იქნება მიღებული. ევროკავშირი მოუწოდებს მხარეებს, უახლოესი დღეების განმავლობაში დაასრულონ შეთანხმების მიღწევის პროცესი“.**

საქართველოში ევროკავშირის ელჩი ფილიპ დიმიტროვი

**„შემიძლია გითხრათ რომ საქართველოსთან „ნატოს“ თანამშრომლობის პრინციპები არის უცვლელი, მათ შორის, ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება, რომელიც მოკავშირეებმა მიიღეს“.**

„ნატო“-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ცენტრალურ აზიაში და სამხრეთ კავკასიაში ჯეიმს აპატურაი

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

ანაბრების აქცია!

# +1,5%

USD / EUR

## ვადიან და მოქნილ ანაბარზე

აირჩიე ბანკი, რომელსაც ენდობი

# უნდა დანესდეს თუ არა 45-დან 6
# დასაქმების სანასვლოდ სა

## კი



**პავლე კუბლაშვილი**
*საპარლამენტო უმრავლესობის წევრი*

45-60 წლის ადამიანები არიან ჩვენი საზოგადოების ის ნაწილი, ვისგანაც დიდად დავალებულია ჩვენი და შემდგომი თაობები, რომელთაც გარკვეულწილად პრობლემები აქვთ დასაქმებასთან დაკავშირებით. შესაძლოა ეს უკავშირდებოდეს იგივე სპეციალურ უნარ-ჩვევებს, უცხო ენის, ან კომპიუტერის ცოდნას. სწორედ ეს არის მიზეზი, რატომაც ვერ საქმდებიან დღეს ამ ასაკის ადამიანები. ამიტომ მნიშვნელოვანია, იყოს რაღაც საშუალება, ამ თაობის უფრო მეტი ხელშეწყობა. შესაბამისად, როგორი იქნება ამ ინიციატივის ფორმულირება, ჩემთვის ჯერჯერობით უცნობია, თუმცა მე ვაცნობიერებ, რომ ეს არის საკითხი, რომელთან დაკავშირებითაც ჩვენ ნაბიჯები უნდა გადავდგათ.

რა თქმა უნდა, თაობებს შორის ბუნებრივი განსხვავება უკვე არსებობს და ისინი არათანაბარ პირობებშიც არიან. ერთია თაობა, რომელსაც უცხო ენების, კომპიუტერის, ახალი ტექნოლოგიების უფრო მეტი ცოდნა აქვს და მეორე მხრივ, არიან ადამიანები, რომლებიც უმეტესად საჯარო და კერძო სექტორშიც მუშაობდნენ მაშინ, როდესაც არც ტექნოლოგიები იყო განვითარებული და რაღაც განსაკუთრებული ცოდნაც არ აქვთ. ახლა ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ორივე ამ კატეგორიას თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდეს, ამიტომ უნდა დავასაქმოთ ჩვენი საზოგადოების ის ნაწილი, ვინც 45-დან 60 წლის ასაკშია.

როდესაც შეღავათებზე ვსაუბრობთ, ყოველთვის ვაცნობიერებთ, რომ ეს დანაკარგია ბიუჯეტიდან, მაგრამ ნებისმიერი შეღავათი ემსახურება კონკრეტულ მიზანს. თუ ეს კონკრეტული მიზანია ადამიანების დასაქმება, მე მივესალმები. ბიუჯეტის დანაკარგზე აქცენტის გადატანას სჯობია ვისაუბროთ იმაზე, რომ დასაქმების პრობლემას ვაგვარებთ.

ნებისმიერ ინიციატივაზე, რომელიც საგადასახადო შეღავათს უკავშირდება, შეიძლება თქვან, რომ პოპულისტურია, მაგრამ მთავარია მიზანი. რატომ კეთდება ის? კეთდება იმიტომ, რომ ერთი კონკრეტული პრობლემა – ჩვენი საზოგადოების დასაქმება – მოგვარდეს. ერთი და ორი ნაბიჯით დასაქმების პრობლემას ვერ აღმოფხვრი – ყველას უნდა ესმოდეს! უნდა ვიცოდეთ, სად არის პობლემები, ჩვენი საზოგადოების რომელი ნაწილი საჭიროებს მეტ ხელშეწყობას და იმ მიმართულებით უნდა გადავდგათ ნაბიჯები.

# 60 წლამდე ასაკის მოქალაქეების საშალასახადო შეღავათები?

## არა

**ნოდარ ხადური**
*ეკონომისტი*

ეს ინიციატივა არანაირ დადებით შედეგს არ მოიტანს. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 45-დან 60 წლამდე ასაკის ადამიანებში საქართველოში უმუშევრობის დონე ყველაზე დაბალია. ანუ ამ ასაკის ადამიანები უფრო მეტად არიან დასაქმებული, ვიდრე 25-დან 30 წლამდე ადამიანები. 45-დან 60 წლამდე ასაკის ადამიანებში უმუშევრობის დონე 8-9 პროცენტია და 25-დან 30 წლამდე ადამიანებში – 25 პროცენტზე მეტი.

პრეზიდენტს არ უთქვამს, რომ ეს ინიციატივა გარკვეულ ვადებში მოექცევა. თუმცა ფინანსთა მინისტრმა დაამატა, რომ ეს საგადასახადო შეღავათი ალბათ 3 თვეს გაგრძელდება. ანუ, რა გამოდის? შესაძლოა, მეწარმემ აიყვანოს 45 წლის თანამშრომელი და 3 თვეში ისევ გაუშვას?

მეორე საკითხია, დამსაქმებელი რამდენად კეთილსინდისიერად გამოიყენებს ამ შეღავათს. მან შესაძლოა 35 წლის ადამიანის სანაცვლოდ, მხოლოდ იმიტომ აიყვანოს უფროსი ასაკის მოქალაქე, რომ რამდენიმე თვით საშემოსავლო გადასახადის შეღავათი მიიღოს. არადა, მთავარი მოტივაცია ამ ინიციატივაში მეწარმის მიერ დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა უნდა იყოს.

თუ დამატებითი სამუშაო ადგილები შეიქმნება, ეს ბიუჯეტს არ დააზარალებს, მაგრამ თუ არსებული სამუშაო ადგილებიდან გამოთავისუფლდებიან 45 წლამდე ადამიანები და მათ ადგილზე უფრო ასაკიანი ადამიანები დაინიშნებიან, ბიუჯეტი დაზარალდება. მაგალითად: მეწარმეს დასაქმებული ჰყავს 2000 ადამიანი და საშუალოდ თითოს უხდის 1000 ლარს. ეს ნიშნავს, რომ მან ბიუჯეტში წელიწადში 4 მილიონ 800 ათასი ლარი უნდა გადაიხადოს. თუკი 1000-ს გაუშვებს და მათ ნაცვლად 45 წელზე მეტი ასაკის ადამიანს აიყვანს, მხოლოდ ამ შემთხვევაში ბიუჯეტი წელიწადში 2 მილიონ 400 ათას ლარს დაკარგავს.

თუმცა სათუოა, რამდენად შეძლებს მეწარმე დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას მხოლოდ საშემოსავლო გადასახადებზე შეღავათის პირობებში. უმუშევრობის პრობლემის მოსახსნელად უმჯობესია სხვა მექანიზმები შეიქმნას. კონკრეტული შეღავათი კი, რომელიც მიბმულია ასაკზე, შესაძლოა პოლიტიკური ნაბიჯიც იყოს. ამ ასაკის ადამიანებში საპროტესტო მუხტი უფრო მაღალია, ვიდრე ახალგაზრდებში და შეიძლება ხელისუფლება მათ შემორიგებას ცდილობს.

# საქართველოს პოლიტიკური გამოფხიზლება - ოლიგარქის გამოჩენა

**ტომას დე ვაალი**
*კავკასიის მკვლევარი, კარნეგის ცენტრი, ვაშინგტონი*

საქართველოს პოლიტიკა ბოლო ხანებში მოსაწყენი და პროგნოზირებადი იყო. გავრცელებული მოსაზრებით, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა წარმატებით მოახერხა 2008 წლის ომის შედეგად გამოწვეული ქარიშხლის გადატანა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული ძალაუფლების გამყარება და ოპოზიციის მარგინალიზაცია. ეს იმას ნიშნავდა, რომ 2012-13 წლების საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებზე ორი პასუხგაუცემელი კითხვა იქნებოდა: პირველი – რამდენპროცენტიანი უმრავლესობით მოვიდოდა „ნაციონალური მოძრაობა“ და მეორე – შეეცდებოდა თუ არა სააკაშვილი სახელდახელოდ შეცვლილი კონსტიტუციის წყალობით საპრეზიდენტო ვადის დასრულების შემდეგ პრემიერ-მინისტრად დარჩენას.

ოლიგარქის გამოჩენა. ბიძინას (იგივე ბორისს) სულ რაღაც ორი კვირა დასჭირდა ქართული პოლიტიკური სცენის შესარყევად.

ოქტომბრამდე ივანიშვილი მდუმარე მილიარდერი იყო. Forbes-ის უმდიდრესი ადამიანების სიაში ის 185-ე ადგილზეა და მისი სიმდიდრე 5,5 მილიარდ დოლარს უტოლდება. მიუხედავად იმისა, რომ ის რუსეთის უსმხვილეს ბანკს – „როსიისკი კრედიტ“-ს ფლობდა, ის საზოგადოებაში ნაკლებად ჩნდებოდა, განსხვავებით სხვა ორი ქართველი კაშკაშა მაგნატისგან – კახა ბენდუქიძისგან და ბადრი პატარკაციშვილისგან, რომელთაც ფული რუსეთში იშოვეს.

ცხრა წლის წინ ის საქართველოში დაბრუნდა, თავის მშობლიურ სოფელში, ჭორვილაში დასახლდა და გზებზე, სკოლებზე, ეკლესიებსა და თეატრებზე მილიონების ხარჯვა დაიწყო. იაპონელ არქიტექტორს შინ ტაკამაცუს ვერტმფრენის ასაფრენი მოედნის მქონე, უზარმაზარი, 17 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის ფუტურისტული სახლი და ბიზნეს ცენტრი ააშენებინა. შენობა ცის ჰორიზონტს ერთვის და ქალაქს მაღლიდან დაჰყურებს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ის თბილისში, პირდაპირ ლოს-ანჯელესიდან, საჰაერო გზით გადმოიტანეს.

ივანიშვილი ხელოვნების ნიმუშებსაც აგროვებს. მისი უზარმაზარი სახლი თანამედროვე სკულპტურებით არის სავსე. 2007 წელს მის მიერ დაქირავებულმა პირმა ნიუ-იორკის სოტბის აუქციონზე პიკასოში 95 მილიონი დოლარი გადაიხადა და საყოველთაო სენსაცია მოახდინა. ეს ადამიანი ყოველ შეთავაზებულ ფასზე უყოყმანოდ თანხმდებოდა, თითქოს საუბარი რაღაც ანტიკვარულ ავეჯზე ყოფილიყო.

ფეოდალი ბატონები ბევრ ქართველს ხიბლავს. სწორედ ამად იქცა თავისი სამშობლოსთვის ბიძინა ივანიშვილი. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ 2008-2009 წლებში ჩატარებული გამოკითხვების თანახმად, ივანიშვილი საქართველოს სამ ყველაზე ცნობილ პიროვნებათა შორის ხვდებოდა.

7 ოქტომბერს კი მისი დემარშის დრო დადგა: განაცხადა, რომ პოლიტიკაში მოდიოდა; რომ სააკაშვილის დრო ამოიწურა და პოლიტიკური პარტიის დაფინანსებას აპირებდა, რომელიც მომავალი მოწვევის პარლამენტში უმრავლესობით მოვიდოდა.

ეს ბომბის ტოლფასი იყო. ზოგიერთმა დასაწყისში ისიც ივარაუდა, რომ ეს ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციის გაყოფის მცდელობა იყო. თუმცა, ეს თეორია მალევე გაბათილდა. პარლამენტში სახელისუფლებლო პარტიის ზოგიერთმა წევრმა, რომელთაც მაკკარტისეული ტენდენციები ახასიათებთ, ივანიშვილი ვლადიმირ პუტინის დამქაშობაში დაადანაშაულა. ეს არცთუ ისე დამაჯერებლად ჟღერდა. მათ აქამდეც ბევრჯერ გამოიყენეს რუსული კარტი.

ეს ადამიანი უკვე ცხრა წელია, რუსეთში აღარ ცხოვრობს, ახლახან საფრანგეთის მოქალაქეობა მიიღო, მისი ვაჟი ბერა კი ლოს-ანჯელესში მცხოვრები რეპერია. ივანიშვილს საკმარისი ფული აქვს იმისათვის, რომ დამოუკიდებელი იყოს და მისი პრო-დასავლური პოლიტიკაც ნაკლებად დამაჯერებელს ხდის მის მოსკოვთან შეკრულობას. ივანიშვილმა რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების საჭიროებაზე ისაუბრა, თუმცა ეს სავარაუდოდ ელექტორატის სხვადასხვა სეგმენტის ათვისების მიზნით გაგზავნილი მესიჯი იყო. ქართველებს შესაძლოა არ სურთ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პუტინისთვის ჩუქება, თუმცა მათ რუსეთთან ვაჭრობა და თავისუფლად მოგზაურობა უნდათ.

თუმცა მაგნატმა ქართული პოლიტიკისკენ მიმავალ გზაზე წაიბორძიკა. მან განაცხადა, რომ საფრანგეთის და რუსეთის მოქალაქეობაზე უარს ამბობდა, თუმცა ივანიშვილმა ეს მხოლოდ მისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამოართმევის შემდეგ აღნიშნა. ივანიშვილისთვის მოქალაქეობის წართმევა იმით იყო განპირობებული, რომ მას ორმაგი მოქალაქეობის უფლება არ გააჩნდა. ეს მას არჩევნებში მონაწილეობის და ხელისუფლებაში მოსვლის შანს ართმევდა.

საქართველოს კანონი ორმაგ მოქა-

ლაქეობასთან დაკავშირებით არათანმიმდევრულად გამოიყურება. ბოლოს ივანიშვილს ქართული პასპორტი ივნისში მისცეს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს კი რუსული პასპორტი თანამდებობაზე დანიშვნიდან ერთი წლის განმავლობაში ჰქონდა.

ეს აშკარა სამართლებრივი ხარვეზი იყო, რომლითაც მოულოდნელად გამოჩენილი ოლიგარქის მოშორებას შეეცადნენ. ივანიშვილი ახლა ამ გადაწყვეტილებას სასამართლოში ასაჩივრებს. ჯერ კიდევ მოსალოდნელია, რომ მისი მომხრეები ხელისუფლების ამ ნაბიჯს ქუჩაში გააპროტესტებენ.

თუმცა ხელისუფლების ასეთმა მკაცრმა პასუხმა ივანიშვილს დამატებითი ქულები მოუტანა. იმის ნაცვლად, რომ ქართულ დემოკრატიულ სცენაზე ახალი მეტოქე მიეღოთ, ხელისუფლების წარმომადგენლებმა პროსახელისუფლებო სატელევიზიო არხებზე მის წინააღმდეგ გაილაშქრეს და ფულის გათეთრების მოტივით მის ერთ-ერთ ბანკში მიტანილი სამი მილიონი დოლარის კონფისკაცია მოახდინეს.

საქართველოს მესიის პრობლემა აქვს. ქვეყნის სამივე ბოლო პრეზიდენტი ხმების 90 პროცენტის მიღების შედეგად აირჩიეს, რასაც საჭიროზე მეტი დაპირება და საზოგადოების იმედგაცრუება ახლდა თან. 2003 წელს პოლიტიკურ არენაზე აღმასვლისას საакაშვილმა ამას „კეთილსა და ბოროტს შორის საბოლოო ბრძოლა“ უწოდა. ამიტომაც, ოდნავ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ თავის ერთადერთ ინტერვიუში, რომელიც Reuters-ს მისცა, ივანიშვილმაც ასევე განაცხადა: „მე აუცილებლად მოვალ ხელისუფლებაში“ და (ფრაზა, რომელიც შეიძლებოდა სააკაშვილის ეთქვა) „მე შევეცდები გავაოცო ევროპა დემოკრატიის მაღალი ხარისხით, რომელსაც მე საქართველოში შევქმნი.“

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

**ფაქტია, რომ მისი პოლიტიკურ არენაზე გამოსვლა ჯანსაღი შოკი აღმოჩნდა ქართული პოლიტიკური სისტემისთვის, რომელსაც აქამდე სამთავრობო პარტიის ჯადოს ქვეშ ეძინა.** ეს ურბანულ ცენტრებში აპათიას იწვევდა, მაშინ, როცა სოფლად ადამიანები „ნაციონალურ მოძრაობას“ ხმას შიშისგან ან ინერციით აძლევდნენ.

საქართველოს მორიგი მხსნელი არ სჭირდება.

მეორე მხრივ, ივანიშვილს გამჭრიახი პოლიტიკური ინსტინქტები აქვს. მან ხმამაღლა თქვა ის, რაზეც თბილისში ყველა ჩუმად საუბრობს: ის, რომ ზოგიერთი ე.წ. ოპოზიციური პარტია, მაგალითად „ქრისტიან დემოკრატიული პარტია“ „ფსევდო ოპოზიციას“ წარმოადგენს. მან ასევე ორი მთავარი მოკავშირე ოპოზიციური პარტია დაასახელა, სადაც, მისი აზრით, საქართველოში საუკეთესო კრიტიკული აზროვნება არსებობს: „რესპუბლიკელები“ და „ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატები“.

ჯერ ნაადრევია იმაზე საუბარი, თუ რას უნდა ნიშნავდეს ივანიშვილის გამოჩენა. თუმცა ფაქტია, რომ მისი პოლიტიკურ არენაზე გამოსვლა ჯანსაღი შოკი აღმოჩნდა ქართული პოლიტიკური სისტემისთვის, რომელსაც აქამდე სამთავრობო პარტიის ჯადოს ქვეშ ეძინა. ეს ურბანულ ცენტრებში აპათიას იწვევდა, მაშინ, როცა სოფლად ადამიანები „ნაციონალურ მოძრაობას“ ხმას შიშისგან ან ინერციით აძლევდნენ. ახლა პოლიტიკური სივრცე გაიხსნა და შესაძლოა, საქართველოს წინ ნამდვილი შეჯიბრი ელოდეს.

*სტატია პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ **National Interest** – ში. 27 ოქტომბერი, 2011 წელი.*

# რუსეთთან ურთიერთობების გადატვირთვა

**გიორგი ცხადაია**
*ილიას უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერების მაგისტრანტი*



„როიტერთან“ საუბრისას ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა: „მე არ მაქვს არჩევანი. ვისაც აირჩევს რუსი ხალხი, იძულებული ვარ, მასთან დავჯდე მოსალაპარაკებლად. დიდი ალბათობით, ეს იქნება პუტინი. რუსებს მოსწონთ ეს კაცი და ეს მათი საქმეა. თუმცა, ცივილიზებული სამყაროსთვის უფრო დემოკრატიული რუსეთი იქნებოდა საინტერესო“. ამ განცხადების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი დემოკრატიაზე აქცენტია. რუსეთთან ურთიერთობების დალაგებაც ამ საკვანძო ცნების ხაზგასმით უნდა დაიწყოს.

რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებაზე საუბრისას, ხშირად გაიგონებთ ფრაზებს „კეთილმეზობლური ურთიერთობა“, „მეგობრობა“, „პარტნიორობა“ და ა.შ. ეს ფრაზები ყურს გვჭრის იმიტომ, რომ გაუგებარია, რა ფორმით შეიძლება მოხდეს ისეთ ავტორიტარულ და ყოფილ იმპერიალისტურ ქვეყანასთან ურთიერთობების დათბობა, რომელთანაც ვომობთ?

აგვისტოს ომიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, 2008 წლის 18 სექტემბერს, ამერიკის მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა გერმანიის მარშალის ფონდში სიტყვით გამოსვლისას, ახალი მსოფლიო წესრიგის განსაზღვრის ამერიკული ვერსია შემოგვთავაზა: „ამერიკის შეერთებული შტატები და ჩვენი მეგობრები და მოკავშირეები არა მხოლოდ ევროპაში, არამედ ამერიკაში, აზიაში, აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში, დარწმუნებულნი ვართ ამ ახალგაზრდა საუკუნეში მსოფლიოს ჩვენეულ ხედვაში; ეს არის ხედვა, რომელშიც დიდი სახელმწიფო თავის ძალას განსაზღვრავს არა გავლენის სფეროებით, ნულოვანჯამიანი კონკურენციით ან თავისი ნების სუსტ სახელმწიფოებზე თავსმოხვევით, არამედ გლობალურ ბაზრებზე ღია კონკურენციით, ვაჭრობითა და განვითარებით, ერების დამოუკიდებლობის გარანტიით, ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და თავისუფლების დაცვით“.

ეს არის მსოფლიოს ის ხედვა, რომელზეც დღეს ობამას ადმინისტრაცია და ევროკავშირის სახელმწიფოები თანხმდებიან. ამ ხედვის ფარგლებში, ობამას მიერ დაწყებულმა რუსეთთან გადატვირთვის პოლიტიკამ, მიუხედავად რამდენიმე ჩავარდნისა, ამერიკისთვის ორი დადებითი შედეგი მოიტანა: რუსეთის თანხმობა ირანზე სანქციების დაწესებაზე და ავღანეთში ამერიკის ჯარების ლოჯისტიკური მომსახურებისთვის რუსეთის ტერიტორიის გამოყენება.

კონდოლიზა რაისის ზემოთ ხსენებულ განცხადებას წინ უძღოდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის მიერ რაისთან სატელეფონო საუბარში გაკეთებული კომენტარები, სადაც ის საქართველოში რეჟიმის ცვლილებაზე საუბრობდა. მაშინ რაისმა ეს კომენტარები გაეროში ამერიკის ელჩს მიაწოდა, რომელმაც რუსეთის განზრახვა მთელ მსოფლიოს გააცნო. კონფლიქტის დარეგულირებაში მაშინვე ჩაერთო ევროკავშირის მაშინდელი პრეზიდენტი ქვეყანა – საფრანგეთი და შედეგად, ცეცხლი შეწყდა და რუსეთის ჯარებმა კონფლიქტის ზონამდე დაიხიეს.

სარკოზისა და პუტინს შორის მაშინდელი მოლაპარაკებების დეტალებმა ფრანგულ პრესამდე მიაღწია. სარკოზი პუტინს არწმუნებდა, რომ ახალ მსოფლიოში რუსეთს ეკონომიკის მოდერნიზაციისთვის ევროკავშირის დახმარება სასიცოცხლოდ სჭირდება – ევროპული დახმარების გარეშე, დემოგრაფიული კრიზისისა და მოსახლეობის დაბერების ფონზე, რუსეთი დამოუკიდებლად განვითარებას ვერ შეძლებს. პუტინი ამბობდა, რომ მას შეუძლია მოიქცეს ისე, როგორც ჯორჯ ბუში მოიქცა, რაზეც სარკოზიმ უპასუხა, რომ ამ შემთხვევაში ის ბუშივით დაამთავრებდა. „ბუშივით დამთავრებაში“ იგულისხმებოდა ევროპის დიპლომატიური მხარდაჭერის დაკარგვა და ძვირადღირებულ, ცალმხრივ თამაშში ჩაბმა.

იმისთვის, რომ უკეთ გავიაზროთ თანამედროვე მსოფლიო წესრიგის განსაზღვრისთვის წარმოებული დიპლომატიური და სტრატეგიული ბრძოლები, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) მაჩვენებლებს უნდა გადავხედოთ. ეს მაჩვენებელი ზომავს ერთი წლის მანძილზე ქვეყანაში წარმოებული ყველა პროდუქტისა და მომსახურების ღირებულებას. სავალუტო ფონდის 2011 წლის მონაცემებით, მსოფლიოს ყველაზე მდიდარი 10 ქვეყნის რეიტინგი შემდეგნაირად გამოიყურება: აშშ (14.5 ტრილიონი), ჩინეთი (10.1 ტრილიონი), იაპონია (4.3 ტრილიონი), ინდოეთი (4.0 ტრილიონი), გერმანია (2.9 ტრილიონი), რუსეთი (2.2

ტრილიონი), გაერთიანებული სამეფო (2.1 ტრილიონი), ბრაზილია (2.1 ტრილიონი), საფრანგეთი (2.1 ტრილიონი), იტალია (1.7 ტრილიონი).

ამავე დროს, ევროკავშირის სახელმწიფოების საერთო მთლიანი შიდა პროდუქტი შეადგენს 15 ტრილიონს. ევროკავშირის სახელმწიფოების, ამერიკის და იაპონიის გამოკლებით, ვიღებთ ე.წ. BRIC-ის, ანუ განვითარებადი ქვეყნების „დიდ ოთხეულს", რომელსაც შეადგენენ ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი და ჩინეთი. ამ ოთხეულს უმატებენ ხოლმე სამხრეთ აფრიკასაც, რომელიც აფრიკის კონტინენტის ყველაზე მდიდარი სახელმწიფოა. საინვესტიციო ბანკის „გოლდმენ საქსის" მონაცემებით, 21-ე საუკუნეში არსებობს კიდევ სხვა 11 ქვეყანა, რომლებსაც

დიმიტრი მედვედევი და ბარაკ ობამა

დიდ ეკონომიკად გახდომის პოტენციალი აქვთ: ბანგლადეში, ეგვიპტე, ინდონეზია, ირანი, მექსიკა, ნიგერია, პაკისტანი, ფილიპინები, სამხრეთ კორეა, თურქეთი და ვიეტნამი.

ეს ყველაფერი იმიტომ აღვნიშნე, რომ უკეთ გავიაზროთ, თუ როგორ საუკუნეში მოგვიწევს ცხოვრება. 21-ე საუკუნეში მართლაც იარსებებს მულტიპოლარული მსოფლიო, მაგრამ მის დღის წესრიგს მაინც ორი ყველაზე ძლიერი და მოდერნიზებული აქტორი: აშშ და ევროკავშირი განსაზღვრავენ. სწორედ ეს ორი საერთაშორისო აქტორი ფლობს ტექნოლოგიური, ინტელექტუალური და სამხედრო რესურსების უმეტესობას.

ახალი მსოფლიო წესრიგის განმსაზღვრელი იდეოლოგია კი იქნება დაახლოებით ის, რაზეც კონდოლიზა რაისმა გერმანიის მარშალის ფონდში გამოსვლისას ისაუბრა: კონფლიქტები უნდა გადაწყდეს მშვიდობიანად და ყველა ქვეყანას უნდა მიეცეს დემოკრატიული და მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა.

საქართველო, შეიძლება ითქვას, რომ ახალი და ძველი მსოფლიოს გადაკვეთის წერტილზე მდებარეობს. რუსეთი ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული იმაზე, თუ რა როლის შესრულება სურს 21-ე საუკუნის მსოფლიოში, ამიტომ, მასთან მოლაპარაკებები რთული, დაძაბული და არასტაბილური იქნება.

**ჩვენ, ერთი მხრივ, უნდა შევძლოთ რუსეთთან ურთიერთობების აღდგენა** და მეორე მხრივ, დემოკრატიული და პროევროპული საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის შენარჩუნება.

ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის (ბალტიისპირეთის გამოკლებით), საქართველო ამერიკის ყველაზე ახლო მოკავშირეა. ამერიკისთვის (და გარკვეულწილად, ევროპისთვისაც) ეს არის შანსი, რომ დაარწმუნოს რუსეთი მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და განვითარების დოქტრინაში.

ჩვენ, ერთი მხრივ, უნდა შევძლოთ რუსეთთან ურთიერთობების აღდგენა (მშვიდობიანი თანაცხოვრების გარანტიის აღდგენა, ვაჭრობისა და მიმოსვლის გაადვილება) და მეორე მხრივ, დემოკრატიული და პროევროპული საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის შენარჩუნება. ამ პროცესში, შეიძლება მოგვიწიოს რაღაცების (ყველაზე უკიდურეს შემთხვევაში, ნატოში გაწევრიანების სურვილის) დათმობა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავთმოთ მთავარი – ევროპული ღირებულებები და ლიბერალური-დემოკრატიისკენ სწრაფვა.

ევროპასთან და ამერიკასთან თანამშრომლობა დღეს გვჭირდება არა მხოლოდ დემოკრატიის შენებისთვის, არამედ წარმატებული ეკონომიკის მისაღწევად. ევროპისგან და ამერიკისგან შეიძლება მივიღოთ 21-ე საუკუნეში ყველაზე მნიშვნელოვანი – ინტელექტუალური და ტექნოლოგიური დახმარება. ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, მენეჯმენტისა და ტექნოლოგიების გაუმჯობესების გარეშე, შეუძლებელი იქნება წარმატების მიღწევა. ასევე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია განათლების თანამედროვე სისტემის შექმნა და ამ საკითხში ევროპისა და ამერიკის გამოცდილების გამოყენება.

რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა, თავის მხრივ, დროებით დაგვეხმარება იმ სექტორებში სტაბილურობის მიღწევაში, რომლებიც ჯერ კიდევ საჭიროებენ მოდერნიზაციას.

ამიტომ, საქართველო უნდა დარჩეს ამერიკის მოკავშირე ქვეყნად, რომელიც ამერიკული გადატვირთვის პოლიტიკის ფარგლებში, რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებას შეეცდება.

# ახალგაზრდა ინგლისურენოვანი მათხოვრები

მარკ მალენი

თბილისის ქუჩებში ახალგაზრდა ინგლისურენოვანი მათხოვრების ცვენაა. ეს ახალი ფენომენია და დანამდვილებით ვერ ვიტყვი, რას უნდა ნიშნავდეს.

გასული თვეების მანძილზე, რუსთაველზე სეირნობისას, ახალგაზრდების ჯგუფმა გამაჩერა და ზრდილობიანად, შესანიშნავი ინგლისურით, ფული მთხოვა. ისინი ყოველ ჯერზე ფულს ითხოვდნენ მეგობრისთვის, რომელსაც გადაუდებელი ოპერაცია სჭირდებოდა. ეს ძალიან კეთილშობილი საქმეა და ამ შემთხვევაზე არ ვლაპარაკობ; ძირითადად, ვსაუბრობ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ფულს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მთხოვენ და ჩვეულებრივ, იგულისხმება ხოლმე, რომ გასართობად დახარჯავენ, მაგალითად, კაფეში; იყო შემთხვევები, როდესაც მათ პირდაპირ მითხრეს, რომ ფული სწორედ ამ მიზნისთვის სჭირდებოდათ.

ამ ყველაფერს ყურადღება რამდენიმე მიზეზის გამო უნდა მივაქციოთ. პირველ რიგში, უცნობებისთვის ქუჩაში ფულის თხოვნა არც ისე ზრდილობიანი საქციელია. განსაკუთრებით უხერხულია უცხოელებისთვის ფულის თხოვნა. თუ ვინმე ყველა გამვლელს აჩერებს და დახმარებას სთხოვს, მისი საქციელი ნაკლებად უხეშად გამოჩნდება, ვიდრე ექსკლუზიურად მხოლოდ უცხოელების გაჩერება. მე უცხოელის იერი მაქვს და ჩემთვის მოწყალების თხოვნა ყველა შემთხვევაში სწორედ ჩემი უცხოელობით იყო გამოწვეული. ამაში კი განსაკუთრებულ სტუმართმოყვარეობას ვერ ვხედავ.

ანუ როგორ აღიქვამენ თინეიჯერები უცხოელებს – რომ ისინი ფულის მანქანები არიან? მეტყველებს თუ არა



ეს საქციელი უცხოელების შესახებ ზოგადად ახალი თაობის შეხედულებაზე? უფრო თუ განვაზოგადებთ, რას გვეუბნება ეს ყველაფერი საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების აღქმაზე?

ქუჩაში უცნობის გაჩერებასა და ფულის თხოვნაზე უფრო შემაშფოთებელი ის ფაქტია, რომ ახალგაზრდას ურჩევნია ამგვარ საქმიანობას მიმართოს, ვიდრე სამართლიან გაცვლაში ჩაერთოს. კარგი ინგლისურის ცოდნა საქართველოში გაყიდვადი სერვისია და ახალგაზრდას მისი გამოყენებით გარკვეული რაოდენობის ფულის შოვნა შეუძლია. აქედან გამომდინარე, მოწყალების თხოვნის ნაცვლად, ეს ახალგაზრდები ფულის უფრო სამართლიანი და პატიოსანი გზებით შოვნას უნდა ცდილობდნენ.

მათხოვრობაში კომფორტის პოვნა საშიშია. ზოგი საზოგადოება მათხოვრობას უფრო კომფორტულად აღიქვამს, ვიდრე სხვები. ადამიანი თუ ერთხელ შეეჩვევა სხვებისთვის ფულის თხოვნას, შემდგომში უკვე უცნობების

**ქუჩაში უცნობის გაჩერებასა და ფულის თხოვნაზე უფრო შემაშფოთებელი ის ფაქტია, რომ ახალგაზრდას ურჩევნია ამგვარ საქმიანობას მიმართოს, ვიდრე სამართლიან გაცვლაში ჩაერთოს.** კარგი ინგლისურის ცოდნა საქართველოში გაყიდვადი სერვისია და ახალგაზრდას მისი გამოყენებით გარკვეული რაოდენობის ფულის შოვნა შეუძლია.

ნდობის მოპოვებაზე (რასაც თაღლითობა მოჰყვება), ან მათ შეწუხებაზე გადავა. ამგვარი საქციელი ადამიანს ისეთ შემარცხვენელ პოზიციაში აგდებს, რომ მასზე დიდ ფსიქოლოგიურ ეფექტს ტოვებს.

გაითვალისწინეთ, რომ მე არ ვსაუბრობ მათზე, ვისაც დახმარება ნამდვილად ესაჭიროება, მაგალითად, მათზე, ვისაც შვილის გამოკვება ან თავის გადარჩენაზე ზრუნვა უწევს. მე ვსაუბრობ ბავშვებზე, რომლებიც საუბრობენ ინგლისურად და გასართობად მათხოვრობენ. ისინი შეიძლება ამ საქციელს ადვილად შეეჩვიონ.

ამ საკითხს სხვა ასპექტებიც აქვს. ქართველ ხალხს გამბედაობის სიმწირეს ნამდვილად ვერ დავაბრალებთ, მაგრამ ქუჩაში უცნობი უცხოელის გაჩერებას და ფულის თხოვნას, გამბედაობის გარდა, სხვა რამეც სჭირდება. ეს ერთგვარი დამახინჯებული ბიზნეს უნარია.

ამდენი ინგლისურად მოლაპარაკე თინეიჯერი ახალი ფენომენია, რაც საქართველოს გლობალურ დიალოგში ჩართვას ნამდვილად წაადგება. გარკვეული აზრით, ახალგაზრდა ინგლისურენოვანი მათხოვრები გამოხატავენ თანამედროვეობას – შიშის ნაკლებობას და მეტ თავისუფლებას უცხოელებთან ურთიერთობაში. უცხოელებთან ასეთი კომფორტული დამოკიდებულება ინტერნაციონალიზაციის ნიშანია.

და ვინ იცის, იქნებ მართლა იშოვონ ფული უცხოელებისგან, თუმცა დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ არა – ჩემგან. მე არასდროს ვეხმარები მათხოვრებს; უფრო მეტად ქუჩის მუსიკოსებს ვწყალობ, განსაკუთრებით თბილისში, სადაც ბევრი მართლაც კარგად უკრავს. ჩემს სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ამგვარი დამოკიდებულებით ზოგიერთი მათხოვრის პატივისცემაც დავიმსახურე, მაგალითად, ბოშების, რომლებიც რუსთაველზე ხშირად მხვდებიან. მე მათ ყოველთვის ფორმალურად მივმართავ („თქვენობით“), ისინიც ასევე მპასუხობენ და ფულს არასდროს მთხოვენ. მე წინააღმდეგი არ ვარ, ფული მომთხოვონ, თუ ისინიც თანახმა იქნებიან, რომ ჩემგან ვერაფერს მიიღებენ.

ლიბერალი

**გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“**

**მიიღეთ თქვენი ჟურნალი ყოველ ხუთშაბათს თქვენთვის სასურველ ადგილას!**

ჟურნალის გამოწერის მსურველებმა დარეკეთ:
2962311, 2910151 პრეს-ექსპრესი

ფოტო: ლევან ცარგალელიძე

# "ნუ ძალიერობთ, ბობონა"

**ჯერ არ ყოფილა ივანიშვილის არცერთი ინტერვიუ თუ განცხადება, სადაც მას ქართული მედია არ გაეკრიტიკებინოს. მან პირველივე საჯარო პრესკონფერენციაზე მოახერხა იმის ჩვენება, რომ ეს კრიტიკა უსაფუძვლო არ არის.**

მაია წიკლაური

ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციას 200-მდე ჟურნალისტი დაესწრო, 1 ნოემბერი 2011

„ორ ჟურნალისტი და ერთი ოპერატორი ავიდეს“, – ამბობს დაცვის თანამშრომელი, შენობაში შესასვლელი მინის კარისკენ იშვერს ხელს და რაციით გადასცემს – „ვუშვებ“.

აკრედიტაციისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემოწმების, პირადი ნივთების ჩხრეკისა და მეტალო დეტექტორში გავლის შემდეგ გამწვანებული ხეივნის გავლით ბიზნესცენტრის ეზოში, მინისა და ლითონის კონსტრუქციით ნაგებ შენობასთან აღმოვჩნდით.

შენობაში შესვლისთანავე დაცვის სხვა თანამშრომლები მინის კიბეებამდე მიგვაცილებენ. კიბეებით მეორე სართულზე ავდივართ იმ დარბაზში, სადაც წინასაპრესკონფერენციო ფუსფუსი უკვე დაწყებულია.

ივანიშვილის პრესკონფერენცია ოთხ საათზე იწყება, მაგრამ ბიზნესცენტრთან შეგროვება ჟურნალისტებმა დღის პირველი საათიდან დაიწყეს. ოლიგარქთან პრესკონფერენციაზე მოსახვედრად 200-მდე ქართველმა და უცხოელმა ჟურნალისტმა გაიარა აკრედიტაცია.

თეთრი ოთახი სატელევიზიო სტუდიას ჰგავს. შუაგულში მრგვალი სცენაა მოწყობილი, სადაც ლურჯი მინის მაგიდები წრიულადაა განლაგებული. სცენის თავზე განათების აპარატებია დამონტაჟებული, ათობით ვიდეოკამერა უკვე მზადაა ქართველი მილიარდერის პირველი პრესკონფერენციის გადასაღებად.

„როგორ დავსვამთ კითხვებს?“, „პირველი ვინ იქნება?“, „ყველას გვექნება საშუალება პასუხი მივიღოთ?“, „შენ რა უნდა ჰკითხო?“, „რას მოგვიყვანეს ორი საათით ადრე?“, „მე სად დავჯდე?“ – ჟურნალისტები ცდილობენ ყველაზე მოსახერხებელ ადგილას დასხდნენ და პრესსამსახურის თანამშრომლებთან კითხვის დასმის უფლება მოიპოვონ.

„ირაკლი ტრიპოლსკი თავად მოგცემთ კითხვის დასმის უფლებას“,– იყო პასუხი.

„რას, რას! ერთი, ორი! უსუფთაოა, აბა, სხვა სიხშირე სცადე“, „თუ შეიძლება მიკროფონები ვისაც გაქვთ, რადიოგადამცემებით ყველამ ერთ სიხშირეზე დააყენეთ“, – პრესკონფერენციის დაწყებამდე ორიოდე წუთით ადრე იძლეოდა მითითებებს ხმის რეჟისორი.

საშუალო სიმაღლის, გამხდარი, ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილი მილიარდერი დარბაზში თითქმის შეუმჩნევლად, მოკრძალებულად შემოვიდა. იგი უხმოდ, ღიმილით მიუახლოვდა სცენას, დაჯდა სკამზე და თითქმის ხუთი წუთი, სანამ პირველი არხი პირდაპირ მაუწყებლობას დაიწყებდა, ხმა არ ამოუღია. ეტყობოდა, რომ ღელავდა – მაგიდაზე დალაგებულ ფურცლებს ერთმანეთზე მონდომებით ალაგებდა, ხანაც ხელებს იფშვნეტდა. სიჩუმეს მხოლოდ ფოტოაპარატების ჩხაკუნი არღვევდა.

**პრესკონფერენცია საათნახევარს გაგრძელდა და პირველი არხის ეთერში სრულად გადაიცა. პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ არავის ახსოვდა, რა თქვა ივანიშვილმა. დღის გმირები აშკარად ჟურნალისტები იყვნენ,** რომლებმაც წარმოუდგენელი არაპროფესიონალიზმი გამოამჟღავნეს, რის გამოც ოლიგარქის, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ სუსტი პასუხებიც კი შეუმჩნეველი დარჩა.

როდესაც პრესკონფერენცია დაიწყო, ივანიშვილმა თქვა, რომ ეს მისი პირველი საჯარო გამოსვლაა და რომ იგი ძალიან ღელავს.

ვიდრე ჟურნალისტები კითხვების დასმას დაიწყებდნენ, ივანიშვილი მოჰყვა, რატომ მოვიდა პოლიტიკაში. „2007 წლის ნოემბრის მოვლენებისა და 2008 წლის არჩევნების შემდეგ ვაკვირდებოდი ოპოზიციურ პარტიებს, თუმცა მივხვდი, რომ მხოლოდ ასე სიტუაციას ვერ შევცვლიდი, ამიტომ გადავწყვიტე პოლიტიკაში მოსვლა. ეს გადაწყვეტილება მივიღე იმიტომ, რომ ვკარგავდი სამშობლოს“.

შემდეგ ივანიშვილმა თქვა, რომ მისი პოლიტიკაში მოსვლის დღიდან სააკაშვილის ხელისუფლება მასზე ზეწოლის მოხდენას ცდილობს. იგი მოჰყვა „ქართუ ბანკის“ საინკასაციო მანქანის დაპატიმრების ამბავს და ისაუბრა მისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევაზე. „ეს სააკაშვილის მანერაა,“- დაასკვნა მან ბოლოს.

ოლიგარქმა საკუთარი პოლიტიკური გეგმა ასე ჩამოაყალიბა – „ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ არჩევნებში და მივიღებთ კონსტიტუციურ ცვლილებებს“. მან თქვა, რომ მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სასამართლო დამოუკიდებელი გახდება, მედია – თავისუფალი, შეიქმნება სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო, ერთ-ერთი პრიორიტეტი ბიზნესის ხელშეწყობა და დასაქმება იქნება. ივანიშვილმა საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად ევროპასთან და ამერიკასთან ურთიერთობის გაღრმავება და ამავე დროს რუსეთთან ურთერთობის დალაგება დაასახელა.

პრესკონფერენცია საათნახევარს გაგრძელდა და პირველი არხის ეთერში სრულად გადაიცა. პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ არავის ახსოვდა, რა თქვა ივანიშვილმა. დღის გმირები აშკარად ჟურნალისტები იყვნენ, რომლებმაც წარმოუდგენელი არაპროფესიონალიზმი გამოამჟღავნეს, რის გამოც ოლიგარქის, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ სუსტი პასუხებიც კი შეუმჩნეველი დარჩა.

ერთმანეთთან და პრესკონფერენციის ორგანიზატორებთან დაუნდობელი ბრძოლით მოპოვებულ მიკროფონებში ჟურნალისტები შემდეგ კითხვებს სვამდნენ: რას ფიქრობთ მეგობრობაზე, რატომ არ გიყვართ

ფოტო: ლევან ხარბედია

ბელურები, როგორი ურთიერთობა გქონდათ ბადრი პატარკაციშვილთან გარდაცვალებამდე და გარდაცვალების შემდეგ, ხართ თუ არა კრემლის უკანასკნელი იმედი?..

პრესკონფერენციაზე შექმნილი ყაყანის შეჩერება მოდერატორებმა და ორგანიზატორებმა არათუ მოახერხეს, პირიქით, თითქოს თავიანთი არაორგანიზებულობით ხელსაც კი უწყობდნენ ამ აურზაურს – რამდენიმე ჟურნალისტს ერთდროულად აწვდიდნენ მიკროფონს, მერე ართმევდნენ და სხვას გადასცემდნენ. ძაბავდა სიტუაციას თავად ივანიშვილიც, რომელიც ხშირად დამრიგებლური ტონით მიმართავდა ჟურნალისტებს.

„დამშვიდდით, ნუ ღელავთ“, – ამბობდა ივანიშვილი წამდაუწუმ. მას თავისი პრესსამსახურის უფროსის დამშვიდებამაც მოუწია: „შენ მაინც მათქმევინე“ – იუმორით მიმართა მან ჟურნალისტებთან პოლემიკაში შესულ ირაკლი ტრიპოლსკის.

„ნუ ძალადობთ, გოგონა“; „ლამაზი გოგო ხართ და ასე რატომ ნერვიულობთ“; „გაუშვით ხელი მიკროფონს“; „დამაცადეთ პასუხის გაცემა“; „რატომ ჭიდაობთ“ – გამუდმებით ისმოდა დარბაზში პრესკონფერენციის მოდერატორის – ირაკლი ტრიპოლსკის ხმა.

პრესკონფერენციაზე ივანიშვილმა მომავალ პოლიტიკურ გეგმებზე, რუსეთთან და ნატოსთან ურთიერთობებზე, აგვისტოს ომზე, ბელურებზე და სხვა მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო საკითხებზე ისაუბრა.

## აგვისტოს ომი, რუსეთთან ურთიერთობა, ვმო

ბიძინა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებაზე პასუხისმგებლობა ქართულ მხარეს ეკისრება.

„მოვიშველიებ ტალიავინის განცხადებას და სპეციალური რეზოლუციის ტექსტს, რომელშიც წერია, რომ ქართულმა მხარემ დაიწყო საომარი მოქმედება. მე შემიძლია დაგიზუსტოთ იმ ქართველებს, ვისაც ეს საწყენად მიგაჩნიათ და შეგახსენოთ, პროცესი როგორ ვითარდებოდა – როგორ იბომბებოდა ლიახვის ხეობა გაუგებარი ფორმირებების მიერ. იმის ნაცვლად, რომ სააკაშვილს მოსახლეობა გამოეყვანა, საერთაშორისო ორგანიზაციები მოეწვია და დაეფიქსირებინა, რაც კეთდებოდა, მან დაიწყო რეგიონის გაუაზრებელი დაბომბვა და ეს ფიქსირდება ყველგან“, – განაცხადა ივანიშვილმა.

მისი თქმით, ხელისუფლება უკვე სამი წელია ცენტრალური მედიის დახმარებით ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს მოსახლეობა: „სამი ტელევიზია ამ ყველაფერს ისე გადმოგვცემს, თითქოს

ომი დაიწყო რუსეთმა და გაიმარჯვა საქართველომ. ნუთუ ქართველი ხალხი ასეთი ბრიყვია? განა არ გვახსოვს, რის შემდეგ წამოვიდა რუსეთისგან დიდი აგრესია? მსოფლიოში ყველამ ყველაფერი იცის, ნუ ვცდილობთ ხალხის გაბრიყვებას. ასეთი იყო სიტუაცია. ასე გვახსოვს ჩვენ და ვერ წაშლიან მას მეხსიერებიდან, ვერ მოახდენენ ჩვენს ზომბირებას", – აღნიშნა ივანიშვილმა.

ტელეკომპანია „პირველი კავკასიურის" ჟურნალისტმა, რომელმაც ივანიშვილის მოთხოვნით კითხვა არა რუსულ, არამედ ქართულ ენაზე დასვა, ოლიგარქს რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენის შესაძლებლობებზე ჰკითხა. „რუსული ბაზარი საინტერესოა, მთელი მსოფლიო იღვწის რუსული ბაზრისკენ, სააკაშვილმა არადიპლომატიური განცხადებებით წყობიდან გამოიყვანა რუსეთის მთავრობა და ბაზარი საბოლოოდ დაიკეტა საქართველოსთვის. ეს მოხდა ომამდე და მინდა, რომ ეს კარგად დააფიქსიროთ. ჩვენ უნდა მოვახერხოთ ამ ურთიერთობის აღდგენა," – უპასუხა ივანიშვილმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ ხელისუფლებაში მისი მოსვლის შემდეგ, რუსეთთან ურთიერთობის დალაგება ადვილი არ იქნება, თუმცა გადაკვეთის წერტილები უნდა მოიძებნოს. „ეს გადაკვეთის წერტილი იქნება სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის საკითხი, რომელიც არ არის სასარგებლო თავად რუსეთისთვისაც, პირველ რიგში საერთაშორისო საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ვფიქრობ, ამ მხრივ ჩვენი ინტერესების თანხვედრა მოხდება".

კითხვას, რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ, ივანიშვილმა უპასუხა, რომ ვმო-ს მოწესრიგებულ გარემოში რუსეთის შესვლა ყველასთვის სასარგებლოა. „მოლაპარაკებებში ჩაბმით საქართველომ ახალი სიცრუის მეტი არაფერი მიიღო. მონიტორინგის შესახებ შეთანხმებაზე ხელის მოწერა საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლის შედეგი იყო და საქართველოს ინტერესი აქ არ დევს".

## „კრემლის უკანასკნელი იმედი"

„ის, რომ მე კრემლის პროექტი, აგენტი და უკანასკნელი იმედი ვარ, მოგონილია, რადგან ხელისუფლებას ჩემს წინააღმდეგ ხელჩასაჭიდი არაფერი აქვს", – ასე უპასუხა ბიძინა ივანიშვილმა შეკითხვას, რომელიც პოლიტიკაში მის მოსვლასა და რუსეთთან კავშირებს შეეხებოდა. „ხართ თუ არა თქვენ კრემლის უკანასკნელი იმედი?" – ჰკითხა მას ჟურნალისტმა.

„მუდმივად ამ თემას ატრიალებენ და აჟიტირება ხდება, თითქოს მე საქართველოში მტრული განზრახვით ვარ გამოგზავნილი. ამის საპასუხოდ ვთქვი, რომ 9 წელია რუსეთში არ ვყოფილვარ, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საკმარისი პასუხი არ აღმოჩნდა. ასეთ შემთხვევაში, მინდა მოგმართოთ, ქმედებით შემაფასოთ — 20 წლის წინ საქართველოში 450 ტრაქტორი გამოვგზავნე და იქიდან მოყოლებული მუდმივად სიკეთის მეტი არაფერი მიკეთებია. რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ მე შეიძლება საქართველოსთვის საშინელება ჩავიდინო?" – განაცხადა ივანიშვილმა.

**„რუსეთთან ურთიერთობის დასალაგებლად გადაკვეთის წერტილი იქნება სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის საკითხი,** რომელიც არ არის სასარგებლო თავად რუსეთისთვისაც, პირველ რიგში საერთაშორისო საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით".

„თუ მტრების გეშინიათ, შეხედეთ სააკაშვილს. განა მასში არ ჩანს ის, რაც გინდათ, რომ მე მომაწეროთ?! განა მტრული არაა ამდენი ძალადობა?! გარდა ამისა, ორ კარგ მაგალითს მოვიყვან — კახა ბენდუქიძეს, რომელიც პირდაპირ რუსეთიდან წამოსული მინისტრად დასვეს და გრიგოლ ვაშაძეს, რომელიც ასევე რუსეთიდან წამოსული დღეს საგარეო საქმეთა მინისტრია. რატომ მათ მიმართ არ დაისვა ეს შეკითხვები?! მინდა მივმართო საქართველოს მოსახლეობას — ჩემზე, როგორც რუსეთის პროექტზე, აგენტზე თუ იმედზე ლაპარაკობენ იმიტომ, რომ ჩემს საწინააღმდეგოდ არაფერი აქვთ ხელჩასაჭიდი. არ არსებობს ჩემს მიერ ჩადენილი არანაირი კანონდარღვევა", – აღნიშნა ივანიშვილმა.

## საქართველო და „ნატო"

ქართველმა ბიზნესმენმა პრესკონფერენციაზე საქართველოს NATO-ში გაწევრიანებისკენ სწრაფვასთან დაკავშირებით ორ კითხვას უპასუხა. ივანიშვილმა აღნიშნა, რომ სააკაშვილის ავტორიტარულმა ქმედებებმა „მნიშვნელოვნად გადაწია NATO-ში საქართველოს გაწევრიანების პერპექტივა":

„სამხედრო ინტერესების გარდა, ნატოში მისაღებად საჭიროა, ქვეყანაში მუშაობდეს დემოკრატიული ინსტიტუტები, რომლებიც სააკაშვილის ავტორიტარულმა რეჟიმმა მოსპო და ამ ქმედებებით მნიშვნელოვნად გადაწია NATO-ში საქართველოს გაწევრიანების პრესპექტივა".

ივანიშვილმა ისაუბრა ISAF-ის ოპერაციაში საქართველოს შეიარაღებული ძალების წვლილზეც და აღნიშნა, რომ ამ პროგრამასთან საქართველო კვლავ გააგრძელებს პარტნიორობას.

„ჩვენ მოვახერხეთ ჩვენი შეიარაღებული ძალებით ავღანეთსა და ერაყში პატარა პარტნიორობა ასეთი დიდი გაერთიანების. კონკრეტულად რამდენი უნდა დავამატოთ, თუ გამოვაკლოთ, ეს იქნება ანალიზის შემდეგ", – განაცხადა ბიზნესმენმა.

## მომავალი პოლიტიკური გუნდი და არჩევნები

რუსეთის თემის გარდა ჟურნალისტებისთვის საინტერესო მოქალაქეო-

ფოტო: ლევან ხაჩიშვილი

ბის არქონის გარეშე ბიძინა ივანიშვილის არჩევნებში მონაწილეობა იყო.

ივანიშვილის თქმით, მიხეილ სააკაშვილის ვერანაირი ქმედება, ვერც კანონიერი და ვერც უკანონო, მას ვერ შეუშლის ხელს „მივიდეს არჩევნებამდე“. „არჩევნებზე კი, გარწმუნებთ, რომ შევცვლით მთავრობას“, – აცხადებს მილიარდერი.

ბიზნესმენის განცხადებით, საერთაშორისო საზოგადოების ჩარევით ის მოახერხებს მოქალაქეობის აღდგენას, რაც აუცილებელი პირობაა პოლიტიკური პარტიის შესაქმნელად და არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. „ან თუ ეს არ მოხდება, მე მყავს წარმომადგენლები, ვისი მეშვეობითაც ხელისუფლებაში მოსვლას მოვახერხებ“.

„მოქალაქეობა უკანონოდ ჩამომართვეს, მაგრამ ვერ ჩამომართმევენ ქართველობას და სამშობლოს სიყვარულს, რომელიც ძალიან დიდია“, – განაცხადა ივანიშვილმა.

„საარჩევნო სიების დაზუსტებას აპირებთ? თუ კი, როგორ?“ – დაინტერესდნენ ჟურნალისტები.

„დიდი ალბათობაა, რომ ტოტალური გაყალბების მცდელობა იყოს, თუმცა, ეს არჩევნები იქნება განსხვავებული და ნუ ექნებათ განცდა, რომ რამე მსგავსი მოხდება. სააკაშვილს დღეს საკუთარი დედაც არ მისცემს ხმას, არც მისი ახლო გარემოცვა. ვიცით, რა ქმედებებსაც ახორციელებს ახლო გარემოცვის მიმართ. ის ცოტა ხმას მიიღებს და ვერ მოახერხებს არჩევნების გაყალბებას“.

პარლამენტში უმრავლესობით მოსვლის შემთხვევაში, ივანიშვილი პრეზიდენტ სააკაშვილის იმპიჩმენტის პროცედურას დაიწყებს. ასეთი იყო ოლიგარქის პასუხი კითხვაზე – როგორ აპირებს იგი მიხეილ სააკაშვილთან ურთიერთობას, რომელიც საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კიდევ ერთი წელი პრეზიდენტის თანამდებობაზე დარჩება.

„მიუხედავად იმისა, რომ სააკაშ-

ვილმა კონსტიტუცია მაქსიმალურად მოირგო თავის ხასიათზე, პარლამენტში უმრავლესობით მოსვლით მყისიერად დავიწყებთ მისი იმპიჩმენტის საკითხის განხილვას, თუ თვითონ ვერ მოახერხებს განცხადების დაწერას“, – განაცხადა ივანიშვილმა.

თავის პოლიტიკურ პარტნიორებზე საუბრისას მან თქვა: „ჩემს გუნდში იქნება მაქსიმალურად ახალი სახეები. რაც შეეხება თანამშრომლობას, მე თანამშრომლობას ყველა ოპოზიციურ პარტიასთან ვაპირებ. ჩვენ მოვდივართ საქართველოს გამთლიანებისთვის. აქედან გამომდინარე, უნდა მოვახერხოთ ყველა ძალასთან თანამშრომლობა, თუმცა თანამშრომლობა არ ნიშნავს გაერთიანებას“, – განაცხადა ივანიშვილმა.

## ქართული მედია

ბიძინა ივანიშვილმა ამჯერადაც გააკრიტიკა ქართული მედია და მას გულწრფელობა და „ბრძანებებისგან გათავისუფლება“ ურჩია. „გეტყობათ, რომ წინასწარ მომზადებული მოხვედით“, – ხშირად იმეორებდა ივანიშვილი ჟურნალისტების მისამართით. „წინასწარ მომზადებაში“ იგი შეკვეთილ კითხვებს გულისხმობდა.

ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციაზე პირველი შეკითხვა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წარმომადგენელმა დასვა, რომელმაც ბიზნესმენს „მედიაზე თავდასხმისთვის“ უსაყვედურა. პირველი არხის ჟურნალისტის თქმით, პრესკონფერენციაზე შესვლისას მედიის წარმომადგენლებმა შეურაცხმყოფელი შემოწმება გაიარეს.

„თქვენ მომავალშიც ამ მეთოდით აპირებთ ჟურნალისტებთან ურთიერთობას და არის თუ არა ეს ის დემოკრატია, რითაც ივანიშვილს ევროპის გაოცება სურს?“ – იკითხა ჟურნალისტმა.

“ჩემი მიზანია ნამდვილი დემოკრატიული გარემოს შექმნა, ნამდვილი მედია და არა ის, რასაც წარმოადგენს „პირველი არხი“, „რუსთავი 2“ და „იმედი“. თავი დავანებოთ ერთმანეთის მოტყუებას, თვალებში შევხედოთ ერთმანეთს, გავუღიმოთ და სიმართლე ვთქვათ“, — განაცხადა ივანიშვილმა.

რაც შეეხება „მაესტროს“ და „კავკასიას“, ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ მათ მცირე შენიშვნები მისცა, რადგან მიაჩნია, რომ თუ ისინი ოპოზიციურები და ობიექტურები არიან, ობიექტურები უნდა იყვნენ და არა ნახევრად ობიექტურები.

## ეროვნული, რელიგიური და სექსუალური უმცირესობები

„როგორი იქნება თქვენი პოლიტიკა ეროვნული, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების მიმართ“, – ჰკითხა ივანიშვილს „ნეტგაზეთის“ჟურნალისტმა თაზო კუპრეიშვილმა.

**„დიდი ალბათობაა, რომ ტოტალური გაყალბების მცდელობა იყოს, თუმცა, ნუ ექნებათ განცდა, რომ რამე მსგავსი მოხდება.** სააკაშვილს დღეს საკუთარი დედაც არ მისცემს ხმას, არც მისი ახლო გარემოცვა. ის ცოტა ხმას მიიღებს და ვერ მოახერხებს არჩევნების გაყალბებას“.

ივანიშვილმა ამ კითხვას ყოველგვარი დაფიქრების გარეშე, მოკლედ და კონკრეტულად უპასუხა „მე მიმაჩნია, რომ სექსუალური, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები არიან ისეთივე წევრები ჩვენი საზოგადოების, როგორც ყველა სხვა დანარჩენი მოსახლეობა და დამოკიდებულება მათ მიმართ იქნება ისეთივე, როგორიც ყველასთან“.

## ხოდორკოვსკი და ლებედი

ბიზნესმენმა „იუკოსის“ ყოფილი ხელმძღვანელის, მიხეილ ხოდორკოვსკის საქმესთან დაკავშირებით დასმულ კითხვასაც უპასუხა. მან არ უწოდა ხოდორკოვსკის პოლიტპატიმარი. ივანიშვილმა აღნიშნა, რომ ამ საქმის დეტალებს უშუალოდ იცნობს: „ცივილიზებულმა სამყარომ გვიან დაიწყო ამ საკითხის განხილვა. მე კარგად ვიცი, რომ აუქციონის გამართვისას, დასაწყისშივე იყო დიდი შეცდომები. თუმცა, ხოდორკოვსკი არჩევითობით დაისაჯა, რაც მართებულად არ მიმაჩნია“, – აღნიშნა ივანიშვილმა.

ივანიშვილს რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნების დროს გენერალ ლებედის წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებაზეც ჰკითხეს. ივანიშვილის თქმით, მაშინ ჯერ კიდევ ძლიერი იყო კომუნისტური ფრთა და ლებედის წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებით მან ხელი შეუწყო ხელისუფლებაში ელცინის მოსვლას და კომუნისტების დამარცხებას, რამაც საბოლოოდ დაუსვა წერტილი საბჭოთა კავშირს.

გენერალი ლებედი 1989 წელს თბილისში 9 აპრილის სადამსჯელო ოპერაციაში მონაწილეობდა და ასევე 1992 წელს მოლდოვაში დნესტრისპირელი სეპარატისტების მხარეს მებრძოლ რუსულ სამხედრო დანაყოფებს ედგა სათავეში.

## ბელურები და პინგვინები

მხიარულება გამოიწვია პრეს-კონფერენციაზე ტელეკომპანია „რეალ ტვ“-ის შეკითხვამ ბელურების შესახებ.

„მე მაინტერესებს პასუხი ბელურებთან დაკავშირებით, ბევრს საუბრობთ, რის გამო არ გიყვართ ბელურები, იმიტომ, რომ თქვენმა პინგვინმა შეჭამა და გარდაიცვალა, თუ იმიტომ, რომ მერცხლებს უნგრევს ბუდეს?“

„თქვენი ტელევიზია ძალიან არაორდინალურია. მე ჩემი პასუხებით მეშინია, რომ მკითხავებს არ წავართვა ადგილი და უხელფასოდ არ დავტოვო... სხვათა შორის, ვანო მერაბიშვილზე უკეთესი წარმოდგენა მქონდა. ბელურები, სხვათაშორის, სააკაშვილს მაგონებენ...“ – უპასუხა ჟურნალისტს ბიზნესმენმა.

საქართველო-რუსეთი

# დიდი ფსონი

საერთაშორისო შუამავლები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან დაკავშირებით ქართულ-რუსული მოლაპარაკებების გადარჩენას ცდილობენ.

**ოლესია ვართანიანი, „რადიო თავისუფლება“, „ლიბერალისთვის“**

აფხაზეთთან შემაერთებელი ხიდი მდინარე ფსოუზე

გასულ კვირას ქართულ-რუსული მოლაპარაკებების ბოლო რაუნდი უნდა გამართულიყო. ქვეყნების წარმომადგენლების განწყობა შეხვედრის დასაწყისშივე პესიმისტური იყო. მათი ვარაუდით, ორ-სამსაათიანი შეხვედრის შემდეგ ნათელი გახდებოდა, რომ ნახევარწლიანმა მოლაპარაკებებმა შედეგი ვერ გამოიღო, შემდეგ მშვიდად გაემართებოდნენ საკუთარი დედაქალაქებისკენ, გზად კი ჟურნალისტებს ერთმანეთის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს გააცნობდნენ.

შესაძლოა, ასეც მომხდარიყო, რომ არა შვეიცარიელი შუამავლების მტკიცე პოზიცია. რამდენიმე საათის ნაცვლად, მხარეებს მოლაპარაკებების მაგიდასთან სამი დღის გატარება მოუწიათ. შესვენებებზე ჟურნალისტებთან საუბრისას ისინი მოლაპარაკებების გაწელვასთან დაკავშირებით გაღიზიანებას ვერ მალავდნენ.

„ჩვენ არ შეგვიძლია არაკონსტრუქციულად მოქცევა“, – აღნიშნა შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილემ. ფსონი ძალიან დიდი იყო იმისათვის, რომ მოლაპარაკე-

ბების რომელიმე წევრს შეხვედრა დაეტოვებინა. არცერთ მხარეს არ სურდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) რუსეთის გაწევრიანების მრავალთვიანი პროცესის ჩაშლის პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აეღო.

ამასობაში კი შვეიცარიელი შუამავლები ერთიმეორის მიყოლებით სვამდნენ დეტალურ კითხვებს და მონაწილეებს უმნიშვნელო წინადადებების განხილვასაც კი სთავაზობდნენ.

წერტილის დასმას ქართული მხარე შეეცადა. მოლაპარაკებების მესამე დღეს მან დიპლომატებს და ჟურნალისტებს წერილობითი განცხადება გაუგზავნა, რომელშიც დიპლომატიური ენიდან თარგმანში შემდეგი იყო ნათქვამი: „მორჩა, საქართველო შვეიცარიელების წინადადებებით კმაყოფილია, მეტ არანაირ დათმობაზე წასვლას არ ვაპირებთ. ეს იმას ნიშნავს, რომ განსახილველიც მეტი არაფერია. პასუხი ახლა მოსკოვს მოსთხოვეთ, შვეიცარიელებს კი ძალისხმევისთვის მადლობა“.

ამით თბილისმა წერტილი დაუსვა დასავლელი პოლიტიკოსების ყველა მოლოდინს, რომ ის უარს იტყოდა თავის პრინციპულ მოთხოვნაზე, მდინარე ფსოუსთან და როკის გვირაბთან არსებულ საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე ეფექტიანი კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებით.

ქართველი დიპლომატების განმარტებით, ისინი ისედაც ბევრ დათმობაზე წავიდნენ. მათ უარი თქვეს გამშვებ პუნქტებზე ქართველი მებაჟეების დაყენებაზე. მოგვიანებით კი იმაზეც დათანხმდნენ, რომ კონტროლი არა საერთაშორისო დამკვირვებლებს განეხორციელებინათ, როგორც ამას დასაწყისში ითხოვდნენ, არამედ კერძო ევროპული კომპანიის მიერ დაქირავებულ პირებს. ამაზე მეტ დათმობებზე წასვლას თბილისი არ აპირებს.

საქართველოს განცხადებას უმალ მოჰყვა ევროპელი მინისტრების მხრიდან მოსკოვის მისამართით გაკეთებული მოწოდებები, რომ შვეიცარიელი შუამავლების პირობებს დათანხმებოდა, მათ შორის აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის გამშვებ პუნქტებზე საერთაშორისო წარმომადგენლობის დაშვებასთან დაკავშირებით. თუმცა, ცხადია, ევროპელ პოლიტიკოსეს ნაკლებად სჯეროდათ, რომ რუსეთი მოულოდნელად შეიცვლიდა პოზიციას.

ქართულ მხარესთან ნახევარწლიანი მოლაპარაკებების მანძილზე რუსეთის წარმომადგენლებს სოხუმის და ცხინვალის ხელმძღვანელობასთან გამშვებ პუნქტებზე საერთაშორისო დამკვირვებლების დაყენების შესაძლებლობა არცერთხელ არ განუხილავთ. მეტიც, ამ შემოთავაზების მიუღებლობის სადემონსტრაციოდ ზაფხულში რუსეთის პრეზიდენტმა სახელმწიფო დუმაში რატიფიკაციაზე ორი დოკუმენტი გაიტანა: ცხინვალთან და სოხუმთან 2010 წელს ხელმოწერილი შეთანხმებები „საბაჟო საკითხებში თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების“ შესახებ. ოთხშაბათს დუმამ ეს დოკუმენტები დაჩქარებული წესით განიხილა და მიიღო.

**ბათუმის შეხვედრის მთავარ შედეგად ის იქცა, რომ ოთხშაბათს, რუსეთის ვმო-ში გაწევრიანების მრავალთვიანი მოსამზადებელი პროცესის მთავარი ღონისძიების წინ,** ჟენევაში ქართულ-რუსული მოლაპარაკებების დამატებითი ორდღიანი რაუნდი გაიმართება.

მოსკოვის ასეთი ხისტი პოზიციის ფონზე კვირას შვეიცარიის პრეზიდენტმა მიშელინ კალმი-რეიმ მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა. პრეზიდენტ მედვედევის შენიშვნების მოსასმენად ის პირადად მოსკოვში ჩავიდა.

თბილისში ვარაუდობდნენ, რომ ამ შეხვედრისას შვეიცარიელი შუამავლები საბოლოოდ დარწმუნდებოდნენ, რომ რუსეთის ხელისუფლებას უკომპრომისიო პოზიცია გააჩნია. ეს კი იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ მოლაპარაკებები უნდა შეწყვეტილიყო.

ამაში დარწმუნებული ქართველები მოსკოვიდან დაბრუნებულ შვეიცარიელ პრეზიდენტს მოდუნებულ გარემოში შეხვდნენ. მოლაპარაკებების გასამართავად არა საქმიანი კაბინეტი, არამედ ბათუმის ბულვარში მდებარე რესტორანი შეარჩიეს, საიდანაც ზღვაზე ლამაზი ხედი იშლებოდა.

სანამ შვეიცარიელი დიპლომატები გაშლილ სუფრაზე დოკუმენტებით სავსე საქაღალდეებს ანყობდნენ, ქართველი ჩინოსნები განსაკუთრებული დაძაბულობის გარეშე მუხლებზე ხელსახოცებს ისწორებდნენ და გემრიელი ვახშმისთვის ემზადებოდნენ.

ზუსტად რამდენი ხანს გაგრძელდა და რა განწყობა სუფევდა ამ შეხვედრაზე, უცნობია. შეხვედრის დასრულების შემდეგ მონაწილეებმა მოლაპარაკების ნებისმიერი დეტალის გაჟღერებაზე უარი თქვეს.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინტერნეტ საიტზე მოკლე შეტყობინება გამოქვეყნდა, სადაც ნათქვამი იყო, რომ ქართული მხარის იმედების საწინააღმდეგოდ კალმი-რეიმ თბილისში რუსეთის საბოლოო პასუხი ვერ ჩამოიტანა.

ბათუმის შეხვედრის მთავარ შედეგად ის იქცა, რომ ოთხშაბათს ჟენევაში ქართულ-რუსული მოლაპარაკებების დამატებითი ორდღიანი რაუნდი გაიმართება. ეს შეხვედრა რუსეთის ვმო-ში გაწევრიანების მრავალთვიანი მოსამზადებელი პროცესის მთავარი ღონისძიების წინ გაიმართება – მომავალ ოთხშაბათს ჟენევაში ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების სხდომა დაიწყება, სადაც რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით წინასწარ დოკუმენტს განიხილავენ.

წესდების თანახმად, დოკუმენტის მიღებაზე საქართველოს უარის შემთხვევაში, რუსეთის გაწევრიანების საკითხი დეკემბრის შუა რიცხვებში დაგეგმილ მინისტრთა კონფერენციის დღის წესრიგშიც კი ვერ მოხვდება. სწორედ დეკემბერში გეგმავდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია ახალი წევრების ოფიციალურად მიღებას.

საარჩევნო კოდექსი

# ვენეციის კომისიის შენიშვნები

ახალი საარჩევნო კოდექსის პროექტი ვენეციის კომისიის რეკომენდაციების დიდ ნაწილს ისევ არ ითვალისწინებს.

**მაია წიკლაური**

საარჩევნო კოდექსზე მუშაობის თითქმის ერთწლიანი პროცესი დასასრულს უახლოვდება. დეკემბერში კოდექსი, რომლის შემუშავებაში გასულ წელს, ხელისუფლებასთან ერთად, 8 ოპოზიციური პარტიაც მონაწილეობდა, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განიხილება.

ევროპის საბჭოს დამოუკიდებელ ექსპერტთა საკონსულტაციო ორგანო – ვენეციის კომისია, რომელმაც დეკემბერში ახალ კოდექსთან დაკავშირებით საბოლოო საექსპერტო დასკვნა უნდა წარმოადგინოს, შუალედურ შეფასებებს უკვე აკეთებს.

27 ოქტომბერს გამართულ ბრიფინგზე კომისიის მდივანმა თომას მარკერტმა თბილისში ორდღიანი სამუშაო ვიზიტის შემდეგ ქართველ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „ვიდრე ახალი საარჩევნო კოდექსის პროექტს პარლამენტი დაამტკიცებს, მან შემდგომი გაუმჯობესება უნდა განიცადოს“.

როგორც წესი, საბოლოო საექსპერტო დასკვნის გამოქვეყნებამდე, ვენეციის კომისია იშვიათად აკეთებს პრესისთვის ღია განცხადებებს. 27 ოქტომბერს გამართული ბრიფინგი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ კოდექსი, რომელმაც საქართველოში საარჩევნო გარემო უნდა გაუმჯობესოს და ქვეყანა შემდგომი უმნიშვნელოვანესი არჩევნებისთვის მოამზადოს, საერთაშორისო თანამეგობრობის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

19 ოქტომბერს თბილისში ვიზიტისას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ უილიამ ბერნსმა ხაზგასმით განაცხადა, რომ „ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს მოუწოდებს, გაატაროს საარჩევნო კოდექსის რეფორმა და სამართლიანი არჩევნების უზრუნველსაყოფად ყველასთვის თანაბარი პირობები შექმნას, რათა 2013 წელს სრული დემოკრატიული გზით ძალაუფლების გადაცემა მოხდეს“.

**ოპოზიცია შიშობს, რომ ხმის მიცემის უფლება თავისუფალ არჩევნებს არ უზრუნველყოფს,** გაძლიერდება პატიმრებზე ზეწოლა და საპატიმრო დაწესებულებებში გახსნილ უბნებზე ხელისუფლება ხმების 100 პროცენტს მიიღებს.

ვენეციის კომისიის დელეგაციის ხელმძღვანელმა თომას მარკერტმა ქართველ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იმ შენიშვნების ნაწილი, რაც ქართულმა მხარემ 2008 და 2010 წლების არჩევნების შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მიიღო, ახალ საარჩევნო პროექტში „გათვალისწინებული ისევ არ არის“.

მისი თქმით, კვლავ არსებობს პრობლემები საარჩევნო ადმინისტრაციის, საარჩევნო კამპანიის დაფინანსების, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების, საარჩევნო დავების გადაწყვეტის და საარჩევნო სისტემის თაობაზე.

კოდექსში შესული მთავარი ცვლილებების მიხედვით, დეპუტატთა რაოდენობა 150-დან 190-მდე გაიზრდება, საარჩევნო უბნებზე აღარ განთავსდება ვიდეოთვალი, არ განხორციელდება ამომრჩევლის მარკირება და წინასაარჩევნო კამპანიის ხარჯები აუნაზღაურდებათ იმ პარტიებს, რომლებიც 5-პროცენტიან საარჩევნო ბარიერს გადალახავენ.

ოპოზიციისა და ხელისუფლების შეთანხმების შედეგად იურიდიულ და ფიზიკურ პირებს საარჩევნო სუბიექტის ანგარიშზე ორჯერ მეტი თანხის გადარიცხვა შეეძლებათ, ვიდრე ადრე შეეძლოთ. დაფინანსების ლიმიტი იურიდიული პირებისათვის 200 – ათას ლარამდე, ფიზიკური პირებისათვის 60 ათას ლარამდე გაიზარდა. ასევე, ერთ მილიონ ლარამდე საარჩევნო კამპანიის ხარჯი აუნაზღაურდება პარტიას, რომელიც არჩევნებში 5-პროცენტიან ბარიერს გადალახავს. პოლიტიკური პარტიებისათვის დაფინანსების ზრდის საკითხს ვენეციის კომისია დადებითად აფასებს.

ოპოზიციის, ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ მარკერტმა ასევე განაცხადა, რომ საქართველოს მხრიდან არსებობს მზადყოფნა, პროექტის დასახვეწად გარკვეული ნაბიჯები გადაიდგას.

ვენეციის კომისიის მდივნის განმარტებით, არსებული პროექტი პატიმართა უფლებებს საარჩევნო პროცესში სრულყოფილად არ ითვალისწინებს და

ასევე არასამართლებრივია, როდესაც კანდიდატებს არჩევნებში დარეგისტრირება პოლიტიკური პარტიებისგან დამოუკიდებლად არ შეუძლიათ.

ვენეციის კომისიის ამ ორი რეკომენდაციის გათვალისწინებას საარჩევნო პროექტზე მომუშავე ჯგუფის ოპოზიციონერი წარმომადგენლები ეწინააღმდეგებიან და ფიქრობენ, რომ მმართველ პარტიას ეს პუნქტები არჩევნებში უფრო მეტ უპირატესობას მიანიჭებს.

გასულ არჩევნებში ხმის მიცემის უფლებით მხოლოდ წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები სარგებლობდნენ. თუმცა საარჩევნო კოდექსის ახალი პროექტი შედარებით მსუბუქი დანაშაულისთვის მსჯავრდადებული პატიმრების უფლებასაც ითვალისწინებს. ეს ცვლილება დოკუმენტში ვენეციის კომისიის რეკომენდაციითა და მმართველი პარტიის ინიციატივით შევიდა.

ოპოზიციური პარტიების წევრები შიშობენ, რომ პატიმრებისთვის ხმის მიცემის უფლება თავისუფალ არჩევნებს არ უზრუნველყოფს და საპატიმროში მყოფ პირებზე ზეწოლა გაძლიერდება. „ნაციონალური მოძრაობის“ ოპონენტები ვარაუდობენ, რომ საპატიმრო დაწესებულებებში გახსნილ უბნებზე ხელისუფლება ხმების 100 პროცენტს მიიღებს.

„ჩვენთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას აქვს სურვილი, პატიმრებს მისცეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ასეთივეა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებაც. შესაბამისად, საქართველო, როგორც ევროსაბჭოს წევრი, ვალდებულია სისრულეში მოიყვანოს სასამართლოს ეს გადაწყვეტილება, თუმცა, ასევე აუცილებელია ყველა ზომის გატარება იმისათვის, რომ არჩევნები სასჯელაღსრულების სისტემაში მართლაც თავისუფალ გარემოში და ფარული კენჭისყრის პირობებში ჩატარდეს“, – აღნიშნა თომას მარკერტმა.

„ქრისტიან-დემოკრატმა“ გიორგი ახვლედიანმა ვენეციის კომისიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას საინიციატივო ჯგუფებისათვის მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენის უფლების გაუქმების საკითხიც დააყენა. ახვლედიანმა „ლიბერალს“ განუცხადა, რომ ამ გზით „ნაციონალურ მოძრაობას“ საარჩევნო ოლქებში ერთზე მეტი კანდიდატის დაყენების საშუალება ეძლევა.

„ახალმა მემარჯვენეებმა“ ვენეციის კომისიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას აღნიშნეს, რომ ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ოპოზიციისა და ხელისუფლების უკვე მიღწეული შეთანხმება და დამატებითი პუნქტები საარჩევნო კოდექსში არ უნდა შეიტანოს.

შეთანხმებას ხელისუფლებასთან „ახალმა მემარჯვენეებმა“ და „ქრისტიან დემოკრატებმა“ 27 ივლისს მიაღწიეს, რასაც საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ოპოზიციური „რვიანის“ დაშლა მოჰყვა.

მას შემდეგ, რაც ეს შეთანხმება დაიდო, საარჩევნო კოდექსის პროექტში, რომელიც მმართველმა პარტიამ პარლამენტში წარადგინა, შემდეგი საკითხები გაჩნდა: კანონპროექტი პრეზიდენტის რწმუნებულებს უფლებას აძლევს საარჩევნო კამპანიაში ჩაერთონ, ასევე იმ კომპანიებს, რომლის 50 პროცენტსაც სახელმწიფო ფლობს, უფლებას აძლევს, საარჩევნო კამპანიები დააფინანსონ.

„ჩვენ მიგვაჩნია, რომ რწმუნებულებს არ უნდა ჰქონდეთ საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის მიღების უფლება. რაც შეეხება იმ კომპანიებს, რომელთა 50 პროცენტს სახელმწიფო ფლობს, შესაძლებელია მათთან მიმართებაში განსხვავებული მიდგომა ჩამოვაყალიბოთ, ვიდრე ეს დღეს არის“, – აღნიშნა თომას მარკერტმა.

უმრავლესობის წევრმა პავლე კუბლაშვილმა აღნიშნა, რომ გაითვალისწინებენ ვენეციის კომისიის მოთხოვნას და იმ კომპანიებს, რომელთა 50 პროცენტს სახელმწიფო ფლობს, საარჩევნო კამპანიების დაფინანსების უფლება არ მიეცემათ.

რწმუნებულებთან დაკავშირებით კი, კუბლაშვილმა განაცხადა: „რწმუნებულები პარტიული ფიგურები არიან და ლოგიკურია, თუკი წინასაარჩევნო კამპანიაში ჩაერთვებიან“.

კიდევ ერთი პრობლემა, რაზეც ვენეციის კომისიის წარმომადგენლებმა ისაუბრეს, საარჩევნო სისტემას და ოლქების განაწილებას შეეხება. მათი განცხადებით, საარჩევნო უბნებში მოსახლეობა ისევ არ არის პროპორციულად გადანაწილებული.

„ზოგიერთ უბანზე უფრო მეტი ამომრჩეველია, ვიდრე, მაგალითად, მაღალმთიან რეგიონში“, – განაცხადა მარკერტმა.

უმრავლესობის განმარტებით კი, ოლქების პრობლემა „შეძლებისდაგვარად მოგვარდა“.

საარჩევნო უბნებზე ვიდეო გადაღების და მარკირების სისტემა კანონპროექტში ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით გაუქმდა. ოპოზიციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ვიდეოკამერების და მარკირების არარსებობა არჩევნების სამართლიანობის ხარისხს მკვეთრად შეამცირებს და ე.წ. „საარჩევნო კარუსელებით“ გაყალბებას შეუწყობს ხელს.

„რაც შეეხება ვებკამერების საარჩევნო უბნებზე გამოყენებას, ყოველთვის გვაწუხებდა ის, რომ შესაძლებელი იყო ამ კამერებს გამოეწვია ამომრჩეველთა სიფრთხილე და დაშინება. გარკვეული პრობლემები არსებობდა მარკირებასთან დაკავშირებითაც. აშკარაა, რომ მარკირებისა და ვებკამერის გამოყენების სანაცვლოდ, სხვა გზები და მიდგომები უნდა გამოინახოს. გრძელვადიან პერსპექტივაში ბიომეტრიული მონაცემების გამოყენება იქნებოდა ყველაზე კარგი და ოპტიმალური გამოსავალი, მაგრამ ამას, ალბათ, დიდი დრო დასჭირდება და ვერ მოესწრება უახლოესი არჩევნებისთვის“, – აღნიშნეს ვენეციის კომისიის წარმომადგენლებმა.

ქართველი კანონმდებლები საარჩევნო კანონპროექტზე მუშაობას ნოემბერში საკომიტეტო ფორმატში განაგრძობენ. პროექტი კი პარლამენტის პლენარულ სხდომებზე მხოლოდ მას შემდეგ განიხილება, რაც ვენეციის კომისია საბოლოო რეკომენდაციებს შეიმუშავებს. კუბლაშვილი ვარაუდობს, რომ ვენეციის კომისიისგან დასკვნას ნოემბრის ბოლოსთვის მიიღებენ და საკითხი საკანონმდებლო ორგანოში საჯაროდ განსახილველად დეკემბერში გავა.

აფხაზეთი

# თავსატეხის ამოხსნა გვიანდება

მთავრობის ფორმირების მტკივნეულმა პროცესმა აჩვენა, რომ ანქვაბს აფხაზეთში თავისი გუნდი არ ჰყავს.

**ინალ ხაშიგი**

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ალექსანდრ ანქვაბი

ფოტო: დაფნა სარიანიდი / REUTERS

ორი კვირის წინ აფხაზეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებას განათლების, შინაგან საქმეთა და სოციალური განვითარების მინისტრების დანიშვნასთან დაკავშირებით. ამ თანამდებობებზე მოვალეობის შესრულებას, შესაბამისი რიგითობით, დაურნაჭყებია, ოთარ ხეცია და ოლგა კოლტუკოვა შეუდგნენ.

ახალი მთავრობა, თუ ჭადრაკის ტერმინოლოგიას გამოვიყენებთ, ცაიტნოტის რეჟიმში ფორმირდება. თუ ახალი მინისტრების დანიშვნის ტემპებს გადავხედავთ, კანონით გათვალისწინებული ერთთვიანი ვადა, შესაძლოა, საკმარისი არ აღმოჩნდეს.

მინისტრებს ერთდროულად არ ნიშნავენ. ახლად დანიშნული მინისტრების შესახებ ბრძანებულებებს დოზირებულად გამოსცემენ. როგორც იტყვიან: დღეში ერთი ჩაის კოვზი.

პროცესი ისეთი წვალებით მიიწევს წინ, თითქოს მრავალი, ერთმანეთის მსგავსი ფრაგმენტიდან თავსატეხს აწყობენ, რომელმაც საბოლოო სურათი უნდა შექმნას. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს საბოლოო სურათი, რომელიც ამ თავსატეხისგან უნდა შეიქმნას, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ოსტატი ბრმად, გუმანით მოქმედებს.

მოსწონს ეს ქვეყნის ხელმძღვანელობას, თუ არა, თითოეული ფრაგმენტი საზოგადოებრივი შეფასების აუცილებელ პროცედურას გადის. ერთ შემთხვევაში, როგორც, მაგალითად, ვიცე-პრემიერის პოსტზე და პარალელურად ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე ვლადიმირ დელბას დანიშვნისას მოხდა, საზოგადოებამ დადებითი შეფასება გასცა: „შეეფერება.“ სხვა შემთხვევაში კი, როგორც პირველ ვიცე-პრემიერად ინდირა ვადანიას, ან პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად ბესლან კუბრავას დანიშვნისას მოხდა, ამას აღშფოთებული რეაქცია მოჰყვა: „აცდა“. იმ პირობებში, როდესაც ტელემედია თავისუფალი არ არის, ცნობილი „ბრეხალოვკა“ – ყავის დასალევი და საჭორაო ადგილი სოხუმის სანაპიროზე და აფხაზური საიტების ფორუმები, საზოგადოებრივი აზრის ერთადერთ ინდიკატორებს წარმოადგენენ. აქ თითოეულ დანიშვნასთან დაკავშირებულ წვრილმან დეტალებსაც კი უმალ შეიტყობთ.

ხანდახან პრეზიდენტი კარნახის გარეშე, თავადაც ხვდება ხოლმე, რომ თავსატეხის ცალკეული ფრაგმენტი არ ჯდება საბოლოო სურათში და ამის შესახებ წინასწარ აცხადებს კიდეც. სოციალური განვითარების მინისტრი ოლგა კოლტუკოვა, რომელსაც გარკვევით მიახვედრეს, რომ ახალ მთავრობაში მისი ადგილი არ იყო, პრაქტიკულად, გამოემშვიდობა კოლექტივს. თუმცა სხვა კანდიდატის წარუმატებელი ძიების შემდეგ, პრეზიდენტი ანქვაბი შეუფერებელ „ფრაგმენტს“ დაუბრუნდა და, შესაძლოა უხალისოდ, მაგრამ ახალ „სურათში“ დააბრუნა. ახლა ოლგა კოლტუკოვა ისევ საპენსიო საქმეთა მინისტრია.

ახალდანიშნულებს შორის მხოლოდ განათლების მინისტრი დაურ ნაჭყებია (ის განათლებით ფიზიკოსი, მოწოდებით კი ლირიკოსია) შეიძლება ჩაითვალოს ხელისუფლების ახალწვეულად. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნაჭყებია საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „აიტაირას“ ფარგლებში ალექსანდრე ანქვაბის ერთ-ერთი ყველაზე ერთგული თანაგუნდელი იყო, მაშინ პრეზიდენტმა ამ შემთხვევაშიც არ უღალატა თავს. ის უპირატესობას ისეთ ადამიანებთან მუშაობას ანიჭებს, რომელთაც ძალიან კარგად იცნობს. ენდობა ის მათ თუ არა, დიდი მნიშვნელობა არ აქვს. იმ პირთა რაოდენობა, რომლებსაც ენდობა, ალექსანდრე ანქვაბს თავიდანვე შეზღუდული ჰქონდა. ხელისუფლებაში ანქვაბის „განსაკუთრებული ნდობის წრიდან“ პრემიერ-მინისტრ ლეონიდ ლაკერბაიას, მისი პირველი მოადგილის ინდირა ვარდანიას და კიდევ რამდენიმე ფიგურის გამოყოფა თუ შეიძლება.

ყველა სხვა დანარჩენის მიმართ არსებული უნდობლობის კომპენსირებას, სავარაუდოდ, მათი საქმიანობის მჭიდრო კონტროლით მოახდენენ. სავარაუდოდ, სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ბევრმა მინისტრის შეთავაზებულ პორტფელზე უარი განაცხადა. თანამდებობაზე უარის თქმა აფხაზეთისთვის, პრაქტიკულად, ნონსენსია. ყველა თავდაჯერებული პროფესიონალი როდი იმუშავებდა ისეთ პირობებში, როცა წინასწარ ცნობილია, რომ ყველანაირი შემოქმედებითი საწყისები მაღლიდან წამოსული დირექტივებით ჩაიხშობა.

მთავრობის ფორმირების გაწელილი პროცესი კიდევ ერთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა – ეს თავიდანვე „ალექსანდრე ანქვაბის გუნდის“, როგორც ასეთის, არარსებობაზე მიუთითებს. როგორც ჩანს, ის ნამდვილად არ ეშმაკობდა, როდესაც წინასაარჩევნო რბოლისას ამომრჩევლების წინაშე თითქმის მარტო ჩნდებოდა და ელექტორატს თავისი მომავალი გუნდის კონტურებსაც კი არ უმხელდა. უკვე ნათელია, რომ „სამუშაო“ მონახაზიც კი არ არსებობდა. ეს მონახაზები, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, როგორც ჩანს, მხოლოდ ახლა იქმნება. მხოლოდ ერთი კითხვაღა რჩება, რომელსაც საეჭვოა თავად პრეზიდენტის გარდა ვინმემ გასცეს პასუხი: მთავრობის ფორმირება კონკრეტული სტრატეგიის შესაბამისად მიმდინარეობს, თუ პრეზიდენტი სიტუაციიდან გამომდინარე მოქმედებს?

**ახლად დანიშნული მინისტრების შესახებ ბრძანებულებებს დოზირებულად გამოსცემენ. როგორც იტყვიან: დღეში ერთი ჩაის კოვზი.** პროცესი ისეთი წვალებით მიიწევს წინ, თითქოს მრავალი, ერთმანეთის მსგავსი ფრაგმენტიდან თავსატეხს აწყობენ, რომელმაც საბოლოო სურათი უნდა შექმნას.

HEINRICH BÖLL STIFTUNG
საბჭოთა ქართველოს

**სტატია მომზადებულია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის შეხედულებებს.**

# გამჭვირვალობა - მართლმსაჯულებისადმი ნდობის გაზრდის გზაა

საქართველოს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის თემა, უკვე რამდენიმე წელია, აქტუალურობას არ კარგავს. სამოქალაქო საზოგადოების ერთი ნაწილი კვლავინდებურად მიიჩნევს, რომ  გამჭვირვალობა ხელისუფლების ამ შტოსადმი ნდობის ამაღლების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

**ზურაბ ვარდიაშვილი**

უკვე რამდენიმე თვეა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ სასამართლო ხელისუფლებასთან ინტენსიურ კონსულტაციებს მართავენ. კონსულტაციებისას ეს ორგანიზაციები გამოდიან რეკომენდაციებით, რომლებიც, მათი აზრით, სასამართლო ხელისუფლებისადმი საზოგადოებრივ ნდობას აამაღლებს.

რეკომენდაციების მთავარი პათოსი კვლავაც გამჭვირვალობის ამაღლებაა – პროცესებზე ფოტო და ვიდეოკამერები ან უნდა დაუშვან, ანდა, ვიდეო-აუდიო გადაღება თავად სასამართლომ უნდა აწარმოოს, ხოლო ეს ჩანაწერი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული ჟურნალისტისათვის – ასეთია არასამთავრობოთა რჩევა.

ბოლო დროის ყველაზე გახმაურებული შემთხვევა, რომელიც სასამართლოს დახურულობის დასტურად იქცა, „ქართლის ხმის“ რედაქტორის, საბა წინიკაშვილის, თავს გადამხდარი ამბავია. იგი გორის რაიონულ სასამართლოში პროცესის მიმდინარეობას ფურცელზე აღნუსხავდა, როცა მოსამართლე ნინო გერგაულმა ფეხზე წამოაყენა და წერის შეწყვეტა მოსთხოვა.

„ერთ-ერთი ეჭვმიტანილის დაკითხვა მიმდინარეობდა“, – იხსენებს ჟურნალისტი – ფურცელი ჩამომართვეს, მაგრამ წერა ხელისგულზე განვაგრძე. მოსამართლემ ეს შენიშნა და მანდატურებს დაავალა, შევეჩერებინე. რაღა აზრი ჰქონდა იქ ყოფნას, დარბაზი დავტოვე“.

წინიკაშვილის თქმით, მისთვის სასამართლოდან ინფორმაციის მოპოვება საკმაოდ რთულია: „ბევრი პრობლემაა: – მიკროფონები ხშირად გამორთულია და ხმა არ ისმის; გამოთხოვილი ინფორმაცია უმეტესად არასრულყოფილია – გადაშლილია ყველაფერი, რაც კი ჟურნალისტს შეიძლება აინტერესებდეს: პროცესის მონაწილე პირთა სახელები, გვარები, თანამდებობები, მისამართები, ტელეფონის ნომრები...“

„საიას“ იურისტი ლინა ღვინიანიძე, სასამართლოს გამჭვირვალობის კუთხით, სამ მთავარ პრობლემას გამოყოფს: პირველი – აკრძალულია ფოტო-ვიდეო გადაღება და ტრანსლირება. მეორე – კანონით დაშვებულია, თუმცა პრაქტიკის მიხედვით იზღუდება აუდიოჩაწერა და სტენოგრაფირება; და მესამე – სასამართლოდან გამოთხოვილ საჯარო დოკუმენტებში წაშლილია სასამართლო პროცესის მონაწილეთა სახელები და გვარები, რის გამოც დოკუმენტაცია ინფორმაციული თვალსაზრისით ხშირად გამოუსადეგარი ხდება.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის თანახმად, საჭიროების შემთხვევაში „გადაღებას ახორციელებს სასამართლო, ან სასამართლოს მიერ უფლებამოსილი პირი“. თუმცა, ღვინიანიძის თქმით, სასამართლო პროცესზე ვიდეოგადაღებას თავად სასამართლოს მოხელეები, როგორც წესი, არ აწარმოებენ. ამასთან, სასამართლოს ფოტო და ვიდეომასალის გაცემას კანონიც არ ავალდებულებს, რაც, იურისტის თქმით, ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს ეწინააღმდეგება.

„სხდომათა დარბაზიდან, სასამართლოს მიერ ან მისი ნებართვით გადაღებული სატელევიზიო კადრები ხშირად ვრცელდება“, – ამბობს უზენაესი სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნანა ვასაძე. მას მაგალითად ისეთი გახმაურებული საქმეები მოჰყავს, როგორებიც იყო მუხროვანის აჯანყების, ქალთა კოლონიაში მომხდარი ბუნტის, ან ნარკოდილერებისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების პროცესი. „გარდა ამისა, ასეულობით პროცესის ჩამოთვლა შეიძლება, სადაც ტელევიზიებს კადრები და ინფორმაცია საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სასამართლოებიდან მივაწოდეთ“, – დასძენს ვასაძე.

უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურის ხელმძღვანელი ჟურნალისტებითვის დაწესებული შეზღუდვების მიზეზებსაც განმარტავს:

„აკრძალვა ორმა ძირითადმა მიზეზმა განაპირობა“, – ამბობს ის, – „ჩვენ საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება და სასამართლო დარბაზებში წესრიგის დამყარება გვსურდა“.

ნანა ვასაძის თქმით, სასამართლოებში ვიდეო და ფოტო გადაღებას თან განუწყვეტელი ექსცესები ახლდა. „დაინტერესებული პირები სასამართლოს სხვადასხვა ფორმით უშლიდნენ ხელს იმ მიზნით, რომ მათი „გულისტკივილი“ ვიდეო-კამერას დაეფიქსირებინა. დღეს პროცესები ხმაურისა და უწესრიგობის ფონზე აღარ მიმდინარეობს. რა უფრო მნიშვნელოვანია – მართლმსაჯულების მშვიდ გარემოში განხორციელება თუ ვიდეო-კამერები პროცესზე?“ – კითხვას სვამს ვასაძე.

ლინა ღვინიანიძეს მიაჩნია, რომ რაც უფრო მაღალია სასამართლო პროცესებისადმი საზოგადოებრივი ინტერესი, მით უფრო გამჭვირვალე უნდა იყოს იგი. ასეთი პროცესები იყო სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის და სხვა გახმაურებული პროცესები, რომლებიც მედიით ინტენსიურად შუქდებოდა. „საიას“ იურისტი მიიჩნევს, რომ ეს სწორი მიდგომა იყო, რადგან ამ პროცესებს თან ახლდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი.

თუმცა, ნანა ვასაძისთვის „ვიდეო-კამერა არ არის სასამართლოდან ინფორმაციის მოპოვების ერთადერთი საშუალება“. მისი თქმით, „იმ ქვეყნებში, სადაც სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობა მაღალია, ვიდეო და ფოტო გადაღება დაუშვებელია და ეს ჟურნალისტებს სულაც არ უშლის ხელს საზოგადოებას სასამართლოდან ინფორმაცია მიაწოდონ“.

როგორც ღვინიანიძე განმარტავს, საერთაშორისო გამოცდილება, სასამართლოს გამჭვირვალობის თვალსაზრისით, სხვადასხვაგვარია. ევროპასა და ამერიკაში ამ საკითხის მიმართ მრავალფეროვანი მიდგომა არსებობს. სასამართლო პროცედურები შეერთებული შტატების ერთი მესამედში

მაქსიმალურად ღიაა, მეორე მესამედი უფრო დახურულ სისტემას ამჯობინებს, გარდა ამისა, არის შტატები, სადაც სასამართლო თავად წყვეტს დაუშვას, თუ არა ტელეკამერა პროცესზე. „საერთო მართლმსაჯულების ინტერესსა და გამჭვირვალობას შორის ბალანსია დაცული", – ამბობს „საიას" იურისტი – „ყველა ქვეყანა თავად წყვეტს რა სჭირდება, ბევრ განვითარებულ სახელმწიფოში სასამართლოსადმი ნდობა იმდენად მაღალია, რომ პროცესების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი არ არსებობს. ჩვენს ქვეყანაში კი საჭიროა მეტი გამჭვირვალობა. როდესაც ადამიანი უყურებს პროცესს, იცის მოსამართლის ვინაობა, ისმენს პროკურორის თუ ადვოკატის სიტყვას, მეტი ნდობა უჩნდება. საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებით კი თავად სასამართლო ხელისუფლება უნდა იყოს დაინტერესებული".

ვასაძის ინფორმაციით, ქართული სასამართლო ნდობის ნაკლებობას არ უჩივის. 2007 წელს სასამართლოს მომხმარებელთა 30-35 პროცენტი ენდობოდა. 2007 წელს ვიდეოგადაღების აკრძალვამ კი, მისი აზრით, სულაც არ შეამცირა სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობა.

განხორციელებული რეფორმის შედეგად, „რასაც 2007 წლის აგვისტოს აღნიშნული ცვლილება დაემატა" – ნდობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და „ბოლო მონაცემების მიხედვით, 68 პროცენტი შეადგინა... ეს ცუდი შედეგი არ არის. ჩვენ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სასამართლოში ერთმანეთს მხარეები ეჯიბრებიან და ერთ-ერთი, რამდენად სამართლიანი გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს სასამართლომ, მაინც უკმაყოფილოდ გრძნობს თავს", – აღნიშნა ნანა ვასაძემ.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები, რომლებზეც ვასაძე საუბრობს, თავმოყრილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე www.supremecourt.ge 2011 წლის ოქტომბრის გამოკითხვის თანახმად, საქართველოს სასამართლო ხელისუფლებას თითქმის 58%-ზე მეტი ენდობა (http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kvleva2011oqtomberi.pdf). აღნიშნულ კვლევებს, როგორც თავად განმარტავენ, სასამართლოს მიერ დაქირავებული, დატრენინგებული მოხალისეები ატარებენ. „ოღონდ, ამ გამოკითხვებს, რა თქმა უნდა, ზედამხედველობენ საერთაშორისო ორგანიზაციები", – განმარტა ნანა ვასაძემ.

უზენაესი სასამართლოს კვლევების

**„ბევრ განვითარებულ სახელმწიფოში სასამართლოსადმი ნდობა იმდენად მაღალია, რომ პროცესების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი არ არსებობს.** ჩვენთან კი საჭიროა მეტი გამჭვირვალობა. როცა ადამიანი უყურებს პროცესს, იცის მოსამართლის ვინაობა, ისმენს პროკურორის თუ ადვოკატის სიტყვას, მეტი ნდობა უჩნდება".

გარდა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის შესახებ არსებობს სხვა კვლევებიც, რომელთა დასკვნების თანახმადაც სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი არცთუ მაღალია. ამ კვლევებს შორის აღსანიშნავია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" კვლევა „ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის ანალიზი", რომელიც 2011 წელს გამოქვეყნდა და 2010 წლის მდგომარეობა განიხილა.

აღნიშნულ კვლევაში ნათქვამია, რომ სასამართლო დამოუკიდებლობის ხარისხი შედარებით მაღალია სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავებისას. ხოლო სისხლის სამართლის დავებისას მდგომარეობა განსხვავებულია. „სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელი არ არის სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას (პროკურატურის ზეგავლენის გამო). ასევე სხვა ტიპის საქმეების განხილვისას, სადაც სასწორზე მთავრობის პოლიტიკური ინტერესები დევს (მაგალითად, საარჩევნო დავებისას)... 2010 წელს „კავკასიის კვლვითი რესურსების ცენტრის" მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში რესპონდენტების მხოლოდ 21-მა პროცენტმა განაცხადა, რომ საქართველოს სასამართლო ხელისუფლება მიუკერძოებელი იყო (ხოლო 47-მა პროცენტმა მიკერძოებულად მიიჩნია). იმავე გამოკითხვაში, რესპონდენტთა 43 პროცენტი დაეთანხმა ან ნაწილობრივ დაეთანხმა მოსაზრებას, რომ საქართველოს სასამართლოები მთავრობის გავლენის ქვეშ იმყოფებიან (18 პროცენტი კი არ დაეთანხმა, ან ნაწილობრივ არ დაეთანხმა)", – ვკითხულობთ კვლევაში. (http://transparency.ge/nis/ka/2011/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90)

არასამთავრობო სექტორსა და სასამართლო ხელისუფლებას შორის კი კვლავაც კონსულტაციები მიმდინარეობს. ამ პროცესს დადებითად აფასებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" მთავარი იურისტი გია გვილავა: „სასამართლოს მხრიდან კატეგორიულ წინააღმდეგობას არ ვაწყდებით. თუმცა, თუ შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ, მივმართავთ პარლამენტს, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციას, საელჩოებს". არასამთავრობოებს უკვე შემუშავებული აქვთ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი.

ფოტო: ანი ბაბალიაშვილი

სტუდენტების საპროტესტო აქცია თსუ-ს წინ

განათლება

# სესხი იბოლები უმაღლესი განათლების ხეფორმაში

2011 წლის მეორე ნახევარში ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე ფაკულტეტზე პროფესორების არჩევნები ჩატარდა. რამდენად სამართლიანი იყო ეს არჩევნები? ჰქონდა თუ არა საკონკურსო კომისიების გადაწყვეტილებებს პოლიტიკური ელფერი?

**ლიკა ზაკაშვილი**

## აკადემიური პერსონალის კონკურსები

მარიკა ელისაშვილს ბოლო ორი წლის განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის გეოგრაფიის მიმართულებაზე ასისტენტ-პროფესორის თანამდებობა ეკავა. 2011 წლის მეორე ნახევარში, ვადის ამოწურვამდე მან აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ვერ გავიდა. იგი კონკურსის შედეგების გასაჩივრებას აპირებს.

„დოქტორის ხარისხი 32 წლის ასაკში მივიღე, სტაჟირება გავლილი მაქვს ოქსფორდის და ბერკლის უნივერსიტეტებში, მაღალი რეიტინგის ჟურნალებში გამოქვეყნებული მაქვს 8 სამეცნიერო სტატია, ჩემს კონკურენტს კი საზღვარგარეთის ჟურნალებში არცერთი სტატია არ აქვს გამოქვეყნებული. მიუხედავად ამისა, მის პედაგოგიურ გამოცდილებას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭეს და ჩემი მონაცემები თანამდებობის დაკავებისთვის არასაკმარისად ჩამითვალეს“, – ამბობს „ლიბერალთან“ საუბრისას მარიკა ელისაშვილი.

ელისაშვილს მიაჩნია, რომ საკონკურსო კომისიამ მისი კვალიფიკაცია და სამეცნიერო მიღწევები არ გაითვალისწინა, მის კონკურენტს კი მხოლოდ იმიტომ მიანიჭა უპირატესობა, რომ მასზე მეტი პედაგოგიური გამოცდილება ჰქონდა. „წარმოიდგინეთ, რომ კონკურსში მონაწილეობის მიზნით ჩამოვიდეს რომელიმე საზღვარგარეთულ უნივერსიტეტში მოღვაწე პროფესორი. კომისიის „მუშაობის პრინციპიდან“ გამომდინარე, რა თქმა უნდა, იგი ვერ დააკმაყოფილებს კომისიის მოთხოვნებს და ვერ დაიკავებს აკადემიურ თანამდებობას“, – აღნიშნავს ელისაშვილი.

მისი აზრით, ეს არ იყო ჯანსაღი კონკურენციის პრინციპზე დაფუძნებული შეჯიბრი და არც კონკურსანტის მონაცემები შეუფასებიათ ადეკვატურად. „დროა, უნივერსიტეტში დაიწყონ ფიქრი იმაზე, თუ როგორ არჩევნებს ატარებენ და არის კი ეს არჩევნები კონკურენციაზე დაფუძნებული?“

ფოტო ანა ძანკოტაძე

სტუდენტების საპროტესტო აქცია თსუ-ს წინ

სრული და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსი 2011 წლის მაისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზეც გამოცხადდა. კონკურსის შედეგებით, რომელიც 2011 წლის 7 სექტემბერს გახდა ცნობილი, აკადემიური თანამდებობები ვერ დაიკავეს უნივერსიტეტის ყოფილმა რექტორმა გია ხუბუამ და პროფესორმა გია მეფარიშვილმა. ორივე მათგანს პედაგოგიური მუშაობის მრავაწლიანი სტაჟი აქვს და სტუდენტები მათ საუკეთესო ლექტორთა რიგებში ასახელებენ.

კომისიის მოთხოვნები სხვებმაც ვერ დააკმაყოფილეს, მაგრამ ამ ორი აპლიკანტის უნივერსიტეტის გარეთ დარჩენას იურისტთა აკადემიურ წრეში დიდი რეზონანსი მოჰყვა. რატომ ვერ დააკმაყოფილა მეფარიშვილისა და გიორგი ხუბუას აკადემიური და პედაგოგიური მოღვაწეობის ისტორიამ საკონკურსო კომისია?

ბიოგრაფიული მონაცემების თანახმად, გია მეფარიშვილი, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი და თავმჯდომარის მოადგილეც კი იყო, სისხლის სამართლის პროცესისა და სამართალწარმოების ორგანიზაციის პრობლემებზე 27 სამეცინიერო ნაშრომის ავტორია. გარდა ამისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებულ ბიოგრაფიულ მონაცემებში მითითებულია, რომ მეფარიშვილი მუშაობდა „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად, მოგვიანებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის იუსტიციისა და საპროკურორო ზედამხედველობის დეპარტამენტში ასისტენტ-პროფესორად... იყო სამართალდამცავი სტრუქტურების მოწყობის რეფორმის სამთავრობო კომისიის თავმჯდომა-

რე იუსტიციის სამინისტროში. არის უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი.“

მის ბიოგრაფიაში არცთუ უმნიშვნელო ადგილი უჭირავს გენერალურ პროკურორად მუშაობის სტაჟსაც – 1999-2001 წლებში გია მეფარიშვილი შევარდნაძის მთავრობის წევრი იყო და საქართველოს გენერალურ პროკურატურას ედგა სათავეში.

შესაძლოა, მეფარიშვილი „პოლიტიკურად არასანდო“ კანდიდატად მიიჩნიეს. ამ ეჭვს ამყარებს საკონკურსო კომისიის წევრთა გვარ-სახელები.

ხუთკაციანი კომისიიდან ოთხი საჯარო მოხელეა.

კომისიის თავჯდომარე: გიორგი პაპუაშვილი – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე;

კომისიის წევრები: გიორგი შავლიაშვილი – საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი; ლაშა კალანდაძე – თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე; დიმიტრი ძაგნიძე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;

კომისიის მეხუთე წევრი, ვასილ გონაშვილი კი სამართლის დოქტორი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი იყო.

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, საკონკურსო კომისია საქართველოს იუსტიციის მინისტრის ზურაბ ადეიშვილის გუნდის წევრებით დაკომპლექტდა და ამ გზით თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე ვერ მოხვდნენ ის კანდიდატები, რომლებსაც არ ჰქონდათ პოლიტიკური „ნდობის მანდატი.“

სტუდენტები „ლიბერალთან“ საუბარში აღნიშნავენ, რომ ხშირია შემთხვევები, როცა უნივერსიტეტს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ლექტორები ტოვებენ.

„გია მეფარიშვილის შემთხვევაში დარწმუნებული ვარ, რომ საკონკურსო კომისიამ ის მისი „პოლიტიკური გემოვნების“ გამო დაიწუნა. როცა არჩევანი ორ აპლიკანტს შორის არის გასაკეთებელი და ერთ-ერთი მათგანი სახელისუფლებო პარტიის მხარდამჭერია, რა თქმა უნდა, კომისიის სიმპათიაც მის მხარეზე იქნება“, – გამოთქვა აზრი ერთ-ერთმა სტუდენტმა.



მარინა ჩიტაშვილი

**კომენტარი**

**„ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, წმინდა ფორმალური მაჩვენებლების შემოწმების გარდა, არაფერს არ აკეთებს. ეს განსაკუთრებით ბოლო, 2010-2011 სასწავლო წლიდან შეინიშნება, როდესაც შემოიღეს სილაბუსის ახალი ფორმები. შემიძლია გითხრათ, რომ მსოფლიოში საკითხისადმი ასეთი მიდგომა სხვაგან არ არსებობს, ვინაიდან შეუძლებელია ქიმიკოსმა და სოციოლოგმა, ან ბაკალავრმა და დოქტორანტმა ერთნაირი ფორმის სილაბუსები შევადგინოთ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ეს მოთხოვნა აბსურდია. ეს აბსურდი კი აკრედიტაციის სამსახურის მიერ დაწესებული რეგულაციებიდან მოდის“.**

**■ დასავლურ უნივერსიტეტებში სტუდენტები ყოველი წელს ანონიმურად ავსებენ კითხვარს სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე. ამ ჩანაწერებში იკვეთება პროფესორის შესახებ გავრცელებულ ყველა ძირითადი შეხედულება.**

ამ მოსაზრების დასტურად მან იურიდიულ ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად 2008 წელს გამოცხადებული კონკურსის შედეგები გაიხსენა. მაშინ სისხლის სამართლის დარგში ყველაზე კომპეტენტურმა ლექტორებმა, მერაბ ტურავამ და ნინო გვენეტაძემ, კონკურსში გასვლა ვერ შეძლეს.

პოლიტიკისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტის, ლევან აბაშიძის აზრით, პრობლემა საკონკურსო კომისიის შემადგენლობაა. „საკონკურსო კომისიის წევრი არ უნდა იყოს ადამიანი, რომლის ცოდნა კონკურსში მონაწილე აპლიკანტის ცოდნას მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება. ასეთი მაგალითები კი ხშირია. სოციოლოგიის დარგში აკადემიურ თანამდებობაზე საუკეთესო აპლიკანტს, სოციოლოგიის დარგის მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალები უნდა ირჩევდნენ“, – აღნიშნავს ლევან აბაშიძე და დასძენს, რომ დარგის კვალიფიციური სპეციალისტებისგან დაკომპლექტებული კომისიის გადაწყვეტილებები სანდოდ ჩაითვლება.

საკონკურსო კომისიის ჩამოყალიბების წესში მოცემულია, რომ კომისიის წევრად არჩევის ძირითად კრიტერიუმად ობიექტურობა უნდა მიიჩნიონ, რომელიც ინტერესთა კონფლიქტის არქონასაც გულისხმობს. „ეს ნიშნავს, რომ კომისიის წევრს კონკურსანტთან არ უნდა ჰქონდეს ნათესაურ-მეგობრული კავშირები. აღარ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ კომისიის წევრზე გავლენა არ უნდა მოახდინოს ასარჩევი პირის სტატუსმა, გავლენამ და ა.შ. ასევე წარმოუდგენელია ხელისუფლების ჩართვა საკონკურსო კომისიის საქმიანობაში“, – გვითხრა სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრულმა პროფესორმა იაგო კაჭკაჭიშვილმა. მისი აზრით, მეტად რთულია სასამართლოს წარმომადგენელმა ხელისუფლებასთან დაპირისპირებული, ან იგივე სასამართლო ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ადამიანის კანდიდატურა აკადემიურ თანამდებობაზე დაამტკიცოს.

კაჭკაჭიშვილი თვლის, რომ კომისიის ტენდენციური მუშაობის თავიდან ასიცილებად საჭიროა ისეთი სისტემის შექმნა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება გადაწყვეტილებების დასაბუთება და ნებისმიერი მომჩივანის პრეტენზიებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემა.

„კვალიფიკაცია, როგორც გარკვეული მახასიათებელი, გაზომვადი კატეგორიაა. შესაძლებელია, ადამიანს ბევრი მაჩვენებლის მიხედვით შეუმოწმო კვალიფიკაცია და საბოლოო ჯამში, მათემატიკური სიცხადით გამოიყვანო, რამდენად კვალიფიცირებულია პირი. მას მიენიჭება შესაბამისი წონა და ჯამში, ჩვენ მივიღებთ დათვლად მაჩვენებელს“, – აღნიშნავს იაგო კაჭკაშვილი და ამბობს, რომ ამ პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტუდენტების აზრია: „კომისიამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რას ფიქრობენ სტუდენტები ლექტორების შესახებ“.

დასავლურ უნივერსიტეტებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დიდ ყურადღებას უთმობს სტუდენტების ჩართულობასა და მათგან უკუკავშირის მიღებას, რაც სწავლის შეფასებაში მათ ჩართულობას გულისხმობს. სტუდენტები ყოველი წლის ბოლოს ავსებენ კითხვარს, სადაც აფიქსირებენ მოსაზრებას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. ამ გამოკითხვის დროს იკვეთება სტუდენტების აზრი ლექტორების შესახებ, ასეთი გამოკითხვა ანონიმურია და ასახავს პროფესორის შესახებ გავრცელებულ ყველა ძირითად შეხედულებას.

თორნიკე კვანჭიანიც ყოველი წლის ბოლოს გულდასმით ავსებს კითხვარს, მაგრამ მისივე განმარტებით, შეფასების ეს პროცედურა, ფორმალური ხასიათისაა. მათ წინადადებებს არავინ ითვალისწინებს და წლიდან წლამდე თითქმის არაფერი არ იცვლება.

## სწავლის ხარისხი და ხარისხის სამსახური

თსუ-ს სტრუქტურული ცვლილებების საფუძველზე 2005-2006 წლებში შეიქმნა სწავლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მის მთავარ დანიშნულებას უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა წარმოადგენს. დასავლურ უნივერსიტეტებში უზურნველყოფის სამსახური აკადემიურ პერსონალს სხვადასხვა კონფერენციების მოწყობაში და საერთაშორისო კავშირების დამყარებაში ეხმარება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ანალოგიური სამსახურის საქმიანობას არაერთი პროფესორი და სტუდენტი აკრიტიკებს. სტუდენტების აზრით, ადმინისტრაციას სწავლების ფორმალური, ორგანიზაციული ნაწილის მოწესრიგება უჭირს. „ხშირად სილაბუსში მითითებულ სახელმძღვანელო ლიტერატურას კურსზე არც გავდივართ“, – ამბობს მე-3 კურსის სტუდენტი თინა ყიფშიძე. მისი აზრით, სტუდენტები ქაოსურ სასწავლო პროცესში იმყოფებიან.

„ბაზები სულ გაჭედილია, საგნები ერთმანეთს ემთხვევა, სოციოლოგი ვარ და იმისთვის, რომ კრედიტები შევავსო, ბოლოს ისეთი კურსების აღება მიწევს, რომლის გავლა სულაც არ მაინტერესებს“, – აღნიშნავს მე-4 კურსის სტუდენტი, რომელმაც ანონიმურად დარჩენა ამჯობინა.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა მე-3 კურსის სტუდენტი თორნიკე ჩიყვარიძე ღიმილით იხსენებს ადმინისტრაციის წევრებთან ურთიერთობის ფაქტებს: „ხშირად მიწევს მათთან ხვეწნა-მუდარა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა რომელიმე საგანზე ჯგუფში ჩასმა. მთავარი ის არის, რომ მათ ნაწილს ასეთი დამოკიდებულება ყოველდღიურ, ნორმალურ ურთიერთობად მიაჩნია“.

საქართველოში უმაღლესი განათლების ხარვეზების აღნიშნულ ტენდენციებს ადასტურებს ბოლო წლებში ჩატარებული ორი კვლევა. ხაზგასასმელია, რომ კვლევის დასკვნები მხოლოდ თსუ-ს სწავლების ხარისხს არ ეხება და იგი ზოგადად ქვეყანაში უმაღლესი განათლების დონეს მიმოიხილავს.

2010 წელს ევროკავშირის დაფინანსებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა ერთმა ჯგუფმა ჩაატარა კვლევა „სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მდგომარეობა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში – მიღწევები და პრობლემები“. კვლევის ავტორებმა თბილისის შვიდ უნივერსიტეტში მოიძიეს ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით გაწეული საქმიანობის შესახებ.

„დღეისათვის თელავის უნივერსიტეტის გარდა, ყველა უნივერსიტეტშია დანერგილი სტუდენტთა მიერ პროფესორთა შეფასების პრაქტიკა – შესაბამისი სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს გამოკითხვებს, სადაც ფიქსირდება ლექტორების შესახებ სტუდენტების მიერ გამოთქმული პოზიტიური თუ უარყოფითი შეხედულებები. მაგრამ დაინტერესებული საზოგადოებისთვის გაურკვეველი რჩება, როგორ იყენებენ გამოკითხვის შედეგებს. რჩება შთაბეჭდილება, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებს, რომ დასავლეთში ასეთი წესია. აკადემიური პერსონალის შეფასების მთავარი მიზანი სწავლის ხარისხის ამაღლება და ახალი პროფესორების მიღება/დაწინაურებაში მონაწილეობაა, საქართველოში კი, ხარისხის უზურნველყოფის სამსახურები არ არიან ჩართული ამ პროცესებში“, – აღნიშნულია კვლევაში.

კვლევის დასკვნით ნაწილში წერია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიღწევად სასწავლო პროგრამებისა და სილაბუსების მოწესრიგება მიიჩნევა, მაგრამ იქვე ხაზგასმულია, რომ პროფესორებს პროგრამებთან და სილაბუსებთან დაკავშირებული მოთხოვნების ხშირი ცვლა არ მოსწონთ, რაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აკრედიტაციის ცენტრის მოთხოვნით შეაქვს. „აკრედიტაციის ცენტრის დავალებე-

იაბო ხაჭიჭაშვილი

**კომენტარი**

**„პოლიტიკური შეუთავსებლობის საკითხის დაყენება არის სრულიად შეუწყნარებელი. ვერ ვიტყვი, რომ პოლიტიკური შეხედულებები უნივერსიტეტში ვინმეს არჩევისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ ასეთი შემთხვევები იყოს. ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებაში, სადაც პოლიტიკური შეხედულებები ხშირად განსაზღვრავს ჩვენს მოღვაწეობას. ხელისუფლებისადმი პოლიტიკური ლოიალობა ბევრი ჩვენგანის სოციალური რეპრეზენტაციის ერთ-ერთი პირობა, მნიშვნელოვანი პირობა არის.**

**უმაღლესი სასწავლებლები არის თავისუფალი მოქალაქის ჩამოყალიბების ძირითადი კერა. უმაღლესი სასწავლებელი უზრუნველყოფს ახალგაზრდების ცოდნით აღჭურვას. ცოდნა კი პიროვნული თავისუფლების ძირითადი პირობა არის. ეს ნებისმიერმა ავტოკრატმა ხელისუფლებამ შესანიშნავად იცის“.**

**„სულაც არ არის საჭირო დრამატული ცვლილებები, თანამშრომლების გაშვება და სხვების მიღება. ჩავუტაროთ ტრენინგები შესაბამის თემებზე უნივერსიტეტის არსებულ პერსონალს. ეს ხალხი დასავლურ გამოცდილებას რომ აითვისებს, მერე დაკისრებულ ფუნქციებსაც კარგად შეასრულებს“, – აღნიშნავს გიორგი ხელაშვილი.**

ბი, უმეტეს შემთხვევაში, რეკომენდაციის ხასიათს ატარებს, მაგრამ ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებს ის სავალდებულოდ მიაჩნიათ. პროფესორები თვლიან, რომ რეკომენდაციების სავალდებულო ნორმად ქცევა მათ აკადემიურ თავისუფლებას არღვევს“.

პესიმისტური შედეგით დამთავრდა უფრო ადრე, 2008 წელს განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევა სახელწოდებით „უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგები“. „მიუხედავად იმისა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხარისხის მონიტორინგისთვის მრავალფეროვან მეთოდებს იყენებს, ეს პროცესი ყველანაირ აზრს არის მოკლებული, რადგან იგი არ არის ინტეგრირებული ხარისხის გაუმჯობესების ერთიან სტრატეგიაში“, – ვკითხულობთ კვლევაში.

იმავე კვლევის მიხედვით, ფორმალურად საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ბოლონიის პრინციპები წარმატებულად ხორციელდება. ყველა უმაღლესში მოქმედებს სწავლების სამსაფეხურიანი სისტემა, მაგრამ იმავდროულად გამოიკვეთა პრობლემები ბოლონიის პრინციპების რეალური ამოქმედების კუთხით.

„უნივერსიტეტები ასრულებენ მოთხოვნებს, ნერგავენ ახალ მექანიზმებს, მაგრამ არ/ან იშვიათად ხდება პროცესის გააზრება. ყოველ შემთხვევაში, მონაწილეთა დიდ უმრავლესობას არ ესმის, რას რატომ აკეთებენ. გარეგნული მხარე, ფორმალური წესები დაცულია, მაგრამ პროცესი მოკლებულია შინაარსობრივ გააზრებას და ხარისხის რეალურ კონტროლს“.

კვლევის ავტორების მთავარი რეკომენდაციის თანახმად, უმაღლესი განათლების რეფორმის მსვლელობაში უნდა გაზრდილიყო უნივერსიტეტების ავტონომიურობის დონე. ამ ეტაპზე კი ისინი (უნივერსიტეტები) ძირითადად დამოკიდებულები არიან სამინისტროდან მიღებულ დირექტივებზე. პროცესი ჯერჯერობით მიმდინარეობს ცალმხრივად – ზევიდან ქვევითო, – აღნიშნავდნენ ავტორები.

მას შემდეგ სამი წელი გავიდა, თსუ-ს პროფესორის, გიორგი ხელაშვილის თქმით, უნივერსიტეტის ავტონომიურობის ხარისხი ისევ დაბალია, რის მთავარ მიზეზადაც ის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სიხისტეს და გართულებულ ბიუროკრატიულ ბარიერებს მიიჩნევს.

„იმისათვის, რომ ამ რეალობიდან გამოხვიდე, სულაც არ არის საჭირო დრამატული ცვლილებები, თანამშრომლების გაშვება და სხვების მიღება. ჩავუტაროთ ტრენინგები შესაბამის თემებზე უნივერსიტეტის არსებულ პერსონალს. ეს ხალხი დასავლურ გამოცდილებას რომ აითვისებს, მერე დაკისრებულ ფუნქციებსაც კარგად შეასრულებს“, – აღნიშნავს გიორგი ხელაშვილი. პროფესორი აღნიშნავს, რომ დასავლური უნივერსიტეტების ლექტორებისგან განსხვავებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექტორის საზრუნავს არაერთი ორგანიზაციული ხასიათის პრობლემა წარმოადგენს, მაგალითად, ლექციისათვის ცარიელი აუდიტორიის მოძებნა, ამაზე ფაკულტეტის დეკანისგან თანხმობის მიღება და ა.შ.

საქართველოში უმაღლესი განათლების რეფორმის დაწყებიდან ხუთი წელი გავიდა, უნივერსიტეტები გარეგნულად ემსგავსებიან დასავლურ უნივერსტეტებს, თუმცა სტუდენტების და ლექტორების უკმაყოფილება სისტემის ნაკლოვანებებს ცხადყოფს და ნათელია, რომ უმაღლესი განათლების სისტემაში, სწავლებისა და კვლევის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მნიშვნელოვანი ცვლილებებია გასატარებელი.

# ხვლევაზე დაფუძნებული სწავლება ხვლავს უმაღლესი განათლების გამოწვევად ჩრება

**2005 წლიდან უმაღლესი განათლების სისტემაში გატარებული რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სამეცნიერო კვლევაზე დაფუძნებული სწავლების დანერგვა იყო. ექსპერტების შეფასებით, ეს მიზანი კვლავაც მიუღწეველია.**

**ლიკა ზაკაშვილი**

2005 წელს საქართველოს განათლების სისტემაში გატარებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კვლევითი ინსტიტუტები უნივერსიტეტებს შეუერთდა. „მარტო გადაწყვეტილება კვლევითი ინსტიტუტების უნივერსიტეტებისთვის მიერთების შესახებ არ არის საკმარისი იმისთვის, რომ სასწავლო პროცესი შესაბამისი კვლევის პროცესით უზრუნველყო“, – აღნიშნავს განათლების ექსპერტი ქეთი გურჩიანი. მისი თქმით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამეცნიერო კვლევებისთვის გამოყოფილი თანხები კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად საკმარისი არ არის.

„დღეს ჩვენ საქართველოში გვაქვს თერთმეტი სახელმწიფო კვლევითი უნივერსიტეტი. ამ უნივერსიტეტებმა უნდა უზრუნველყონ კვლევითი პროცესის სწორად წარმართვა და ააგონ კვლევაზე დაფუძნებული სწავლება. თუმცა, დღეს არსებული დაფინანსებით ეს ვერ გაკეთდება, რადგან სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში კვლევის პროცესს ვერ ან არ აფინანსებს“, – ამბობს გურჩიანი.

2005 წლიდან საქართველოს უნივერსიტეტებისა და პროფესორებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების თანახმად, პროფესორებმა არამხოლოდ უნდა ასწავლონ, არამედ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაც უნდა აწარმოონ. თუმცა, მცირე დაფინანსების გამო აკადემიურ პერსონალს კვლევითი საქმიანობის წარმართვისათვის სათანადო გარემოც არ აქვს.

„პროფესორი, რომელიც ასწავლის, უნდა იკვლევდეს კიდეც, რადგან თუ არ იკვლევს, ის, როგორც მასწავლებელი, ჭკნება“, – აღნიშნავს თსუ პროფესორი გიორგი ხელაშვილი და ამბობს, რომ კვლევით საქმიანობაში პროფესორებს ხელშეწყობა სჭირდებათ.

„მაგალითად, მე, როგორც ასისტენტ-პროფესორს, მაქვს კვირაში რვა საათი დატვირთვა, ასეთი საათობრივი დატვირთვის ფონზე უნდა მოვასწრო სწავლებისა და კვლევის პროცესის წარმართვაც და სხვადასხვა წვრილ-წვრილი ადმინისტრაციული ხასიათის საქმიანობის მოგვარებაც. დასავლური უნივერსიტეტების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ასისტენტ-პროფესორის საათობრივი დატვირთვა უფროსი რანგის კოლეგებთან შედარებით მცირეა, რადგან იქ მიაჩნიათ, რომ ახალგაზრდა პროფესორს მეტი დრო უნდა ჰქონდეს კვლევითი საქმიანობისთვის. ჩვენთან კი პირიქით, ასისტენტ-პროფესორი

**სტატისტიკა**

**2010-2011 სასწავლო წელს ეროვნული ფონდების მიერ დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განაწილების მიხედვით, უნივერსიტეტებს შორის ლიდერი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია, სადაც დღეისათვის 200-ზე მეტი პროექტი ხორციელდება.**

**გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მონაცემებით, გარდამავალ პერიოდში მყოფ 142 ქვეყანას შორის „სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ხარისხის მაჩვენებლის მიხედვით“ საქართველო 117-ე ადგილზეა.**

**„ტომსონ როიტერის“ ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით, საქართველოდან 2008 წელს რეფერირებად, ანუ მაღალი რეიტინგის ჟურნალებში 2008 წელს 460 პუბლიკაცია გამოქვეყნდა, 2009 წელს – 476, 2010 წელს – 422. ბალტიის ქვეყნები კი, საშუალოდ, ყოველწლიურად 1000-ზე მეტ სტატიას აქვეყნებენ, მათ შორის ესტონეთი – 1050-ს, ლიტვა – 1350-ს.**

ყველაზე დატვირთულია", – აღნიშნავს გიორგი ხელაშვილი.

უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანი კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრაა. თსუ-ს სრული პროფესორის, მარინა ჩიტაშვილის აზრით, უნივერსიტეტმა, პირველ რიგში, უნდა შეისწავლოს თავისი სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალი და გააძლიეროს კონკრეტული დარგების მხარდაჭერა.

„დასავლეთში არ არსებობს უნივერსიტეტი, რომელსაც არ აქვს თავისი პრიორიტეტები. მაგალითად, მე რომ ვიყო ამერიკის შეერთებულ შტატებში და მინდოდეს განვითარების ფსიქოლოგიაში დახელოვნება, აუცილებლად წავალ იმ უნივერსიტეტში, რომელიც ამ დარგის თვალსაზრისით რეიტინგში პირველია. თუ გინდათ კლინიკურ ფსიქოლოგიაში ხარისხის მიღება, მაშინ უნდა წახვიდეთ იელში, იმიტომ, რომ რეიტინგით ის დგას პირველ ადგილზე და ა.შ. ჩვენთან ვინმემ დაადგინა, რა აკადემიური რესურსი გვაქვს და რა უნდა იყოს ჩვენი პრიორიტეტი?" – კითხულობს მარინა ჩიტაშვილი.

ფოტო: მარიკა ქერჩიაშვილი

მისი აზრით, ძირითად პრობლემას ქვეყანაში სასწავლო-სამეცნიერო კვლევებისთვის გამოყოფილი მცირე დაფინანსება წარმოადგენს. „თანხა, რომელსაც ამ მიზნით შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული ფონდი ყოველწლიურად სამეცნიერო კვლევის დასაფინანსებლად გამოყოფს, სასაცილოა".

სამეცნიერო კვლევა უმაღლესი განათლების საბოლოო საფეხურზე, დოქტორანტურის დონეზე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. თუმცა, როგორც ექსპერტები ამბობენ, სიტუაცია, ამ საფეხურზეც არ არის სახარბიელო. ქეთი გურჩიანის თქმით, სიტუაცია თუ არ შეიცვალა, რამდენიმე წელიწადში საქართველოს ახალი თაობის მეცნიერები არ ეყოლება. მით უფრო, რომ ახალგაზრდებში კვლევა და სამეცნიერო კარიერა პოპულარული არ არის.

„დოქტორანტურა არის ახალგაზრდა მეცნიერთა ჩამოყალიბების ადგილი. შესაბამისად, უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ დოქტორანტურა გახდეს მიმზიდველი სასწავლო პროცესი. ჩვენთან უნივერსიტეტების 99%-ში დოქტურანტურაში სწავლა ფასიანია, მხოლოდ ილიას უნივერსიტეტშია უფასო და იქაც მექვსე წლიდან ფასიანი ხდება. დოქტორანტს სახელმწიფო სტიპენდიას არ აძლევს. სწავლის ფულს იგი თავად იხდის, რაც სამეცნიერო საქმიანობაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვას მნიშვნელოვნად უშლის ხელს, დოქტორანტურაში სწავლის პარალელურად მუშაობა მძიმე დატვირთვაა, რასაც ძალიან ცოტა ახერხებს".

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებში პროფესორებისა და სტუდენტების კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით შეიქმნა სამეცნიერო კვლევების და განვითარების დეპარტამენტი, რომლის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები ორფურცლიან დებულებაშია გაწერილი. დეპარტამენტის მთავარი მიზანი უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობაა.

თსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ დეპარტამენტის ყოველწლიური საქმიანობის შესახებ ანგარიშს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ გასულ 2010 წელს სამეცნიერო კვლევების და განვითარების დეპარტამენტის ხელშეწყობით არაერთი ღონისძიება ჩატარდა. მათ შორის იყო, არსებული სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაცნობის მიზნით, პერმანენტული შეხვედრები უნივერსიტეტის თანამშრომლებთან.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ დეპარტამენტის მიერ გაწეული ღონისძიებების მიუხედავად, დაფინანსების და სხვა ორგანიზაციული ხასიათის პრობლემების გამო, ამ სამსახურის ჩამოყალიბებაც უფრო სტრუქტურულ მიღწევად რჩება და უნივერსიტეტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ძირეული ცვლილებები ვერ შეაქვს.

# "ლაბორატორიის" მიზანი სტუდენტებში მასობრივი ეროფორმიზმის დაძლევაა"

*ინტერვიუ „ლაბორატორია 1918“-ის ერთ-ერთ აქტიურ წევრთან, სტუდენტ*

**ალექსანდრა არაშვილთან**



3 ოქტომბერს უნივერსიტეტის რექტორი სანდრო კვიტაშვილი და განათლების მინისტრი დიმიტრი შაშკინი ახალი სასწავლო სეზონის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მივიდნენ. მაშინ, როცა მინისტრი პირველკურსელებს საუკეთესო უნივერსიტეტში ჩაბარებას ულოცავდა, ეზოში შეკრებილი სტუდენტების ნაწილმა ტრანსპარანტები გაშალა: „განათლების რეფორმა ჩავარდა“; „მაღალი ფასი - დაბალი ხარისხი“; „არა ავტორიტარულ განათლებას“; „ყველასთვის ხელმისაწვდომი განათლება“; აქცია სტუდენტური ჯგუფის, „ლაბორატორია 1918“-ის ორგანიზებული იყო.

**რა კონკრეტული პრობლემები შეგქმნია სასწავლო პროცესში შენ, როგორც სტუდენტს?**

უნივერსიტეტში დღეს ძალიან ბევრი პრობლემაა, ძირითადად – ტექნიკური სახის. მათ მიღმა კი გაცილებით მასშტაბური პრობლემები იმალება. პირადად მე დიდ პრობლემას მიქმნიდა არაინფორმირებულობა, უნივერსიტეტში არ არსებობდა რაიმე კონკრეტული განყოფილება, რომელიც პირველკურსელებისთვის ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფდა.

ტექნიკური პრობლემები ეხება საგნების არჩევასაც: ხშირად დახურულია ბაზები, მერე იხსნება, მერე ისევ იხურება, გაუმართავია მთლიანად სისტემა. სტუდენტებმა შეიძლება, ვერ მოასწრონ სასურველი საგნის არჩევა და სხვა სპეციალობის საგნების აღება მოუწიოთ. ამის გამო კი შეიძლება კრედიტები დააკლდეთ, ანუ 4 წლის განმავლობაში სავალდებულო საგნები ვერ შეავსონ. სტუდენტებს ასევე ხშირად ემთხვევათ ცხრილები. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ თავად უწევთ პასუხი აგონ იმაზე, რაც მათი ბრალი არ არის.

ფოტო: ლევან ნარიელიძე

**როცა ასეთი პრობლემები გექმნებათ, ვის მიმართავთ ხოლმე?**

ადმინისტრაციას, რა თქმა უნდა. თუმცა, ადმინისტრაცია პასუხისმგებლობას ისევ სტუდენტს აკისრებს. ისინი ამბობენ, რომ აკეთებენ ყველაფერს, რაც შეუძლიათ, დანარჩენი პრობლემები კი სტუდენტმა უნდა მოაგვაროს. ადმინისტრაცია არ არის სტუდენტზე ორიენტირებული. ასეთი განათლების სისტემის პირობებში სტუდენტს სრულფასოვანი და ხარისხიანი განათლების მიღება არ შეუძლია.

**სხვა უნივერსიტეტებშიც ასეა?**

რა თქმა უნდა. სხვა უნივერსიტეტებშიც ანალოგიური სიტუაციაა, სახელმწიფო უნივერსიტეტებში, ყოველ შემთხვევაში. სხვაგანაც იმავე პრობლემებს აწყდებიან სტუდენტები.

**დაბრკოლებებში ტექნიკურ პრობლემებს გულისხმობ?**

არამხოლოდ. უფრო მთავარი ისაა, რომ უნივერსიტეტი არ არის სოციალურად აქტიური, „დუღილს“ არის მოწყვეტილი. სტუდენტი თავს ვერ გრძნობს მოვლენების ცენტრში, არ მონაწილეობს სამოქალაქო პროცე-

სებში. მხოლოდ ლექციებზე დადის, იღებს გარკვეულ თეორიულ ცოდნას, შეიძლება პრაქტიკული ცოდნა ვერც მიიღოს... შემდეგ ვერ იმკვიდრებს თავს შრომის ბაზარზე.

**რას გულისხმობთ ხარისხიან განათლებაში, როცა განათლების ხარისხს აპროტესტებთ?**

მიმაჩნია, რომ განათლების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს განათლების ფასს. იხდი 2250 ლარს და ამ დროს შეიძლება შენს პროფესიაზე ზოგადი წარმოდგენის იმედად დარჩე, ვერ ჩაატარო კვლევა, ვერ ჩაერთო პრაქტიკაში. დამეთანხმებით, ამ ფონზე 2250 ლარი არაადეკვატურად მაღალია. ხარისხიანი განათლება, ცხადია, უნდა გულისხმობდეს სტუდენტის უზრუნველყოფას ყველა იმ პირობით, რითაც მან უნდა შეძლოს სრულფასოვანი განათლების მიღება.

**რას გულისხმობს თქვენთვის საუნივერსიტეტო განათლება?**

საუნივერსიტეტო განათლება ჩემთვის არ შემოიფარგლება მხოლოდ თეორიული ან პრაქტიკული ცოდნის დაგროვებით. ეს არის პროცესი, სადაც ადამიანი უნდა ჩამოყალიბდეს მოაზროვნე, დამოუკიდებელ ინდივიდად. მას უნდა გაუჩნდეს საზოგადოებაში არსებული პრობლემების ხედვა და მათი აღმოფხვრის უნარი. საუნივერსიტეტო ცხოვრება მესმის, როგორც დუღილის პროცესი, რაც დღეს უნივერსიტეტში ნამდვილად არ არსებობს.

**მთავარი პრობლემა რა არის თსუ-ში? რა ქმნის დაბრკოლებას ხარისხიანი განათლების მისაღებად?**

ვფიქრობ, ეს სახელმწიფოს მიდგომითაა გამოწვეული. ჩვენს ქვეყანაში განათლება არ არის პრიორიტეტული და ის თანხები, რაც განათლებაზე იხარჯება, არაადეკვატურია. ასევე, უნივერსიტეტებს აკლიათ ავტონომიურობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის თავისთავად ჩართული იქნებოდა აქტიურ პროცესებში და არ მოუწევდა მხოლოდ ფორმალური ვალდებულებების შესრულება.

**იურიდიულად ხომ ავტონომიურია უნივერსიტეტი...**

ფორმალურად არის.

**და როგორ უნდა გახდეს უნივერსიტეტი ავტონომიური? რა არის ამისთვის საჭირო?**

ამისთვის იგი სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს იმ დონეზე, რომ უნივერსიტეტს შეეძლოს დამოუკიდებლად არსებობა. თვითონ სასწავლებელში კი ჩამოყალიბებული უნდა იყოს კონკრეტული საუნივერსიტეტო პოლიტიკა და არა, დავუშვათ, განათლების სისტემის ზოგადი პოლიტიკა, რომელიც საქართველოში არსებობს. უნივერსიტეტმა თავად უნდა განსაზღვროს თავისი პრიორიტეტები.

**უნივერსიტეტში სტუდენტურ თვითმმართველობასთან თქვენი დაპირისპირება გავიხსენოთ, რა მოხდა მაშინ?**

უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულმა საინიციატივო ჯგუფმა 15 აპრილს მოაწყო პრეზენტაცია სასწავლო ლიტერატურის არარსებობაზე. ისინი ითხოვდნენ ლიტერატურის თარგმნას. ამ ჯგუფმა ჩაატარა გამოკითხვები, გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმი, სადაც ასახული იყო სასწავლო მასალის თარგმნასთან დაკავშირებული პრობლემები. პრეზენტაციაზე დამსწრეებმა თავიანთი აზრი გამოთქვეს, იყო კრიტიკული მოსაზრებებიც თვითმმართველობის და ადმინისტრაციის მისამართით. სწორედ ამას მოჰყვა დაპირისპირება, რომელიც მერეც გაგრძელდა. რამდენიმე კრიტიკულად განწყობილ სტუდენტს თვითმმართველობის წევრები ფიზიკურად დაუპირისპირდნენ და ამან სხვა სტუდენტების პროტესტი გამოიწვია.

**პირადად შენ თუ მიგიმართავს თვითმმართველობისთვის, როცა რაიმე პრობლემა შეგქმნია?**

არ მიმიმართავს, რადგან არასდროს ვყოფილვარ ამ ორგანოსადმი სიმპათიით განწყობილი. 15 აპრილს მომხდარი მოვლენები და მათი გაგრძელება ნათლად ასახავს, რომ თვითმმართველობა არ არის სტუდენტების ინტერესების გამტარებელი და მათ თავიანთი პირადი, შესაძლოა კარიერული ინტერესები აქვთ.

**ზოგადად როგორ მუშაობს სტუდენტური თვითმმართველობა, წარმოადგენს თუ არა სტუდენტების ინტერესებს?**

მე ვერ ვხედავ სტუდენტური თვიმმართველობის საქმიანობის შედეგებს, რაც გამიუმჯობესებდა პირობებს სწავლისთვის. ისინი არ წარმოადგენენ სტუდენტების ინტერესებს, შემოიფარგლებიან მხოლოდ გასართობი ღონისძიებებით და არ იღებენ პასუხისმგებლობას პრობლემებზე, რომლებიც მართლაც გვაწუხებს. სტუდენტური თვითმმართველობა არის ერთ-ერთი რგოლი ამ სისტემაში და მათ უწევთ სახელისუფლებო კონიუნქტურაზე მორგება.

ვფიქრობ, ეს სახელისუფლებო პოლიტიკაა, სადაც სტუდენტი არ არის აქტიური მოქალაქე, დადის მხოლოდ ექსკურსიებზე, თვითმმართველობა კი მხოლოდ გასართობ შეხვედრებს აწყობს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სტუდენტმა ვერ დაინახოს დღეს განათლების სისტემაში, და არა მხოლოდ აქ, არსებული პრობლემები. ისინი ისეთ ფონს ქმნიან, რომ სტუდენტებს არ ჰქონდეთ პრობლემების აღქმის უნარი და ბრძოლის მოტივაცია.

სტუდენტების უმეტესობას ნიჰილისტური დამოკიდებულება აქვს გარემოს შეცვლისადმი. ისინი ვერ ხედავენ ჯანსაღ ძალას, რომელთან იდენტიფიცირებაც შეეძლებათ, მათ არ აქვთ ნდობა პოლიტიკური პარტიებისადმი, არ უწევთ ურთიერთობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან... ძირითადად ჩუმად ყოფნას ამჯობინებენ. ეს მასობრივი კონფორმიზმია, რომელიც მთელ საზოგადოებაშია გაბატონებული.

**ამ სიტუაციაში, რამდენად პასუხობს „ლაბორატორიის“ მიზნები ამ პრობლემებს?**

დღეს სტუდენტებს სწორედ ამ ტიპის აქტივობა სჭირდებათ. ხედავენ, რომ ერთად შეკრებით რაიმეს შეცვლა შესაძლებელია და მათაც უჩნდებათ ამ ცვლილებებში მონაწილეობის ენთუზიაზმი, სურთ იგრძნონ, რომ სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი არიან.

**რა ღირებულებების გარშემოა გაერთიანებული „ლაბორატორია?“**

15 აპრილის მოვლენების შემდეგ გაჩნდა ინიციატივა, რომ შექმნილიყო სტუდენტების ჯგუფი, რომელიც გაასაჯაროებდა უნივერსიტეტის და განათლების პრობლემებს. რაც შეეხება ღირებულებებს, ისინი პროცესში ყალიბდება. ჩვენ ვთვლით, რომ განათლება უნდა იყოს ხელმისაწვდომი და არა – პრივილეგირებული.

**რა არის „ლაბორატორიის“ მიზანი?**

„ლაბორატორიის“ მიზანი სტუდენტებში მასობრივი კონფორმიზმის დაძლევაა. ეს შესაძლებელს გახდის ყველა სხვა მიზნის მიღწევას. თუ ყველა სტუდენტი გააცნობიერებს პრობლემებს, მაშინ, რა თქმა უნდა, დაიწყება მათი აღმოფხვრაც. ამიტომაც, მიმაჩნია, რომ „ლაბორატორიის“ ყველაზე დიდი მიზანი სტუდენტების და მთელი საზოგადოების გამოღვიძებაა.

**რა ტიპის გაერთიანებაა „ლაბორატორია“ და რამდენი სტუდენტია გაერთიანებული?**

ეს არის თვითორგანიზებული ჯგუფი, რომელიც ამჟამად 300-მდე წევრს ითვლის. ადრე უფრო ცოტანი ვიყავით. გადაწყვეტილებებს ვიღებთ კონსენსუსის პრინციპით, რაც ძალიან რთულია, მაგრამ ხანგრძლივი საუბრის შემდეგ ვთანხმდებით ხოლმე. ჯგუფში არ არსებობენ ლიდერები, არ არსებობს იერარქია, ჩვენ ყველანი თანასწორები ვართ.

**ლექტორები თუ იზიარებენ „ლაბორატორიის“ პოზიციას?**

დიახ, არიან ლექტორები, რომლებიც მხარს ღიად გვიჭერენ, ისეთებიც, რომლებიც გვეთანხმებიან, მაგრამ ჩუმად ყოფნას ამჯობინებენ, იმიტომ, რომ მათაც ამ სისტემაში უწევთ მუშაობა. ესეც მათი საქმეა. ლექტორებიც ზუსტად იმავე პრობლემებს აწყდებიან, რასაც სტუდენტები. როგორც სტუდენტს არ ექმნება პირობები, მიიღოს ხარისხიანი განათლება, ისე ლექტორს არ ეძლევა საშუალება, რომ მან სტუდენტისთვის მაქსიმალური ცოდნის მიწოდება მოახერხოს და მისთვისაც კომფორტულ გარემოში იმუშავოს.

**განათლების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს განათლების ფასს. იხდი 2250 ლარს და ამ დროს შეიძლება შენს პროფესიაზე ზოგადი წარმოდგენის იმედად დარჩე.**

**სხვა სტუდენტებს როგორი რეაქცია აქვთ „ლაბორატორიის“ საქმიანობაზე?**

მე ვიტყოდი, რომ ძალიან პოზიტიური. სტუდენტებს უნდათ, ჩვენთან მოვიდნენ და შემოგვიერთდნენ. განსაკუთრებით გაიზარდა მათი აქტიურობა 3 ოქტომბრის მერე, როდესაც ჩვენ უნივერსიტეტში არსებული პრობლემები განათლების მინისტრისა და რექტორის წინაშე გავაპროტესტეთ.

**რა იყო მაშინ თქვენი ლოზუნგები?**

„მაღალი ფასი – დაბალი ხარისხი“, „სწავლა უფლებაა და არა პრივილეგია“, „ნუ ატყუებთ სტუდენტებს“ – ეს, ძირითადად, პირველკურსელებს ეხებოდა, რომლებსაც არწმუნებდნენ, რომ მოხვდნენ საუკეთესო უნივერსიტეტში. გვქონდა ასეთი ლოზუნგიც – „განათლების რეფორმა ჩავარდა“.

**ვინ არიან „ლაბორატორიის“ სტუდენტები?**

თავად „ლაბორატორია“, ძირითადად, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა ჩამოაყალიბეს, თუმცა გაფართოების შემდეგ მასში თითქმის ყველა ფაკულტეტის სტუდენტები გაერთიანდნენ. სხვა უნივერსიტეტიდანაც არიან: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, სამხატვრო აკადემიიდან, ტექნიკური უნივერსიტეტიდან, სამედიცინო უნივერსიტეტიდან... ვფიქრობ, რომ ყველა უნივერსიტეტში უნდა გაჩნდეს ასეთი ჯგუფები (და უკვე არსებობს სხვა უნივერსიტეტებშიც...).

**როგორ ფიქრობ, მოახერხებთ თქვენი მოთხოვნების რეალიზაციას? რა დრო დასჭირდება ამას?**

ვფიქრობ, რომ მოვახერხებთ. ამ მიზნების რეალიზაციას, ალბათ, დიდი დრო დასჭირდება. თუმცა, მე მიზნებზე მეტად, პროცესები მაინტერესებს. მთავარია, რომ პროცესი დაიწყო. დროთა განმავლობაში „ლაბორატორია“ გაიზრდება და გაიზრდება მისი შესაძლებლობებიც.

**აქვს თქვენს თაობას მასშტაბური სტუდენტური მოძრაობის წამოწყების პოტენციალი?**

ვფიქრობ, რომ აქვს. ამ თაობას მოუწია ძალიან ბევრი სხვადასხვა პრობლემისა და ეპოქის გავლა, სხვადასხვა სისტემის, ომების... ამიტომ ის ყველაზე ჯანსაღად უნდა აფასებდეს დღეს მიმდინარე პროცესებს. ზუსტად ამ თაობას შეუძლია ჯანსაღი ხედვა ჩამოაყალიბოს და არსებითად შეცვალოს ვითარება.

# Gaudeamus Igitur...

**ზურაბ ქარუმიძე**
*მწერალი*

ჩემი ერთი ძველი მეგობარი გია ჭუმბურიძე სულ გაიძახდა – „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა დაინგრეს, როგორც კართაგენი!“ ისე აუხდეს ყველაფერი – „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, საკმაოდ მოკლე დროში, თსუ დაინგრა. დაინგრა, როგორც ქართული ნაციონალიზმის კერა, ამბიციური ფანტაზიებისა და ეთნო-ნარცისისტული ნარატივების სამჭედლო. თუმცა, ასევე, ის დაინგრა, როგორც ფიზიკის, მათემატიკის, ბიოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ენათმეცნიერების საკმაოდ კარგი სკოლა. მოკლედ – დაინგრა.

გარნა მალევე „აღსდგა“ იგი და – სრულიად ახალი ჰიპოსტასით: ეთნო-ნაციონალისტური „ცოდნის ტაძრის“ ნაცვლად მივიღეთ, საბჭოურ-ნომენკლატურული ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით – „პარტ-შკოლა,“ ხოლო იქ მიღებული განათლების ხარისხის თვალსაზრისით – ობსკურიზაციის ფაბრიკა. ახლა აქ არ შევუდგები განათლების რეფორმის კრიტიკას, ამაზე ბევრი ითქვა და ალბათ კიდევ ითქმება.

ევროპული ცივილიზაციის, ლიბერალურ-დემოკრატიული სამყაროს ჩამოყალიბებას რამდენიმე ფაქტორი ამზადებდა: თავისუფალი ქალაქები და ქალაქური კულტურა, თავისი კარნავალური ცხოვრებით და პაროდიის ხელოვნებით; ბურჟუაზიული კლასის ჩამოყალიბება, პარლამენტარიზმი და სამოქალაქო დიალოგი და ა.შ. ერთ-ერთი უმთავრესი ამ ფაქტორთა შორის გახლდათ სწორედ უნივერსიტეტი – თავისუფლების და ცოდნის „მკვებავი დედა“ – Alma Mater.

მაინც რა იყო შუასაუკუნოვანი ევროპული უნივერსიტეტი? მისი აკადემიურ-პედაგოგიური სტრუქტურა იცით – შვიდი დისციპლინა ისწავლებოდა: გრამატიკა, რიტორიკა, ლოგიკა (ანუ – ტრივიუმი) და გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, ასტრონომია (ანუ – კვადრივიუმი); ტრივიუმს თუ დაძლევდი, ბაკალავრის ხარისხი გენიჭებოდა, ხოლო კვადრივიუმსაც თუ მიაყოლებდი – მაგისტრი ხდებოდი. ეს შვიდი დისციპლინა იწოდებოდა „შვიდ თავისუფალ ხელოვნებად“ (დღესაც რომ Liberal Arts ერქმის), რადგან მათი სწავლება გათვლილი იყო ზოგად ცოდნაზე და განათლებაზე, და არა კონკრეტულ პროფესიულ და პრაქტიკულ უნარ-ჩვევათა შეძენაზე.

მაგრამ, იმ უნივერსიტეტებში „შვიდ თავისუფალ ხელოვნებასთან“ ერთად ინერგებოდა კიდევ ერთი და უმთავრესი: ეს იყო „თავისუფლების ხელოვნება“, რომელიც შემდგომში ევროპულ სამოქალაქო ცხოვრებას დვრიტად დაედება და დემოკრატიზმის ყველს გამოიყვანს. ევროპულ დემოკრატიზმს, სხვასთან ერთად, ევროპული ლიტერატურაც ქმნიდა, ხოლო ამ ლიტერატურის შემქმნელთა უმეტესობა „თავისუფლებისხელოვნებანასწავლი“ ხალხი გახლდათ, თავის ტრივიუმ-კვადრივიუმიანად. (NB.: „Gaudeamus Igitur“ – საუნივერსიტეტო ჰიმნიც „ვაგანტების“ – ანუ მოხეტიალე სქოლარების ქმნილებაა).

ინსტიტუციურადაც, იმდროინდელი უნივერსიტეტი ისეთი ავტონომიური წარმონაქმნი იყო, რომ ქალაქის ადმინისტრაციასაც კი უპირისპირდებოდა ხოლმე, თუკი ამას თავისუფლებისა და ავტონომიურების დაცვა ითხოვდა: „The War of Town and Gown“ — „ქალაქისა და საპროფესორო მანტიის ომი“ – ასე ერქვა ამ დაპირისპირებას შუასაუკუნოვან ინგლისში. თავისუფლებისა და თანასწორობის სულისკვეთება ყველაფერში ვლინდებოდა: თუნდაც იმ დიდებულ „სიმპოზიუმებში“ – სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ერთობლივ აკადემიურ თავყრილობებში, ლუდის ან ღვინის თანხლებით, სადაც სუფევდა რაბლესეული „ბრძნული ლაზღანდარობა“.

ვისში განკაცდა შუასაუკუნოვანი ევროპული საუნივერსიტეტო მენტალიტეტის კვინტესენცია? – ფრანსუა ვიიონში; ვინ იყო ფრანსუა ვიიონი? სქოლარი, პოეტი, ჯამბაზი, შფოთისთავი... როცა ევროპულ უნივერსიტეტზე ვფიქრობ, სწორედ ვიიონი წარმომიდგება – თავისი იუმორით, ერუდიციით და თავისუფლების სიყვარულით. ჩემთვის ეს კაცი არქეტიპული სახეა საუნივერსიტეტო სულისკვეთებისა და დღესაც, დასავლურ უნივერსიტეტებში ყოფნისას, გამიელვებს ხოლმე – იქ, თანამედროვე დანაშრევებს მიღმა. ამ არქეტიპს ვეძებდი ჩვენშიაც, სტუდენტობისას, წინა საუკუნის 70-იან წლებში; ილუზიას ვიქმნიდით მეც და ჩემი მეგობრებიც, ჩვენი „მცირე ბრძნული ლაზღანდარობებით,“ როცა ქართული-საბჭოთა უნივერსიტეტის კედლებში ვიიონისეული სულის ტრიალი გველანდებოდა...

დღეს ამგვარი მოლანდებებიც კი გაქრა. აბა, სად „ვიიონისეული სული“ და სად ახლანდელი „სტუდენტური თვითმმართველობა“, თავისი კომკავშირული გულით, სულითა და მიწოლით?! კემბრიჯის უნივერსიტეტში დღესაც არსებობს ერთი, მე ვიტყოდი, კარნავალური აკრძალვა: არის გაზონები, რომლებზეც სტუდენტს ფეხის შედგმის უფლება არა აქვს – იქ მხოლოდ პროფესორს („დონს“) შეუძლია გავლა. მაგრამ აი ის „სამთავრობო გაზონები,“ რომლებზეც ჩვენი პროფესურა ალაგ-ალაგ დაიარება, დარწმუნებული ვარ, კემბრიჯში სიზმრადაც არავის მოელანდება.

ჩვენ რომ თავის დროზე, შუა საუკუნეე-

ბში, თავისუფალი ქალაქების და დამოუკიდებელი უნივერსიტეტების „სკოლა“ გაგვევლო, ახლა ასეთ დღეში არ ვიქნებოდით – გინდა უნივერსიტეტის, გინდაც ქვეყნის მასშტაბით. თსუ თავისებურად ასახავს იმას, რაც საქართველოში ხდება: „ვისაც გვჯერა, გაგვატარეთ; ვისაც არ მოგწონთ, კისერიც გიტეხიათ!“

თბილისის უნივერსიტეტის წარსულს რომ ვუყურებ, ორი ფიგურა წარმომიდგება – სრულიად განსხვავებული, თუმცა ერთობ სიმბოლური. ესენი არიან: უნივერსიტეტის მამა-დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი და ამავე უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი ნიკოლაძე. პირველმა იმთავითვე ეთნო-ნაციონალისტური სული ჩაჰბერა თავის პირმშოს და ამ სულმა 2000-იანი წლების

დასაწყისამდე მოატანა. რაც შეეხება გიორგი ნიკოლაძეს – იგი იყო არა მხოლოდ კარგი მეტალურგი, მათემატიკოსი, გეოლოგი და ეთნოგრაფი, არამედ შესანიშნავი სპორტსმენი – პირველი ქართული სპორტული კლუბის („ქარიშხალა“) შემქმნელი, მფრინავი და პირველი ქართველი, რომელიც შორტებში დადიოდა (სიც!). სწორედ ამ შორტების ტარების გამო ივანე ჯავახიშვილმა იგი უნივერსიტეტიდან დაითხოვა, თუმცა შემდგომში აღადგინა, როცა ახალგაზრდა პროფესორი ჩოხაში ჩაცმული მოევლინა.

დიახ, ეს ორი ფიგურა სიმბოლურია. ისინი განასახიერებენ ორ განსხვავებულ ტენდენციას საუნივერსიტეტო მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების თვალსაზრისით: ივანე ჯავახიშვილი – რომანტიკული პათოსით შეფერილი ნაციონალიზმი, თავისი ნარატივებით და გოროზი სიმბოლიზმით; ხოლო გიორგი ნიკოლაძე – რენესანსული მრავალფეროვნება, უნივერსალიზმი და სილაღე.

ქართული მენტალიტეტისათვის ივანე ჯავახიშვილისეული მოდელი უფრო მისაღები აღმოჩნდა და თბილისის უნივერსიტეტიც ასე ჩამოყალიბდა – როგორც Alma Pater, „მკვებავი მამა“ და არა როგორც „მკვებავი დედა“ – Alma Mater. პატერნალისტური, ფალო-ლოგო-ცენტრისტული, რომანტიზირებული და მითოლოგიზირებული ნაციონალიზმი

**ჩვენი ელიტების საუნივერსიტეტო გამოცდილებამ ვერაფრით შეგვამზადა იმ გამოწვევებისათვის, რომლებიც საბჭოთა კავშირის ნგრევამ ცხვირწინ დაგვიყენა.**

ზღუდავს თვალსაწიერს და დიდ გასაქანს არ აძლევს დემოკრატიულ ღირებულებებს. შესაბამისად, ჩვენი ელიტების საუნივერსიტეტო გამოცდილებამ ვერაფრით შეგვამზადა იმ გამოწვევებისათვის, რომლებიც საბჭოთა კავშირის ნგრევამ ცხვირწინ დაგვიყენა. შესაბამისად, აღარ უნდა გაგვიკვირდეს უნივერსიტეტის ერთ-ერთი პროფესორის მანერები ამასწინანდელ სტუდენტურ აქციაზე, რომელიც „ლაბორატორია 1918“-მა მოაწყო; არც რექტორის რადიკალური ნეგატივიზმი, ბავშვობის მოგონებებით, და არც განათლების მინისტრის კვაზი-ოპრიჩნიკული გამოხედვა.

ქალური საწყისი უფრო მოქნილი, დამთმენი და ლიბერალურია. ჰოდა, აი ჩვენი უნივერსიტეტი მართლაც Alma Mater-ად რომ ჩამოყალიბებულიყო, მაშინ შეიძლება მართლაც მიგვეღო ლიბერალური განათლების ეროვნული კერა. სამწუხაროდ, ეს არ მოხდა – არც დასაბამში და არც პოსტრევოლუციური რეფორმის შედეგად. იმიტომ არ მოხდა, რომ გიორგი ნიკოლაძის ტენდენციამ ვერ მოიკიდა ფეხი თავის დროზე – ჯერ მოძალებული ბოლშევიზმის, ხოლო შემდგომში საბჭოთა ქართული ნაციონალიზმის გამო. და დღესაც, ზემოდან ნეობოლშევიზმის, ქვემოდან – რელიგიური ნაციონალიზმის მოძალებით ვერაფერს გახდება „მკვებავი დედა“; ისევ იმ „მონუმენტური დედასავით“ ხმალს თუ აიღებს ცალ ხელში, მეორეში – ღვინით სავსე თასს, მერე იმ ღვინით თავის ბიჭებს დაათრობს, გააბრუებს და ხმლით კასტრაციას გაუკეთებს...

ირონია კი ისაა, რომ დღეს შორტებიან გიორგი ნიკოლაძეს უნივერსიტეტში შეუშვებდნენ კიდევაც და ლექციებსაც წაკითხებდნენ, მაგრამ თავად თუ მოუნდებოდა ასეთ უნივერსიტეტში პროფესორობა? ვეჭვობ; მგონი, რომ – არა. აი, რომც აგეღო და ის შორტები შენობაში რომ შეგეგდო მისთვის, არ შევიდოდა...

ამ ბლოგპოსტს მინდა ერთი სიმღერა დავურთო, რომელიც სტუდენტობისას ძალიან მიყვარდა – „ჩიკაგოს“ მეხუთე ალბომიდან: Alma Mater. აქაც რაღაცა მელანდებოდა, ეტყობა...

**სტატია პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „ცხელი შოკოლადის“ ვებგვერდზე.**

# 1 დღე ინტერნეტის ბაზეში

ბოლო მონაცემებით, ვირტუალურ სამყაროზე, სხვადასხვა ფორმით, ყოველი მესამე ადამიანია დამოკიდებული. ამაზე მეტყველებს სტატისტიკაც, უკანასკნელი მონაცემებით, ყოველ წუთში ინტერნეტით საშუალოდ 168 მილიონი წერილი იგზავნება, Facebook-ზე 695 000 სტატუსი და 510 040 კომენტარი იწერება, Google-ში 694 445 საძიებო მოთხოვნა იგზავნება, Skype-ში 370 000 საუბარი იმართება, Twitter-ზე 98 000 ტვიტი იწერება, Youtube-ზე 600 ვიდეო იტვირთება და 70 ახალი ვებგვერდი ჩნდება.

ნინო ნატროშვილი

„რა ვქნა, უნდა შევიდე რა... მეტი აღარ შემიძლია, ვიტყვი, რომ მთელი დღე არცერთი საიტი არ გამიხსნია, ფოსტას მაინც შევამოწმებ... მოიცა, თუ პირობას ვარღვევ, ბარემ ფორუმზე შევალ; კი, ველოდები წერილებს, მაგრამ ფორუმი უფრო მაინტერესებს... არადა, დავლოდებოდი რა წუხელ ბოლო პოსტზე პასუხს, მაგარი თემა გავხსენი, აი, უმაგრესი, ეგეთი მაგარი კარგა ხანია თბილისის ფორუმზე არ ყოფილა, თაკოც რა მაგრად ამყვა.. როგორ მაინტერესებს, რა ხდება ახლა, რატომ დავთანხმდი რა... მეორედ ასეთ რამეს არ ვიზამ, როგორ არ გამახსენდა ადრე Youtube-ზე რაღაც ვიდეო რომ ვნახე: როგორი იქნება ჩვენი ცხოვრება კომპიუტერი რომ გაქრეს... მაშინ ხომ ეგრევე მივხვდი, რამდენად ვარ დამოკიდებული ნეტზე... ეს გოგოებიც რა ჩუმად არიან, შევეხმიანო მაინც... მოიცა, Skype რომ არ მაქვს, ახლა ყველას ტელეფონით უნდა დავურეკო?“, – ეს 27 წლის ირინას ჩანაწერია. ამ ტექსტით მან იმ დღის ემოციები აღწერა, რომელიც ინტერნეტის გარეშე გაატარა.

ირინას ექსპერიმენტი ახალი არ არის. თანამედროვე ფსიქოლოგები და სოციოლოგები ბოლო რამდენიმე წელია აქტიურად მსჯელობენ დაავადებაზე, რომელიც წლებთან ერთად უფრო სახიფათო ხდება, იკვლევენ, აკვირდებიან, გამოსავლის მოძიებას ცდილობენ და უამრავ ექსპერიმენტს ატარებენ. მიღებული შედეგები ძირითადად მსგავსია: მსოფლიოში დღითიდღე სულ უფრო მეტი ადამიანი ავადდება სენით, რომელსაც ინტერნეტ-დამოკიდებულება – ინტერნეტში შესვლის პათოლოგიური სურვილი ჰქვია.

ტერმინი ინტერნეტ-დამოკიდებულება საკმაოდ ძველია, ის 1996 წელს გაჩნდა და მისი ავტორი ექიმი აივენ გოლდბერგია. დაავადებისგან განკურნების პირველი კლინიკა კი დაახლოებით 10 წლის წინ ექიმმა კიმბერლი იანგმა გახსნა. იმ პერიოდში მის მოსაზრებებს ბევრი სპეციალისტი გადაჭარბებულად თვლიდა, თუმცა დროსთან ერთად იანგს ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა, მისი შეხედულებები კი უფრო და უფრო აქტუალური გახდა.

დაავადების სიმპტომები ასეთია: ადამიანი ნელ-ნელა ფიზიკურ აქტივობას ამცირებს, სამაგიეროდ ზრდის იმ დროს, რომელსაც კომპიუტერთან ატარებს, კითხვაზე კი თუ რამდენ საათს ატარებს ინტერნეტში, იტყუება და გაცილებით ნაკლებ დროს ასახელებს. საბოლოოდ იგი იმდენად მიჯაჭვული ხდება ინტერნეტზე, რომ ყველა სხვა ფასეულობა უკანა პლანზე გადადის, მთელი დრო ეთ-

**„სრულ პანიკაში ვარ, სხვა სიტყვით ამას ვერ აღვწერ. მგონია, რომ მოვხვდი ვაკუუმში, ჩამოვრჩი ცხოვრებას, ვტოვებ ძალიან მნიშვნელოვან ამბებს,** მოკლედ, ისტერიკამდე მივდივარ. თუ პრობლემა კომპიუტერს აქვს, მზად ვარ გადავიხადო ნებისმიერი თანხა, ოღონდ ინტერნეტი რაც შეიძლება მალე მქონდეს“ – ამბობს 24 წლის თამუნა.

---

მობა ინტერნეტს და ადამიანი უარს ამბობს ისეთ სასიცოცხლო გარემოებებზეც კი, როგორიცაა საკვები და ძილი. მნიშვნელოვანი სიმპტომია ასევე ოჯახის წევრებისა და მეგობრების უარყოფა ონლაინ-ურთიერთობის და ინტერნეტ-ნაცნობობის სასარგებლოდ, შემდეგ ეტაპზე უკვე თავს იჩენს პრობლემები პირად ცხოვრებაში, საქმიანობაში, სამსახურში...

ამ სიმპტომებთან ერთად ადამიანებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმ განცდებსაც, რომელიც უინტერნეტობის დროს უჩნდებათ: თუ მათ მოუსვენრობა, ინტერნეტში შესვლის დაუოკებელი სურვილი უჩნდებათ და ეს მღელვარება სასურველი ვებ-გვერდის გახსნისთანავე გადის, ე.ი. ისინი ინტერნეტზე დამოკიდებულები არიან.

საქართველოში ინტერნეტ-დამოკიდებულებაზე საუბარი ჯერ კიდევ 2003 წელს თბილისის ფორუმზე დაიწყეს. მაშინ ბევრი ფორუმელი „გამოტყდა“, რომ ინტერნეტზე იყო დამოკიდებული. „გამარჯობა, მე ვარ ნატო, მე ალკო... ტფუი, ინტერნეტოჰოლიკი ვარ“, – წერდა ერთ-ერთი მათგანი. 2003 წელს საქართველოში ინტერნეტის მომხმარებლეთა რაოდენობა საკმაოდ ჩამორჩებოდა ამჟამინდელ მონაცემებს. სხვათაშორის, ფორუმელებმა მაშინვე აღნიშნეს, რომ ინტერნეტის გაიაფებასთან ერთად მასზე დამოკიდებულთა რიცხვი და ხარისხიც მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა.

კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მონაცემებით, საქართველოში ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი ახლა უკვე 310 269-ია, თუმცა ეს მხოლოდ უნიკალური IP-ს რაოდენობაა, ერთი IP-ს უკან ზოგჯერ რამდენიმე, ზოგჯერ კი ათობით მომხმარებელი დგას. ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება და ქართველების განსაკუთრებული სიყვარული ბოლო მოდელის სმარტფონების მიმართ, ინტერნეტს კიდევ უფრო ხელმისაწვდომს ხდის. 785 643 მომხმარებელი გლობალურ ქსელში სწორედ მობილური ტელეფონით შედის, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ ინტერნეტის გარეშე ყოფნა საქართველოშიც ძალიან უჭირთ.

“სრულ პანიკაში ვარ, სხვა სიტყვით ამას ვერ აღვწერ. მგონია, რომ მოვხვდი ვაკუუმში, ჩამოვრჩი ცხოვრებას, ვტოვებ ძალიან მნიშვნელოვან ამბებს, მოკლედ, ისტერიკამდე მივდივარ. თუ პრობლემა კომპიუტერს აქვს, მზად ვარ გადავიხადო ნების-

მიერი თანხა, ოღონდ ინტერნეტი რაც შეიძლება მალე მქონდეს“, – ამბობს 24 წლის თამუნა.

თამუნას მსგავს ემოციებს ავლენენ სხვა ქვეყნებშიც: ინტერნეტის გარეშე ბრიტანელ სტუდენტებს მოუსვენრობა იპყრობთ, უმეტესობას აქვს განცდა, რომ საერთოდ აღარ შეუძლია კომუნიკაცია მეგობრებთან და ახლობლებთან, გაღიზიანება და მარტოობის აუტანელი გრძნობა ეუფლებათ ამერიკელ ახალგაზრდებსაც... საბოლოოდ, სპეციალისტების დასკვნით, თანამედროვე ადამიანების დამოკიდებულება ვირტუალური სამყაროს მიმართ იმდენად ძლიერია, რომ უინტერნეტობით გამოწვეული განცდები ნარკოტიკებზე, ალკოჰოლსა და ნიკოტინზე დამოკიდებული ადამიანების შეგრძნებებს უტოლდება. ერთ-ერთმა გამოკითხულმა ინტერნეტის გარეშე 24-საათიანი ცხოვრება ხელის მოჭრასაც კი შეადარა...

ინტერნეტ-დამოკიდებულება მარტივად ჩნდება. სპეციალისტები მის გამომწვევ რამდენიმე ძირითად მიზეზსაც გამოყოფენ: თამაშები, ჩატები, ინფორმაციის მიღების სურვილი, ფორუმები, გაცნობის საიტები და პორნოგრაფიული რესურსები, თუმცა მათ შორის ყველაზე მთავარი სოციალურ ქსელები და მარკ ცუკერბერგის Facebook-ია. ყველაზე მეტად ვირტუალურ სამყაროზე მიჯაჭვულები ადამიანები სწორედ მის გამო ხდებიან. საქართველო Facebook-ის მომხმარებელთა რაოდენობით მსოფლიოში 88-ე პოზიციაზეა და ამ მაჩვენებლით უსწრებს მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანს. 630 560 მომხმარებლიდან 55% ქალია, 45% კი – მამაკაცი.

ნინოს მეგობარი ბიჭიც ერთ-ერთი მათგანია. ნინო ამბობს, რომ Facebook-ის გამო მას შეყვარებული დროსა და ყურადღებას ძველებურად აღარ უთმობს: „წარმოიდგინეთ, რომ მიდიხართ შეხვედრაზე ადამიანთან, რომლის ნახვაც ძალიან, ძალიან გინდათ, წუთები საათებად გეჩვენებათ, ნაბიჯს უჩქარებთ, თითქმის მირბიხართ, ხვდებით და თქვენს შორის ინტერნეტი დგება. ის ზის ლეპტოპით და ათვალიერებს, ვინ რა დაალაიქა, რა დაასტატუსა, რა დააკომენტარა, რა ფოტო ატვირთა, ცდილობ საუბრის დაწყებას, ყურადღების მიქცევას, მაგრამ უშედეგოდ, ლეპტოპს თვალს არ აცილებს და ლაპარაკის სურვილიც გეკარგება“, – ასე იხსენებს ნინო შეყვარებულთან ერთ-ერთ პაემანს.

Facebook-ზე გატარებული დრო დღითიდღე მთელი მსოფლიოს მასშტაბით იზრდება. გამოკითხულთა 39% მასზე დამოკიდებულებას თავადვე

**„ჰოდა, უინტერნეტობის გამო ფორუმზე რომ ველარ შევედი, ავდექი და სათითაოდ დავურეკე ჩემს მეგობრებს, მივედი მათთან და ვნახე...** თქვენც გამორთეთ კომპიუტერი და გადით გარეთ“, – ასე ასრულებს ირინა უინტერნეტო დღის აღწერას.

აღიარებს. ეს განსაკუთრებით ხშირია ქალბატონების შემთხვევაში: ქალების 48% გაღვიძებისთანავე ჯერ საკუთარ პროფილს ამოწმებს და მხოლოდ შემდეგ მიემართება აბაზანისკენ. უკვე საქართველოშიც ბევრისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა იმის გაგება, თუ რა ფოტო დადო მეგობარმა, რა დაპოსტა, ვინ ვისი მეგობარია, როგორ გამოეხმაურნენ მის შეფასებას, როგორ გამოეხმაურნენ სტატუსზე და ა.შ. ეს ინტერესი კი თავისთავად იწვევს სოციალურ ქსელზე დამოკიდებულებას. „ადამიანები სახლში მიდიან და მაშინვე კომპიუტერთან სხდებიან, გართობაც აღარ უნდათ, კომპიუტერში „აქვთ“ ყველაფერი, საშინელებაა, აბა რა“, – ამბობს ლევანი, რომელსაც Facebook-ზე პროფილი საერთოდ არ აქვს.

სპეციალისტების დიდ შეშფოთებას იწვევს ისიც, რომ ინტერნეტ-მომხმარებლების 57% მეგობრებს სოციალურ ქსელებში უფრო აქტიურად ეკონტაქტება, ვიდრე პირისპირ. ადამიანები ერთმანეთს ფინჯანი ყავის ნაცვლად ჩატში ეპატიჟებიან და საათობით ეკონტაქტებიან, მაშინაც კი, როდესაც ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობენ. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ონლაინ-სივრცემ საფრთხე რეალურ ურთიერთობებს – მეგობრობას, სიყვარულს შეუქმნა: „ინტერნეტი ცოცხალი ურთიერთობის ჩამნაცვლებელი არ უნდა გახდეს, რეალური კომუნიკაცია ხომ უფრო მნიშვნელოვანია, ბუნებრივი და ნამდვილი. ინტერნეტი აზარმაცებს ადამიანებს, ისინი ურთიერთობის დეფიციტს უკვე ონლაინ კომუნიკაციით ივსებენ, რის გამოც რეალურ ურთიერთობებს ველარ სწავლობენ, მერე უკვე პირისპირ კომუნიკაცია უჭირთ კიდეც, ამიტომ იზოლირდებიან, საკუთარ თავში იკეტებიან და იმდენად დამოკიდებულები ხდებიან ინტერნეტზე, რომ რეალური აღარაფერი უნდათ. ეს დამოკიდებლება კი განსაკუთრებით სახიფათოა მათთვის, ვისაც ისედაც აქვს რეალური ცხოვრებიდან გაქცევის შინაგანი მზაობა“, – აღნიშნავს საქართველოს ფსიქოსოციალური დახმარების ასოციაცია „ნდობის" დირექტორი ნანა აღაპიშვილი და საკუთარი პრაქტიკიდან იხსენებს შემთხვევას, როდესაც 19 წლის ახალგაზრდამ ინტერნეტ-დამოკიდებულების გამო მეორე კურსიდან უმაღლეს სასწავლებელში სიარული მიატოვა: „ღამეებს ონლაინ ატარებდა, დილით ველარ დგებოდა. ამიტომ სწავლა შეწყვიტა, საშინლად გახდა, აღარც ჭამდა, ფიზიკურადაც დაუძლურდა, არავის ეკონტაქტებოდა, არც ოჯახის წევრებს, არც მეგობრებს და ასე გრძელდებოდა წელიწადზე მეტ ხანს“, – იხსენებს იგი.

ინტერნეტის პოზიტიურ მხარეებზე

არავინ დავობს, თუმცა ექსპერტები ინტერნეტის მომხმარებლებს ურჩევენ ვირტუალურ სამყაროში ძალიან არ ჩაეფლონ, ვინაიდან ამ დროს შეიძლება რეალური ცხოვრების დაუვიწყარი წუთები გამოტოვონ, მოწყდნენ გაჯეტებს და უფრო დიდი დრო დაუთმონ ადამიანებს, რეალურ ურთიერთობას, შეამცირონ ის დრო, რომელსაც სოციალურ ქსელებზე ატარებენ, მისცენ ფართო გასაქანი ფანტაზიას და ისწავლონ რეალური ცხოვრება.

დათო ინტერნეტში შესვლის ცდუნებას ვერ უძლებს, ამიტომ მასთან ბრძოლის საკუთარი სტრატეგია შეიმუშავა, სახლში ინტერნეტი გათიშა, ზოგჯერ ლეპტოპსაც სამსახურში ტოვებს: „დამოკიდებულს მხდის, არ მინდა ყოველ წამს ინფორმირებული ვიყო, ინტერნეტი რომ მქონდეს, ზუსტად ვიცი, აუცილებლად შევალ, ამიტომაც აღვკვეთე. ამ დამოკიდებულებას იწვევს განცდა, რომ რაღაც გამოვტოვე, არადა, მინდა სულ მოვლენების ცენტრში ვიყო“, – ამბობს ის.

“გარკვეული დოზა ინტერნეტის მოხმარების კუთხით აუცილებლად უნდა დავიცვათ, არამარტო იმიტომ, რომ სოციალური ურთიერთობების დაკარგვის საფრთხის წინაშე არ დავდგეთ და იზოლირებლები არ ვიყოთ, არამედ ფიზიკური ჯანმრთელობის შესანარჩუნებლადაც“, – ამბობს ნანა აღაპიშვილი.

ამ დოზებზე და ზომიერების დაცვაზე უცხოელი სპეციალისტებიც საუბრობენ. დამოკიდებულების წინააღმდეგ საბრძოლველად კემბრიჯის უნივერსიტეტის მეცნიერებმა სპეციალური რეკომენდაციები და ინტერნეტ-დიეტაც შეიმუშავეს:

- აწარმოეთ კომპიუტერისა და ინტერნეტის მოხმარების დღიური, ნახეთ რისთვის იყენებთ ინტერნეტს, სასარგებლო მიზნებისთვის თუ მხოლოდ დროის მოსაკლავად?
- კომპიუტერი და ყველა ის მოწყობილობა, საიდანაც ინტერნეტში შესვლაა შესაძლებელი, ბინის ცენტრალურ ნაწილში განალაგეთ. ოჯახის წევრები არ უნდა ისხდნენ კომპიუტერთან სრულ მარტოობაში.
- დაუწესეთ ახალი წესები საკუთარ თავს. მაგალითად, უარი თქვით კომპიუტერის წინ სადილზე ან ვახშმობაზე.
- მიეცით მაგალითი სხვებსაც, განსაკუთრებით მომავალ თაობას.

„ჰოდა, უინტერნეტობის გამო ფორუმზე რომ ვეღარ შევედი, ავდექი და სათითაოდ დავურეკე ჩემს მეგობრებს, მივედი მათთან და ვნახე... თქვენც გამორთეთ კომპიუტერი და გადით გარეთ“, – ასე ასრულებს ირინა უინტერნეტო დღის აღწერას.

ფოტორეპორტაჟი

# დებედას ხეობა - ბაუთავებელი დავა ეკლესიებზე

მალხაზ ჭკადუა



კვირას ახტალაში წირვა-ლოცვის ნაცვლად, როკ-მუსიკა ისმოდა.
ჯგუფმა **The Beautiful Project** ახალი სიმღერის გადასაღებ მოედნად მონასტრის ეზო აირჩია.

ახტალის მონასტერში 2 წელია,
რაც წირვა-ლოცვა გრიგორიანული წესით აღსრულება

წვიმამ ხელი შეგვიშალა, რომ დებედას ხეობის ეკლესია-მონასტრების დიდი ნაწილი გვენახა, მთის ფერდობებითა და ბილიკებით საუკუნოვან ძეგლებამდე ძლივსღა ვაღწევდით... დაღამებამდე მხოლოდ ახტალის, ქობაირის და სანაინის დათვალიერება მოვასწარით.

ახტალის ციხე-სიმაგრე და მონასტერი მე-13 საუკუნეშია აშენებული, ქართული საისტორიო ტრადიცია ტაძრის ამშენებლად იოანე მხარგრძელს მოიხსენიებს. ის აქვეა დაკრძალული. სომხური მხარე კი მას ქალკედონად, ანუ მართლმადიდებელი თანამემამულეების აშენებულად მოიხსენიებს. ახტალაში დღემდეა შემორჩენილი ქართული წარწერები, ქართველ წმინდანთა, ასევე ასურელ მამათა და წმინდა ნინოს ფრესკები; მელიქიშვილების საძვალეს სომეხი სასულიერო პირი ვაზგენ კირაკოსიანი მელიკოვების საფლავად მოიხსენიებს – ამბობს, რომ წარჩინებული სომხები გვარებს ქართულ ფუძეზე პოლიტიკური კონიუნქტურის გამო იცვლიდნენ.

ციხე-სიმაგრე სტრატეგიულ ადგილზე, მდინარის პირას არის აშენებული.
ახტალიდან დებედის ვიწრო ხეობა ხელისგულივით მოჩანს.

ქობერში (ქობაირი) სარესტავრაციო სამუშაოები რამდენიმე თვის წინ დაიწყო. ქართული მხარე ამ ნაბიჯს ეჩმიაძინის ნაჩქარევ გადაწყვეტილებად აფასებს

ახტალაში ორი წელია, წირვა-ლოცვა გრიგორიანული წესით აღესრულება, თუმცა მრევლი გვერდზე მდებარე სალოცავში დადის. საქართველოს საპატრიარქოში ამბობენ, რომ ახტალაში გრიგორიანული წესით ღვთისმსახურების დაწყება ეჩმიაძინის ცალმხრივი გადაწყვეტილება იყო.

ქობერი (ქობაირი) ასევე მე-13 საუკუნის კომპლექსია და ისიც, ახტალის მსგავსად, ქართველ და სომეხ მეცნიერთა და სასულიერო პირთა დავის საგანია. ტაძრის კედლებზე მრავლად არის ქართული ასომთავრული წარწერები. აქვეა საფლავები, რომლებზეც ასევე ქართულად ეპიტაფიებია ამოტვიფრული.

სინაინი სადავო ეკლესიებს არ განეკუთვნება. მეათე საუკუნის სომხური ძეგლი UNESCO-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაშია, თუმცა სახურავებზე ბალახი და ნაძვი ხარობს. ის ჩვენი ერთდღიანი მოგზაურობის ბოლო პუნქტი იყო...

„გამოვედით სულისაგან ცრუქმნილნი და გამომკრთალნი, გულსა ცეცხლი მომდებია, მომიდია პირით ალნი, დიდთა ჩემთა შვებათაგან დამრჩეს ჩოხის ნაფერთალნი, კურთხეულ ხარ, ქრისტე ღმერთო, შენ და შენი სამართალნი“ – ერთ-ერთი საფლავის ეპიტაფია.



ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა თქმით, ქობერი სრულად იმეორებს ქართული ხუროთმოძღვრების სტილს





სინაინი სადავო ეკლესიებს არ განეკუთვნება. მეათე საუკუნის სომხური ძეგლი **UNESCO**-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაშია, თუმცა სახურავებზე ბალახი და ნაძვი ხარობს. ის ჩვენი ერთდღიანი მოგზაურობის ბოლო პუნქტი იყო...

# წეხილი ნინიას და მის თანამოაზრეებს

ირაკლი კაკაბაძე

საპროტესტო გამოსვლები Wall Street-ზე

ძალიან საინტერესო დისკუსიას წავაწყდი „ლიბერალის“ გვერდებზე და გამიჩნდა სურვილი, მეპასუხა ჩემი საყვარელი დისთვის და მისი მეგობარი ლიბერალებისთვის, რომლებიც ძალიან საინტერესო და საგულისხმო აზრებს გამოთქვამენ.

ჩემო ძვირფასო ნინია, პირველ რიგში, ძალიან მიხარია, რომ ასე დგახარ უმცირესობების უფლებების სადარაჯოზე. ეს უდაოდ კარგია. მინდა რამდენიმე საკითხზე მოგწერო, რომლებზეც კარგი იქნება, მეტი ვიფიქროთ.

გიორგი ცხადაიას პასუხი შენს წერილზე ძალიან მომეწონა, რადგან ვფიქრობ, რომ სწორად დაინახა პრობლემის არსი და სწორადვე აღნიშნა, რომ დღევანდელი ეკონომიკური სისტემა მსოფლიო მოქალაქეების ერთი პროცენტის ინტერესებს იცავს, 99 პროცენტი კი მეტ-ნაკლებად გაჭირვებულ სიტუაციაშია. ამ სისტემას, ჯერჯერობით, როგორც მახსოვს, ნეოლიბერალური, ანდაც ლიბერალური ეკონომიკური სისტემა ჰქვია. ამ სისტემის თანახმად, ეკონომიკური უკმარისობა, რომელიც სიდუხჭირის მთავარი მიზეზია, ბუნებაში თუ არ არსებობს, ხელოვნურად მაინც უნდა მოიგონო იმისათვის, რომ ეს „ზარმაცი“ ადამიანები ამუშაო...

ამ 99 პროცენტში შედის რელიგიური, ეთნიკური, სექსუალური და სხვა უმცირესობები. ერთადერთი უმცირესობა, რომელიც სერიოზულ პროტესტს იწვევს, ეს არის ის ოლიგარქიული წრე, რომელიც სახელმწიფო მანქანების დახმარებით მთელ ამ რესურსებს იტაცებს. „თავისუფალი ბაზრის“ მითი, რომ ის, ვინც მეტს შრომობს, მეტს იღებს, სრული ტყუილია. ვინც მეტს შრომობს და მეტს წვალობს, ყველაზე ნაკლებს იღებს. და ის, ვინც კარგად იპარავს და კარგად ახერხებს კანონის გვერდის ავლას, ყველაზე კარგად არის. ამას მოწმობს უოლ სტრიტის აქციები. ყველაზე მდიდარი კორპორაციების დირექტორატებს დოტაცია მისცეს, აქციონერები კი, პრაქტიკულად, ნულზე დატოვეს.

რა თქმა უნდა, არსებობენ გამონაკლისებიც, მაგალითად, ახლახან გარდაცვლილი სტივ ჯობსი, ბილ გეიტსი, უორენ ბაფეტი, იგივე ჯორჯ სოროსი, რომელიც ამ საპროტესტო აქციებს აფინანსებს. მაგრამ მაინც, გამოჩნდა, რომ ლიბერალური ეკონომიკური სისტემა ძირითადად მდიდარ ყაჩაღებს ამდიდრებს და ღარიბ, მშრომელ ადამიანებს კიდევ უფრო აღარიბებს. ამიტომაც, ამ სისტემას კორექცია სჭირდება, რაც ადვილი საქმე არ არის. ერთ მხარეს ტრილიონობით დოლარია, მეორე მხარეს კი – უამრავი გაჭირვებული და მარგინალიზებული ადამიანი.

ბურჟუა ლიბერალიზმის დისკურსის ჰეგემონიის პრობლემა ახალი არ არის. ის, ვინც არ იზიარებს ამ დისკურსს, მაშინვე მარგინალიზებული ხდება. როგორც ჩომსკი ამბობს, საზოგადოების უმრავლესობა დღეს მარგინალიზებულია.

ჩემი აზრით, შენ არასწორად ხედავ პრობლემის არსს. საქმე ის კი არ არის, რომ რომელიმე პრობლემა მეორეხარისხოვანია – რა თქმა უნდა, არც უმცირესობა უნდა დაიჩაგროს და არც უმრავლესობა. საქმე ისაა, რომ ისეთი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა არ უნდა იყოს, სადაც 1 პროცენტი ჭამს და 99 პროცენტი ან საშინლად წვალობს, ანდა სულაც შიმშილით კვდება.

**შენი და ბევრი სხვა ლიბერალი კომენტატორის მთავარი შეცდომა ის არის, რომ პოლიტკორექტულობას ადამიანის წამებაზე, მკვლელობაზე და სიღატაკეზე მაღლა აყენებთ. თქვენ თბილისის პრესტიჟულ უბნებს ვერ ცდებით და ცხადია, ამ ეკონომიკურად უზრუნველყოფილ უბნებში პოლიტკორექტულობა მთავარი პრობლემაა – მაგრამ 99 პროცენტისთვის ეს ასე არ არის.**

ხანდახან საკუთარი წრის გარეთ გასვლაც საჭიროა. რთულია კლასობრივი შოვინიზმის გადალახვა – ჩემთვისაც, შენთვისაც და ყველასთვის – რადგანაც ძნელია, უარი თქვა კომფორტზე...

**დღევანდელ დისკურსში ეკონომიკური უთანასწორობის კრიტიკა ყველაზე დიდი ტაბუა – ამაზე როგორც კი ხმას ამოიღებ და ეჭვის ქვეშ დააყენებ ხელოვნური უკმარისობის პრინციპს, მაშინვე „გიჟად“, პოპულისტად ან უტოპისტად გრაცხავენ.**

უმცირესობების დაცვა დღევანდელ დასავლურ დისკურსში ძალიან მეინსტრიმული თემაა – ცხადია, ეს არ არის ცუდი – მაგრამ პრობლემის მთა-

ვარ არსს მაინც სერიოზულად ცდება. „იდენტობის პოლიტიკა“ თავისი მემარჯვენე (ნაციონალიზმი, რელიგიური ფუნდამენტალიზმი, ეთნოცენტრიზმი) და მემარცხენე (გენდერის, პოსტკოლონიური და სხვა თეორიები) ნაწილებით სწორედ იმ ლიბერალურ სისტემას აძლიერებს, რომლის წყალობითაც 1 პროცენტი ძალიან კარგად ცხოვრობს, 99 პროცენტი კი – ცუდად.

**ილია ჭავჭავაძის დროს ლიბერალიზმი პროგრესული სოციალ-ეკონომიკური მრწამსი იყო, დღეს კი ეს რეაქციული მიმდინარეობაა, სადაც ლიბერალური ელიტები სხვებზე დომინირებენ.**

ნებისმიერი საზოგადოება ფობიებს უნდა დაუპირისპირდეს, მიუღებელია ნებისმიერი ტიპის დისკრიმინაცია, თუმცა დღეს „იდენტობის პოლიტიკის“ დისკურსი იმდენად მარაზმშია გადაჭრილი ამ ყბადაღებული „ფობიების ფობიით“, რომ თვითონ აღძრავს საკუთარი თავის მიმართ ოპოზიციას. ლიბერალიზმი თვითონ შობს ფუნდამენტალიზმს – მთელ მსოფლიოში – და ამ სიძულვილს შობს ხელოვნური უკმარისობა, რაც ლიბერალური პოლიტიკურ-ეკონომიკური წესრიგის მთავარი პრინციპია...

საქართველოში ორი დღის წინ, ღარიბებისადმი სოლიდარობის აქცია მოეწყო. თუ არ ვცდები, „სოციალ-დემოკრატებმა“ გამართეს. საუბედუროდ, იქ ბევრი ადამიანი ვერ ვნახე, ვერც ბევრი ქართველი ლიბერალი. ეს საკითხი ბევრი ლიბერალისთვის არ არსებობს. აი, რა საკითხია ყველაზე მარგინალური დღეს და რას სჭირდება ყველაზე მეტი ვაჟკაცობა – დღეს ნეოლიბერალიზმთან დაპირისპირებას, პრაქტიკულად, ვერავინ ბედავს, კონსერვატორებით დაწყებული ლეიბორისტებით დამთავრებული. ძალიან მიხარია, რომ ლიბერალებიდან გიორგი ცხადაიამ მაინც ამოიღო ხმა.

და კიდევ ერთი საკითხი – არსებობს თუ არა პრიორიტეტები და უფრო მნიშვნელოვანი საკითხები – დიახ, ჩემო ნინია, არსებობს. როდესაც ვხედავ, რომ ერთ ადამიანს კლავენ და მეორეს უბრალოდ სულელს ეძახიან – პირველ რიგში, ვეცდები სიკვდილს გადავარჩინო მომაკვდავი და მერე გავუსწორო ზრდილობა მეორეს. ცხადია, თუკი ამას შევძლებ. ეს მგონი მარტივი ლოგიკაა. თანასწორობის მოძრაობის არსი იმაშია, რომ შიმშილით და სიღატაკით არ მოკვდეს არცერთი ჯგუფის ადამიანი და არავინ დაიჩაგროს მისი კუთვნილების მიხედვით. მაგრამ თუკი სისტემა ისეთია, რომ 99 პროცენტი იჩაგრება – მაშინ ამ სისტემას ცვლილება სჭირდება.

მე არც ჭეშმარიტი ლიბერალი ვარ და არც არაჭეშმარიტი – საერთოდ არ ვარ ლიბერალი. უბრალოდ, ვიცი, რომ ლიბერალებშიც არსებობენ საღად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ იმ გაჭირვებაზე, რომელშიც უამრავი ადამიანი ცხოვრობს. გასაგებია, ჩემო ნინია, რომ ეგოიზმი ადამიანის დამახასიათებელი თვისებაა და მისგან სრულებით თავისუფალი არავინ ვართ – მაგრამ ნეოლიბერალიზმის ეკონომიკური (და პოლიტიკური) დოქტრინა ინსტიტუციური ეგოიზმის პრაქტიკაა, სადაც ადამიანი მარტო საკუთარ თავზე ფიქრობს და მისი ცხოვრების მიზანი ისაა, რომ იმ 1 პროცენტში შევიდეს, რომელსაც ყველაფერი აქვს. ამ ვირთხების შეჯიბრში, ლიბერალური სოციალური დარვინიზმის მიხედვით, იმარჯვებს ყველაზე „ჯანმრთელი ვირთხა“, რომელიც ქონებას ისაკუთრებს. მე მაინც, ერთი ჩვენი უფროსი ახლობლისა არ იყოს, მგონია, რომ ადამიანი მოსე ზამთარაძის მონათხრობში აღწერილი ვირთხა არ არის – მას შეუძლია არა მარტო საკუთარ თავზე იფიქროს. ცხადია, შეცდომები ყველას მოსდის და უნაკლოც არავინ არის, მაგრამ ადამიანის მთავარი ხიბლი ისაა, რომ მას სხვაზე ფიქრიც შეუძლია. მე მგონი, ეს შენ კარგად იცი.

**და ბოლოს, სიტყვა „გოიმის“ ხმარების შესახებ. ეს სიტყვა ებრაულიდან მოდის და იმათ დასახასიათებლად გამოიყენება, ვინც „რჩეული ერის“ ნაწილი არ არის, ანუ „მეორეხარისხოვანი“ ადამიანია. ქართულში ამ სიტყვის ხმარება კლასობრივი შოვინიზმის გამოვლინებაა, ისევე, როგორც სიტყვა „პიდარასტის“ ხმარება – ჰომოფობიის.**

ლიბერალური ელიტიზმის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სწორედ ეს არის – თუ არ ხარ ამ 1 პროცენტის წევრი მაშინ „გოიმი“ ხარ. უნდა ვაღიაროთ, რომ მეც და შენც, პრივილეგირებულ გარემოში ვართ გაზრდილები – შეიძლება მდიდრები არ ვყოფილვართ – მაგრამ ჩვენთვის ბევრი რამე ხელმისაწვდომი იყო. კარგად მახსოვს მამაჩვენი ამბობდა, ბავშვები რომ არ გაფუჭდნენ, სჯობს, ღარიბ ხალხთან იარონ სკოლაშიო. სანამ ის ცოცხალი იყო, ასეც ხდებოდა. მგონია, კარგი გემოვნების ნიშანი სწორედაც რომ ის არის, რომ ადამიანები ასე არ დავახარისხოთ – ეს უკვე თავისთავად ნიშნავს იერარქიის შექმნას. არა აქვს მნიშვნელობა უმრავლესობას დაჩაგრავ თუ უმცირესობას – დომინაცია ყველა შემთხვევაში ცუდია.

ნინია, ახალი დრო მოდის – კარგი იქნება ეს დრო თუ ცუდი, ჩვენზეა დამოკიდებული. მოდის დრო, უმრავლესობა და უმცირესობა ერთად დადგეს, რათა რაც შეიძლება ნაკლები ბავშვი მოკვდეს შიმშილით და რაც შეიძლება ნაკლებმა ადამიანმა იცხოვროს წამებაში. მოდის დრო, რომ ადამიანები აღარ დავიყოთ ეროვნული, რელიგიური, სექსუალური და სხვა ინტერესების ჯგუფებად – რომ აღარ ვიფიქროთ ამდენი ჩვენს „იდენტობაზე“ – რომ ვიფიქროთ იმაზე, რაც გვაერთიანებს – დამიჯერე ბევრად მეტია ის, რაც გვაერთიანებს. რომ აღარ დავიყოთ „გოიმებად“ და „პრადვინუტებად“, „მორწმუნეებად“ და „ურწმუნოებად“, „ჰეტეროებად“ და „ჰომოებად“, „პატრიოტებად“ და „კოსმოპოლიტებად“ – უბრალოდ, ვიყოთ ადამიანები...

დღეს, ჩემთვის ახალი დისკურსი არის მრავალხმოვანი „მრავალჟამიერის“ მეტყველება, სადაც ყველა განსხვავებული ხმისთვის არის ადგილი – და არა მხოლოდ 1 პროცენტისთვის. იმედი მაქვს შენთვისაც ასეა.

*(იხეჭდება შემოკლებით)*

| | |
|---|---|
| თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი | FM 105.5 |
| გორი, ქარელი, ხაშური | FM 103.0 |
| ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია | FM 104.5 |
| ურეკი, ქობულეთი, ბათუმი | FM 101.0 |
| ფოთი, სენაკი, ზუგდიდი | FM 101.9 |



WWW.LIBERALI.GE